

### **ვისთვის არის გზამკვლევი განკუთვნილი?**

გზამკვლევი, პირველ რიგში, განკუთვნილია ზოგადი განათლების სისტემაში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლებისთვის. ამავდროულად, საინტერესო იქნება მათთვის, ვინც გეგმავს ან ემზადება სპეციალური მასწავლებლის პროფესიის შექმნისთვის. გზამკვლევს, ასევე, შეიძლება გაეცნოს მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მშობელი და ყველა სხვა პირი, ვინც დაინტერესებულია სპეციალური მასწავლებლის საქმიანობითა და ფუნქციის - მოვალეობებით.

### **რა არის გზამკვლევის მიზანი და რა თემებს მოიცავს?**

გზამკვლევის მიზანია დაეხმაროს სპეციალურ მასწავლებელს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში, აღჭურვოს იმ ცოდნითა და ღირებულებებით, რომელიც საჭიროა პოზიტიური, უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირებისთვის. გზამკვლევი ეყრდნობა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს.

გზამკვლევი ოთხი ძირითადი ნაწილისგან შედგება.

**პირველი ნაწილი** ეთმობა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ფორმირებას, სადაც განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საგანმანათლებლო საჭიროებების განმარტება და აღრეული იდენტიფიცირება, პირველადი მართვის პროცესის ორგანიზება, სსსმ მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასება და პროგრესის დოკუმენტირება.

**მეორე ნაწილში** განხილულია რესურსოთახის მოწყობის პრინციპები, სსსმ მოსწავლესა და თანატოლებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობის გზები, ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა და სხვადასხვა რგოლს შორის თანამშრომლობა.

**მესამე ნაწილი** ეთმობა ტრანზიციასთან დაკავშირებული პროცესების მიმოხილვას. გზამკვლევის აღნიშნულ თავებში აქცენტი გაკეთებულია ტრანზიციის პროცესში სპეციალური მასწავლებლის ჩართულობის მნიშვნელობასა და როლზე.

**მეოთხე ნაწილი** დაკავშირებულია სპეციალური მასწავლებლის ეთიკასთან, როგორც მოსწავლეებთან, ასევე კოლეგებთან და მშობლებთან.

ავტორები: შორენა ტყემელაშვილი

ბაია კუბლაშვილი

კონსულტანტი: ლია ქურციკიძე



გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის" „ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

## სარჩევი:

<b>ნაწილი 1 : მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი .....</b>	<b>2</b>
როგორ გვესმის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? .....	2
საგანმანათლებლო საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირება .....	6
მოსწავლის ჰოლისტური შეფასება .....	11
მოსწავლის წინსვლის ხელშეწყობა .....	62
მოსწავლის დინამიკა სწავლა-სწავლების პროცესში .....	69
<b>ნაწილი 2: მხარდამჭერი საგანმანათლებლო გარემო .....</b>	<b>72</b>
რესურსოთახის მოწყობა .....	72
თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობა .....	75
ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა .....	79
ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა .....	83
<b>ნაწილი 3: ტრანზიცია - მზადება ახალი ეტაპისთვის .....</b>	<b>87</b>
სკოლაში ტრანზიცია .....	87
სასკოლო ტრანზიციები .....	92
სკოლიდან განათლების შემდგომ ეტაპზე ტრანზიცია .....	94
<b>ნაწილი 4: პროფესიული საქმიანობა და ეთიკა .....</b>	<b>97</b>
ეთიკური საკითხები მოსწავლეებთან ურთიერთობისას .....	97
ეთიკური საკითხები მშობლებთან ურთიერთობისას .....	99
ეთიკური საკითხები კოლეგებთან ურთიერთობისას .....	101
გამოყენებული ლიტერატურა .....	105
ილუსტრაციებისა და ცხრილების სარჩევი .....	107

# პიხვედი ნაწიცი მოსწავლეზე ოხიენციხეზუი სასწავლო პიოცესი

## როგორ გვესმის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?


1997 წელს განათლების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტში ტერმინი „სპეციალური განათლება“ ჩანაცვლდა ახალი სიტყვათა შეთანხმებით - „სპეციალური საჭიროებების განათლება“. ცვლილება გამოიწვია ახლებურმა ხედვამ, რომელიც სრულად ემიჯნებოდა სპეციალური სკოლებისა და იზოლირებული ინსტიტუციების არსებობას. „სპეციალური საჭიროებების განათლება“ განიმარტება, როგორც საგანმანათლებლო ინტერვენცია და მხარდაჭერა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. მსგავსი შინაარსის, თუმცა განსხვავებული სახელწოდებების ტერმინები მკვიდრდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. ასეთი ტერმინებია: დამატებითი მხარდაჭერა სწავლისთვის (შოტლანდია), გაფართოებული საგანმანათლებლო გარემო (ფინეთი), კომპენსატორული განათლება (კალიფორნია, აშშ).

აღსანიშნავია, რომ რა ტერმინსაც არ უნდა ვიყენებდეთ, თითოეულ მათგანში გამოკვეთილია გავრცელებული მოსაზრება, რომ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა ზოგადი განათლებისგან **„განსხვავებული“** ან ზოგადი განათლების **„დამატებითი“** ფორმაა. მიდგომა, რომლის მიხედვითაც სასკოლო სისტემას შეუძლია უპასუხოს მოსწავლეთა უმეტესობის საჭიროებებს, ხოლო მოსწავლეთა მცირე რაოდენობას სჭირდება განსხვავებული ან დამატებითი მომსახურება, იზიარებს ე.წ. „ნორმალური განაწილების“ კონცეფციას. განათლების სფეროში დღემდე აქტუალურია „ზარისებური მრუდის“ იდეა, რომელიც ადამიანის შესაძლებლობებს ყოფს ნორმად და ნორმისგან განსხვავებულად. მიუხედავად მრავალი მკვლევრისა და მეცნიერის კრიტიკისა, მოსწავლეთა შესაძლებლობების, უნარების, სწავლის პოტენციალის, ინტელექტუალური უნარების მიხედვით დაყოფა ნორმად და ნორმისგან განსხვავებულად, დღემდე საკმაოდ დიდი გამოწვევაა. მოსწავლეების აღქმა ნორმალური განაწილების მრუდის კონტექსტში განაპირობებს საგანმანათლებლო ხედვას, პოლიტიკასა და პრაქტიკას.

ქვემოთ მოცემული ილუსტრაცია შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც სკოლის ერთ-ერთი კლასი. როგორც ვხედავთ, მოსწავლეთა უმეტესობა ადგილს მრუდის ყველაზე დიდ, შუა სივრცეში იკავებს. მათი სწავლის შესაძლებლობები და აკადემიური მიღწევა ახლოსაა საშუალო მაჩვენებელთან, ხოლო სწავლის სირთულეების მქონე და ე.წ. „გამორჩეულად ქვკიანი“ მოსწავლეების რაოდენობა შედარებით ცოტაა.

მოსწავლეთა შესაძლებლობების ამგვარი სტატისტიკური დაყოფა განაპირობებს ხედვას, რომლის მიხედვითაც ტერმინის „საჭიროება“ ქვეშ მოიაზრებიან ის მოსწავლეები, რომლებსაც თანატოლებთან შედარებით დაბალი შესრულებისა და მიღწევის მაჩვენებელი აქვთ.

ილუსტრაცია 1. ნორმალური განაწილების მრუდი




თუკი „საჭიროებები“ გვესმის, როგორც ნორმისგან განსხვავებული მოცემულობა, ძნელად წარმოსადგენია, რომ საგანმანათლებლო სისტემამ იმ მოსწავლეთა სწავლა-სწავლება გახადოს მიმდინარე პროცესების განუყოფელი ნაწილი, რომლებსაც ექმნებათ ან შეექმნებათ სირთულეები სწავლაში. ნორმაზე ორიენტირებული ხედვა, თავისთავად, განაპირობებს მოსწავლეების კატეგორიებად დაყოფას, რაც არა მარტო ხელს უშლის ყველა მოსწავლისთვის სწავლა-სწავლების ერთიანი პროცესის წარმართვას, არამედ აყალიბებს მკაცრად შემოსაზღვრულ ხედვას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „საჭიროებები“.

ნორმაზე დაფუძნებული ხედვით „საჭიროების“ მქონეა მოსწავლე, რომელიც იმავე ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეთა საშუალო მაჩვენებლებს ვერ აკმაყოფილებს და/ან აქვს დაბალი მიღწევები. აღნიშნული ხედვის მთავარი ნაკლოვანება მდგომარეობს დაშვებაში, რომ ადამიანის უნარები, შესაძლებლობები წინასწარ დეტერმინირებული, თანდაყოლილი და უცვლელი მოცემულობებია. გარდა ამისა, როდესაც ვაფასებთ იმას, თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლე ნორმას, შეფასება

ეყრდნობა რაიმე მახასიათებელს, მაგალითად: სწავლის შედეგები, ინტელექტის კოეფიციენტი, აკადემიური მიღწევა, რაც მოსწავლის მიმართ ერთგვარ სწორხაზოვან აღქმას განაპირობებს და ყურადღების მიღმა რჩება მოსწავლის პიროვნებასთან და ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი სხვა ფაქტორი. გარდა ამისა, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები განიხილება, როგორც ნორმისგან მნიშვნელოვნად დაბალი შესაძლებლობები, ეს გავლენას ახდენს ჩვენს მოლოდინებზე მოსწავლეების მიმართ. იმ საგანმანათლებლო სისტემაში, სადაც დომინანტურია მოსწავლეთა ნორმაზე ორიენტირებული აღქმა, მასწავლებლებს აქვთ დაბალი მოლოდინები მოსწავლის პროგრესისა და მიღწევებისადმი (Hart, 1996). შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ „საჭიროებების“ როგორც რაიმე ნიშნით ნორმისგან განსხვავებული მდგომარეობის განმარტება ვერ გვთავაზობს ჰუმანურ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ, ამომწურავ და მრავალმხრივ შეფასებას ინდივიდის მრავალგანზომილებიან მახასიათებლებზე.

ილუსტრაცია 2. ინკლუზიური განათლების პოლიტიკის განსაზღვრელი 3 ფაქტორი



....სამი რამ, განათლების უფლების დაცვის გააზრებული ცოდნა, რწმენა იმისა, რომ ადამიანის შესაძლებლობები პროგრესირებადია და ფოკუსი არა განსხვავებაზე, არამედ ყველა მოსწავლის სწავლის ხელშეწყობაზე, განაპირობებს როგორც არის და როგორც შეიძლება გახდეს ინკლუზიური საგანმანათლებლო პოლიტიკა (Florian, 2007).

საგანმანათლებლო საჭიროებების კონცეფცია საკმაოდ კომპლექსური და მრავალწახნაგოვანია. მსოფლიოს სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემის უახლესი ტენდენცია „საჭიროებებს“ განიხილავს თითოეული მოსწავლის კონტექსტში, აღიარებს რა თითოეული ადამიანის უნიკალურობასა და ინდივიდუალობას. შესაბამისად, დაშვება იმისა, რომ სასკოლო სისტემაში მყოფ ნებისმიერ მოსწავლეს აქვს გარკვეული საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებაც სკოლის მთავარი ამოცანა და ინტერესია, მთლიანად ცვლის პერსპექტივას მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრის შესახებ. ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს ქმნის არა მოსწავლეთა დაყოფა მათი უნარებისა და საჭიროებების მიხედვით, არამედ **განსხვავებულობის ნორმალიზება** და შესაბამისად, თითოეული მოსწავლისადმი დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. სწორედ აღნიშნული კონცეფცია უდევს საფუძვლად გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მოძრაობას, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „განათლება ყველასთვის“. მოძრაობის კონცეპტუალური ჩარჩო ეყრდნობა უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც ხაზს უსვამს ბავშვის იდენტობის, მთლიანობის, დამოუკიდებელი ქმედებებისა და არჩევანის გაკეთების უფლებათა რეალიზების აუცილებლობას (იხ. ილუსტრაცია 3).

ცხრილი 1. მოსწავლის საჭიროებების სხვადასხვაგვარი აღქმა

ხედვა	მიდგომა/შემდეგ	გამოწვევა	ცვლილებები პრაქტიკაში
<p><b>განსხვავებულობა მიჩნეულია როგორც ადამიანის სწავლისა და განვითარების აუცილებელი ნაწილი</b></p>	<p>შესაძლებლობები, სწავლის პროტენციული არის არა თანდაყოლილი, უცვლელი მოცემულობა, არამედ განვითარებადი</p> <p>განსხვავებულობა ყველა ადამიანის მახასიათებელია</p> <p>მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებების აღიარება ქმნის მრავალფეროვან სასწავლო გარემოს</p> <p>ყველა მოსწავლეს აქვს პროგრესის შესაძლებლობა</p>	<p>ნორმაზე ორიენტირებული მიდგომა და შესაძლებლობების, როგორც ფიქსირებული მოცემულობის აღქმა ჯერ კიდევ გამყარებულია საგანმანათლებლო სისტემის საფუძველში</p>	<p>მასწავლებლის სწავლა-სწავლების პრაქტიკა მოიცავს ყველა მოსწავლეს: -მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს შეთავაზება მოსწავლეებისთვის, რომელიც შედეგადაც ყველა მოსწავლეს აქვს სასკოლო ცხოვრებაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა -თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა შეარჩიოს, გააკეთოს არჩევანი სასწავლო აქტივობებში გამოიყენება ისეთი ტერმინები და ლექსიკა, რომლითაც ხაზი ესმევა თითოეული მოსწავლის ღირებულებას</p> <p>სწავლისას ფოკუსი კეთდება იმაზე, თუ რა შეუძლიათ მოსწავლეებს და არა იმაზე, რაც არ შეუძლიათ.</p> <p>გამოიყენება სოციალური კონსტრუქტივისტული მიდგომა - მოსწავლეები ერთმანეთის დახმარებით იუმჯობესებენ ცოდნას</p> <p>გამოიყენება განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობისთვის</p>

<p><b>მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ შეუძლია ასწავლოს ყველა მოსწავლეს</b></p>	<p>სწავლასთან დაკავშირებული გამოვლენილი სირთულეები აღიქმება როგორც გადასატრეული დილემა და არა მოსწავლის პრობლემა</p> <p>დახმარებითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლე</p> <p>მასწავლებელს სჯერა, რომ მისი კომპეტენციითა და შესაძლებლობით შეუძლია ყველა მოსწავლის სწავლას შეუწყოს ხელი</p>	<p>სირთულეების იდენტიფიცირება, მთავარი ფოკუსის გაკეთება იმაზე, თუ რა არ შეუძლია მოსწავლეს (სუსტი მხარეები) ერთგვარ ზღვარს აწესებს მოსწავლის მოსალოდნელ მიღწევების მიმართ</p> <p>ბევრი მასწავლებელი ფიქრობს, რომ ზოგიერთი მოსწავლის სწავლა, წინსვლა, პროგრესი მათი პასუხისმგებლობა არაა</p>	<p>ფოკუსი კეთდება რა და როგორ უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა</p> <p>მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ხარისხიანი პოზიტიური ურთიერთობებია ჩამოყალიბებული</p> <p>მასწავლებელი დაინტერესებულია მოსწავლით, როგორც ერთი „მთლიანი ინდივიდით“ და არა მხოლოდ იმით, თუ რა ისწავლა და რა უნარებს ფლობს</p> <p>გამოიყენება მოქნილი მიდგომა - აქცენტი მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებებზე და არა თემის, საკითხების დაფარვაზე</p> <p>სწავლაში გამოვლენილი სირთულეები მასწავლებლისთვის პროფესიული გამოწვევაა და არა მოსწავლის უნარების დეფიციტი</p>
--	---	--	---

<p><b>მასწავლებელი მულტივალ განაგრძობს ახალი, შემოქმედებითი გზების ძიებას სხვებთან ერთად თანამშრომლობით</b></p>	<p>პროფესიული განვითარებისთვის კოლეგებთან ერთად მუშაობა მნიშვნელოვანია</p> <p>ერთ ადამიანსაც შეუძლია გაავრცელოს სწორი ღირებულებები კოლეგებთან</p> <p>ნებისმიერ სიტუაციაში შესაძლებელია შემოქმედებითი გზების პოვნა</p>	<p>ხედვისა და დამოკიდებულების ცვლილება ინკლუზიის შესახებ, რომლის მიხედვითაც აქცენტი კეთდება არა „უმეტეს“ და „ზოგ“ მოსწავლეზე, არამედ „ყველაზე“</p>	<p>მასწავლებლის პიროვნული და პროფესიული პოზიცია, მთლიანი სკოლის ფასეულობებთან ერთად ქმნის ინკლუზიური გარემოს განვითარების შესაძლებლობას: -ახალი, შემოქმედებითი და ეფექტიანი გზების, სტრატეგიების ერთობლივი მოძიებით -პროფესიული განვითარების უწყვეტობის შენარჩუნებით</p> <p>მასწავლებელი სხვა სპეციალისტს, რომელიც შესაძლოა მასთან ერთად კლასში იმყოფებოდეს განიხილავს როგორც პარტნიორს</p>
---	---	--	---

ზემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საჭიროებების აღქმის ადამიანის უფლებასა და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული ხედვა, მასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები, დამადასტურებელი მტკიცებულებები პრაქტიკიდან და მთავარი გამოწვევები, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ინკლუზიური ფასეულობების დამკვიდრება ფართო კონტექსტში.

საჭიროებების სიღრმისეულად გააზრება მოითხოვს მოსწავლის პიროვნების დანახვასა და გაგებას მთლიანობაში, მისი ფიზიკური, სოციალური, ემოციური, მენტალური, კულტურული, ენობრივი, ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით.

ილუსტრაცია 3. ინკლუზიური სისტემა (UNESCO)

### როგორია უფლებები დაფუძნებული ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემა?

UNESCO-ს მიხედვით ინკლუზია არის "დინამიური მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალფეროვნებას უპასუხოს კოგნიტიურად და ინდივიდუალური განსხვავებები მიიჩნეოს არა პრობლემად, არამედ საუკეთესო შესაძლებლობად სწავლა-სწავლების პროცესის გამდიდრებისთვის". შესაბამისად, ინკლუზიისკენ წინსვლა არ გულისხმობს მხოლოდ ტექნიკურ, ორგანიზაციულ ცვლილებებს, არამედ საჭიროა მკაფიო, გააზრებული ფილოსოფიით მოქმედება. იმისთვის, რომ ინკლუზიური განათლება ეფექტიანად დაინერგოს, ეფუძნება ინკლუზიური სასწავლო მიდგომის პრინციპებთან ერთად, უნდა განსაზღვროს პრაქტიკული ნაბიჯები. საერთაშორისო დოკუმენტები და რეგულაციები, რომლებიც ბავშვთა უფლებების დაცვის, ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ვალდებულებებს განსაზღვრავს, შესაძლებელია წარმოადგინდეს ერთგვარ ფუნდამენტს ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეფუძნის ხელვაში გათვალისწინებული იყოს მისთვის დამახასიათებელი კულტურული და ეროვნული კონტექსტი.

## საგანმანათლებლო საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირება

მოსწავლეები, სწავლის პროცესში, შესაძლოა მრავალი სხვადასხვა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, იქნება ეს ქცევითი სირთულეები, სწავლაში გამოვლენილი სიძნელეები თუ ორივე ერთად. როგორ რეაგირებს და პასუხობს სკოლა მოსწავლეთა მრავალფეროვანი ჯგუფის სხვადასხვა საჭიროებებს? უზრუნველყოფს თუ არა ისეთი სასწავლო პრაქტიკის დანერგვას, სადაც შესაძლებელია სწავლის ხელისშემშლელი ფაქტორების ადრეული იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება? ერთ-ერთი გავრცელებული კონცეპტუალური ჩარჩო, რომელსაც სკოლები იყენებენ ზემოთაღნიშნულ შეკითხვებზე საპასუხოდ, მოიხსენიება

მხარდაჭერის მრავალდონიან სისტემად (Multi-Tiered System of Supports - MTSS). სისტემა ეხმარება სკოლას, რაც შეიძლება ადრე მოახერხოს იმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება, რომლებსაც აქვთ ან შეიძლება ჰქონდეთ სწავლაში სირთულეები და სწრაფად გაუწიოს შესაბამისი მხარდაჭერა.

მხარდაჭერი მრავალდონიანი სისტემა მასწავლებლებს სთავაზობს აკადემიური უნარებისა და ქცევის გაუმჯობესების მრავალფეროვან, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებს სხვადასხვა საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის. სისტემა მოიცავს ორ ინტერვენციულ ჩარჩოს: ინტერვენციაზე რეაგირება (RTI – Response to Intervention) და პოზიტიური ქცევის ინტერვენცია და მხარდაჭერა (PBIS – Positive Behavior Intervention and Support).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების აქტი (IDEA) თავდაპირველად ინტერვენციაზე რეაგირებას (RTI) განიხილავდა როგორც იმ მოსწავლეთა შეფასების და იდენტიფიცირების მექანიზმს, რომლებსაც სჭირდებოდათ ინტენსიური მხარდაჭერა. შემდგომში კი RTI როგორც საგანმანათლებლო შედეგების გაუმჯობესების ინსტრუმენტი განიხილება მრავალდონიანი მხარდაჭერის სისტემის ნაწილად. ეს უკანასკნელი კი მიმართულია, არა მხოლოდ საჭიროებების მქონე, არამედ ყველა მოსწავლისკენ.

### **მრავალდონიანი მხარდაჭერის სისტემის ძირითადი კომპონენტები**


ნაცვლად იმისა რომ დაველოდოთ მოსწავლის წარუმატებლობას და შემდეგ შევაფასოთ მისი საჭიროებები, MTSS ჩარჩო გთავაზობს პროაქტიულ მიდგომას მოსწავლეთა აკადემიური ან ქცევითი სირთულეების გამოსავლენად. ადრეული შეფასება და შესაბამისი ინტერვენცია მოსწავლეს დაეხმარება სწრაფად შეივსოს დანაკლისი ცოდნაში და „დაეწიოს“ თანატოლებს. მრავალდონიანი მხარდაჭერის სისტემის კომპონენტები მოიცავს:

- დაწყებითი კლასის მოსწავლეების უნივერსალურ სკრინინგს;
- სხვადასხვა დონის ინტერვენციებს, რომელიც გამოიყენება გამოვლენილ საჭიროებებზე საპასუხოდ;
- მონაცემების უწყვეტად შეგროვებასა და მიმდინარე შეფასებას;
- მოლოდინებისა და მხარდაჭერის სასკოლო დონეზე არსებულ მიდგომას;
- მშობელთა ჩართულობას.

მოსწავლეთა მიღწევების, ქცევის, პროგრესის მუდმივი შეფასება მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას გამოავლინოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამის

დონესთან დაკავშირებული ინტერვენციები გამოიყენოს. მხარდაჭერის მრავალდონიან სისტემაში სამი დონე გამოიყოფა:

ილუსტრაცია 4. მრავალდონიანი მხარდაჭერის სისტემა (MTSS)



პირველი დონე მოიხსენიება როგორც ძირითადი ან უნივერსალური დონე და მოიცავს მოსწავლეთა 70 – 90 %-ს. უნივერსალურ დონეზე მასწავლებლის მიერ გამოიყენება ეროვნული სტანდარტითა და სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული პროგრამა, შესაბამისი მასალები და მრავალფეროვანი, დიფერენცირებული ინსტრუქციები.

მეორე დონე მოსწავლეთა 10- 25 %-ს გულისხმობს, რომლებსაც, ჩვეულებრივ მცირე ღამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ მათი პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენაში. როცა მასწავლებელი შეფასების შედეგად აღმოაჩენს, რომ ზოგიერთი მოსწავლე ისევე ეფექტურად ვერ პასუხობს პირველ დონეზე გამოყენებულ სწავლების მიდგომებსა და ინსტრუქციებს, კიდევ უფრო ჩაღრმავებულად აფასებს მას და გეგმავს ღამატებით სტრატეგიებს.

მესამე დონე დაკავშირებულია იმ მოსწავლეებთან, რომელთა აკადემიური ან პიროვნული განვითარებისთვის პირველი და მეორე დონის ინსტრუქციებისა და სტრატეგიების გამოყენება საკმარისი არ არის. მრავალდონიანი მხარდაჭერის სისტემის მესამე დონე ინდივიდუალიზებულ მიდგომას გულისხმობს, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს შემდეგ აქტივობებთან:

- ინდივიდუალური პროგრამების შექმნა;
- ღამატებითი მხარდაჭერი პერსონალის ან სერვისების მიწოდება;
- სსსმ სტატუსის იდენტიფიცირების მიზნით გადამისამართება და სხვა.

## პირველადი მართვის გეგმის შედგენა

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, სპეციალურ მასწავლებელს მოეთხოვება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის დროული იდენტიფიცირება და პირველადი მართვის გეგმის შედგენა. განვიხილოთ პირველადი მართვის პროცედურათა თანმიმდევრობა და სპეციალური მასწავლებლის როლი.

იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი ან კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა, ის ვალდებულია, ამის შესახებ დროულად აცნობოს სკოლის დირექციას, დამრიგებელს (საგნის მასწავლებლის შემთხვევაში), სპეციალურ მასწავლებელს ან/და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს (სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში). რეკომენდებულია, თითოეული ჩამოთვლილი პირის ჩართულობით ჩატარდეს ფორმალური შეხვედრა, სადაც მოხდება მასწავლებლის ან დამრიგებლის მიერ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და გამოვლენილი სირთულეების არგუმენტირებული აღწერა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობასა და ინფორმირებას. მშობელთან შეხვედრის ორგანიზება შესაძლებელია განახორციელოს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, თუმცა, უმჯობესია მშობელთან კომუნიკაცია დაამყაროს მისთვის უფრო ნაცნობმა და ნდობით აღჭურვილმა პირმა. სკოლის გუნდის (დამრიგებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებელი) ამოცანაა, რომ მშობელთან გამართულ შეხვედრაზე:

- მიაწოდოს ობიექტური და აღწერიითი ინფორმაცია მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და გამოვლენილი სირთულეების შესახებ;
- აგრძნობინოს მშობელს სკოლის მხარდაჭერა;
- მკაფიოდ აჩვენოს მშობელს გამოვლენილ სირთულეებთან გამკლავების გზები;
- მისცეს მშობელს საკუთარი მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა;
- წაახალისოს მშობლის ჩართულობა გამოვლენილ სირთულეებზე რეაგირების პროცესში.

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე იქმნება მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის გეგმა<sup>1</sup>.

---


<sup>1</sup> პირველადი მართვის გეგმა იქმნება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.



პირველადი მართვის გეგმა მოიცავს მოსწავლის შეფასებას, სადაც დეტალურად აღიწერება ძლიერი მხარეები და გამოვლენილი საჭიროებები შემდეგი სფეროების მიხედვით:

- აკადემიური უნარები (წერა, კითხვა, თხრობა, ანგარიში);
- შემეცნებითი უნარები (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება);
- კომუნიკაციური, ენისა და მეტყველების უნარები;
- სოციალური უნარები და ემოციური კომპეტენციები;
- მოტორული უნარები (მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები);
- ადაპტური, თვითმოვლისა და დამოუკიდებლობის უნარები.

მნიშვნელოვანია მოსწავლის შეფასების პროცესში ჩართული იყოს მოსწავლის მასწავლებლები, დამრიგებელი, მშობელი და სპეციალური მასწავლებელი.



მოსწავლის შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად, სპეციალური მასწავლებელი, წარმოადგენს წერილობით რეკომენდაციებს. პირველადი მართვის გეგმაში წარმოდგენილი რეკომენდაციები უნდა მოიცავდეს:

- იმ უნარების განმავითარებელ სტრატეგიებსა და აქტივობებს, რომელშიც მოსწავლეს ესაჭიროება დახმარება;
- რჩევებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლის საკლასო აქტივობებში ჩასართავად;
- საჭიროების შემთხვევაში დამხმარე რესურსებისა და მასალების ჩამონათვალს.

საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი ვალდებულია გაითვალისწინოს სპეციალური მასწავლებლის მიერ გაცემული რეკომენდაციები და დაეხმაროს მოსწავლეს სწავლაში გამოვლენილი სირთულეების დაძლევაში.<sup>2</sup> პირველადი მართვის გეგმის 1-2 თვის განმავლობაში გამოყენებით შესაძლებელია აღმოიფხვრას მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები. ზოგ შემთხვევაში კი, შესაძლოა მაინც არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს კვლავ აქვს გამოხატული სწავლასთან დაკავშირებული სირთულე. თუ, პირველადი მართვის გეგმის განხორციელება არ აღმოჩნდა საკმარისი მოსწავლის აკადემიური წინსვლის ხელშესაწყობად, მშობელს აქვს სურვილი და მზაობა მოხდეს მოსწავლის შეფასება სსსმ სტატუსის მინიჭების მიზნით, სკოლა ახორციელებს მულტიდისციპლინურ გუნდთან რეფერირების (გადამისამართების) პროცედურებს.<sup>3</sup>

## მოსწავლის ჰოლისტური შეფასება

შეფასება მოსწავლის სწავლის ხელშეწყობის აუცილებელი წინაპირობაა. იმისთვის, რომ სპეციალურმა მასწავლებელმა მოსწავლესთან სამუშაო მიზნები დაისახოს, ინტერვენციის გეგმა შეიმუშავოს, საჭიროა მოსწავლის საგანმანათლებლო პროფილის მომზადება. საგანმანათლებლო უნარების შეფასება მოიცავს აკადემიური, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური, ენისა და მეტყველების, მოტორული და ადაპტური სფეროების მიხედვით მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების ანალიზს. თითოეული ჩამოთვლილ სფეროთა დაყოფა ძალზედ პირობითია. აკადემიური უნარები გადაჯაჭვულია შემეცნებასთან, თავად კოგნიტური უნარები - აღქმა, ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება ერთმანეთთანაა

<sup>2</sup> თუ სკოლას არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, პირველადი მართვის გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მოსწავლის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები.

<sup>3</sup> იხილეთ საქართველოს მინისტრის ბრძანება 16/6

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0>

დაკავშირებული. ემოციური სფეროს გავლენა მკაფიოა როგორც ქცევაზე, ასევე სწავლასა და შემეცნებაზე. სპეციალური მასწავლებლის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია მოსწავლის უნარების შესახებ თითოეულ სფეროში და **დაინახოს მათი ურთიერთკავშირი**. ამგვარად, შესაძლებელია მოსწავლის სიღრმისეულად შეფასება, მისი უნარების რეალისტურად და დეტალურად აღწერა, რაც დაეხმარება სპეციალისტს ეფექტიანი მიზნების დასახვაში.

### **წერის უნარის შეფასება**

წერილობითი ენა (Written language) წერილობითი ფორმით ეფექტური კომუნიკაციის დამყარების უნარია. ის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური ენობრივი მოცემულობაა, რომელიც საჭიროებს **ენის, აზრებისა და მოტორული უნარების** ერთმანეთთან ჰარმონიულ დაკავშირებას. რადგან აღნიშნული სამი კომპონენტი ურთიერთგადაჯაჭვულია, თუ მოსწავლეს აქვს რომელიმე ერთ ასპექტში გარკვეული სირთულე (მაგალითად, კალიგრაფია), ეს აუცილებლად აისახება სხვა კომპონენტზეც (მაგალითად, საკუთარი აზრების გარკვევით გადმოცემა). ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ზღუდავს წერილობით კომუნიკაციის ეფექტურად დამყარების შესაძლებლობას (Lerner & Johns, 2009).

გარკვევით წერის უნართან დაკავშირებულმა სირთულეებმა შესაძლებელია გავლენა იქონიოს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ მოსწავლეს სხვები. ასევე, თავად მოსწავლის თავდაჯერებულობაზე, თვითშეფასებასა და წერითი მოქმედების განხორციელების მოტივაციაზე. წერისთვის საჭიროა რამდენიმე მოდალობის ერთდროული კოორდინაცია და უფრო მეტი სინქრონიზაცია, ვიდრე სხვა დანარჩენი სასწავლო აქტივობის განხორციელების დროს. წერასთან დაკავშირებული სირთულეები გავლენას ახდენს მოსწავლის უნარზე გაუმკლავდეს და წარმატებით შეასრულოს საგაკვეთილო პროცესში არსებული დავალებები.

წერის უნარის განვითარების კლასიფიკაციის მრავალი სისტემა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია ბავშვის წერის უნარის ადრეული ეტაპობრივი განვითარების Morrow-სეული (2001) კლასიფიკაცია:

- **წერა ხატვით** - ბავშვი ნახატის საშუალებით ცდილობს ინფორმაციის გადმოცემას და „კითხულობს“ მას როგორც ნაწერს.
- **წერა „ჯღაბნით“** - ბავშვი აკეთებს წერის მოქმედების იმიტაციას მიუხედავად იმისა, რომ ის ვერ ცნობს ასოებს. შესაძლებელია, წერის პროცესში ბავშვი წერდეს არა სტანდარტულად - მარცხნიდან მარჯვნივ, არამედ პირიქით.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის საპირისპირო მიმართულებით წერა დამახასიათებელია.

- **წერა ასობს მიმსგავსებული ფორმების გამოყენებით** - ნელ-ნელა იმიტაცია უახლოვდება რეალური წერის პროცესს, თუმცა ამ ეტაპზე „ასობს“ აქვთ გამოგონილი ფორმები.
- **წერა ნაცნობი ასოთა ერთობლიობის გამოყენებით** - ბავშვი წერს კარგად ნაცნობ ასოთა გარკვეულ ერთობლიობას, მაგალითად, საკუთარ სახელს.
- **წერა გარკვეული ორთოგრაფიული უზუსტობებით** - ეს სტადია მოიცავს რამდენიმე ქვესტადიას, რომელთაც აერთიანებთ მთავარი მახასიათებელი - გაცნობიერება, რომ ასოები აღნიშნავენ სიტყვაში არსებულ გარკვეულ ბგერებს. ამ სტადიაზე წამყვანია ფონემატური ცნობიერების დაუფლება, რაც უდიდეს გავლენას ახდენს წერის კომპეტენციის განვითარებაზე.
- **კონვენციური ორთოგრაფია** - ბავშვი მართლწერის პრინციპების გამოყენებით იწყებს მისთვის სასურველი სიტყვების ჩაწერას. ნელ-ნელა გადაინაცვლებს წინადადებების ფორმირებაზე.

ფიცჯერალდი და შანაანი (Fitzgerald, Shanahan, 2000) გამოყოფენ წერის უნარის განვითარების რამდენიმე სტადიას, რომელიც მჭიდრო კავშირშია პარალელურად მიმდინარე კითხვის უნარის დაუფლების ეტაპებთან. ისინი ხაზს უსვამენ თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს კითხვის გამოცდილებას წერის კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე. მიუხედავად იმისა, რომ წერა და კითხვა სხვადასხვა პროცესია და გარკვეული თვალსაზრისით დაკავშირებულია განსხვავებულ უნარებთან და ცოდნის სფეროებთან, მათ შორის მაინც მჭიდრო თანაკვეთაა. მაგალითად, წინადადებაში საკვანძო სიტყვების შემჩნევის ავტომატიზაცია უშუალო კავშირშია ამავე სიტყვების წერის ავტომატიზაციასთან; ფონემების ცოდნა გვეხმარება როგორც კითხვისას, ასევე წერისას; გრამატიკისა და წინადადებების სტრუქტურის მახასიათებლები აუცილებელია წერისას და ამასთანავე, გვეხმარება მოქნილად კითხვაში. ზოგადად, მიღებულია, რომ აღნიშნული კომპეტენციები უნდა ისწავლებოდეს პარალელურად ადრეული ასაკიდან, რადგან „... ერთის სწავლება გავლენას ახდენს მეორეს შესწავლაზე“ (Cox, 1994).

წერილობითი ენა კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა. ის საჭიროებს აზროვნების კომპლექსურ პროცესებს და ემყარება მრავალ უნარს, რომელთა შორისაა საუბარი, მოსმენა, კითხვა, მოტორული უნარები, კალიგრაფია, მართლწერა და სხვა. წერა არის იმის დემონსტრირების საშუალება თუ როგორ ახდენს ინდივიდი იდეების ორგანიზებას კონკრეტული შეტყობინების გაგზავნის/გადმოცემის მიზნით. წერილობითი ენობრივი კომპეტენციის განვითარება არ იწყება მანამ, სანამ მოსწავლეს არ აქვს შესაბამისი

კითხვის, მართლწერის, კალიგრაფიისა და საკუთარი აზრების ვერბალურად (სიტყვიერად) გამოსატვის გამოცდილება.

წერა არის მულტიგანზომილებიანი პროცესი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ვერბალურ ენობრივ განვითარებასთან. გამოყოფენ წერის უნარის „ექვს პლუს ერთ“ მახასიათებელს, რომელსაც უწოდებენ Six Traits-One. წერის უნარის მახასიათებლების ცოდნა სპეციალურ მასწავლებელს დაეხმარება როგორც შეფასების პროცესში, ასევე, უნარის განვითარებისას თითოეულ კომპონენტზე ყურადღების გამახვილებაში. წერის უნარის მახასიათებლებია: 1. იდეები და შინაარსი (ideas and content), 2. ორგანიზება (organization), 3. ხმა (voice), 4. სიტყვების შერჩევა (word choice), 5. წინადადების მოქნილობა (word fluency), 6. კონვენციები (conventions). მართლწერა და კალიგრაფია წერილობითი ფორმით გამოსატვის ასევე მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომლებიც ერთიანდებიან მეექვსე კომპონენტში ან ხანდახან განიხილება ცალკე მახასიათებლად - პრეზენტაცია. თითოეულ ამ მახასიათებელს აქვს მჭიდრო ურთიერთკავშირი და ერთობლივად უზრუნველყოფენ წერილი კომპეტენციის, როგორც მკაფიო და გასაგები უნარ-ჩვევის ეფექტიან განვითარებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია თითოეული კომპონენტის მახასიათებლები.

ცხრილი 2. წერის 6+1 მახასიათებლები

კომპონენტი	მახასიათებლები
იდეები და შინაარსი	მოიცავს მთავარ შეტყობინებასა და თემას, შეტყობინების თითოეული ნაწილის შინაარსს, აზრებისა და იდეების გენერირებას, კომპოზიციის თითოეული ნაწილის შესაბამისობას თემასთან თუ საკითხთან, აუდიტორიის გათვალისწინებას.
ორგანიზება	გულისხმობს შეტყობინების სტრუქტურას, მისი ლოგიკური თანმიმდევრობას, სიტყვების კომბინაციას ფრაზებისა თუ წინადადების შექმნის მიზნით.
„ხმა“	გულისხმობს ავტორის პერსონალურ სტილს, რომელიც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ „ნამდვილი“ ადამიანი გვსაუბრება.
სიტყვების შერჩევა	გულისხმობს მდიდარი ლექსიკის არსებობას. მრავალფეროვანი და ზუსტი სიტყვების შერჩევას წინადადებების შედგენისას.
წინადადების მოქნილობა	ეხება წერისას წინადადებაში გამოყენებული სიტყვების რაოდენობას ასაკთან მიმართებით. ის მოიცავს წინადადების სიგრძესა და კომპლექსურობას. ასევე, გამოყენებული სიტყვების რითმსა და ტემპის შეგრძნებას.
კონვენციები	ეხება წერის უფრო ტექნიკურ მხარეს როგორცაა, პუნქტუაცია, მართლწერის შეცდომები, პარაგრაფის გამოყენება, გრამატიკა და ა.შ.
პრეზენტაცია	მოიცავს როგორც ვიზუალურ, ასევე, ტექსტობრივ ელემენტებს. რაც არ უნდა გამართული იყოს სხვა კომპონენტები, უმნიშვნელოვანესია თუ რამდენად გარკვევით წერია და წაკითხვადია საბოლოო პროდუქტი: ასოების ზომა და მოყვანილობა, კალიგრაფია, საზღვრების დაცვა, ასოებსა თუ სიტყვებს შორის სივრცეების არსებობა და ა.შ.

იმისთვის, რომ დავეხმაროთ მოსწავლეს წერის უნარის გაუმჯობესებაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს განვითარების რა ეტაპზე იმყოფება აღნიშნულ უნართან მიმართებით. სწორედ მიმდინარე მდგომარეობაზეა დამოკიდებული სწავლა-სწავლების კონკრეტული სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა და სპეციალურმა მასწავლებლებმა იცოდნენ თუ რა კომპონენტებს მოიცავს წერისა და წერილობითი ენის კომპეტენციები. მათ უნდა შეეძლოთ აღნიშნული უნარის შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება, შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება და პროგრესის მონიტორინგი.

გთავაზობთ წერის უნარის შეფასების ჩეკლისტს<sup>4</sup>, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებაში:

ჩეკლისტი 1. წერა

წერის უნარი	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1. წერს ასოებს მიმსგავსებულ ფორმებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2. შეუძლია ასოების კოპირება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3. წერს ზოგიერთ ასოს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4. წერს ყველა ასოს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5. წერს საკუთარ სახელს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6. წერს საკუთარ გვარს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7. წერს მარცვლებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8. შეუძლია სიტყვების ჩაწერა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9. სიტყვების ჩაწერისას არ ტოვებს ასოებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10. სიტყვების ჩაწერისას არ ანაცვლებს ასოებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11. სიტყვების ჩაწერისას არ ამატებს ასოებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

<sup>4</sup> ჩეკლისტი - სიტყვა-სიტყვით თარგმანში არის აღნიშვნის ფურცელი. ეს არის ფორმა, რომელიც აერთიანებს დებულებების, ქცევების თუ ამოცანების ჩამონათვალს. ამ ფორმაში გამოყოფილია სათანადო აღნიშვნის გრაფა, სადაც ხდება ჩანიშვნა იმისა გამოვლენილია თუ წარმოდგენილი ესა თუ ის მახასიათებელი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=18583>

12.	სიტყვების ჩაწერისას ასოებს შორის იცავს ინტერვალს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	შუქდლია წინადადების ჩაწერა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	წინადადების ჩაწერისას სიტყვებს შორის იცავს ინტერვალს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	წერს თანაბარი ზომის ასოებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	წერს საშუალო ზომის ასოებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	ასოების ჩაწერისას იცავს სივრცეში განლაგების პრინციპს (ზედა და ქვედა რეგისტრი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	წერს სიტყვებს კარნახით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	წერს წინადადებებს კარნახით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	წერისას შუქდლია ფურცელზე სივრცის წინასწარ სწორად ორგანიზება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
21.	დასმულ შეკითხვებს პასუხობს წერილობით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
22.	შუქდლია საკუთარი აზრის წერილობით ფორმულირება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
23.	შუქდლია წერილობით მცირე ტექსტის შექმნა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
24.	ტექსტში ინფორმაცია მოცემულია თანმიმდევრულად. წინადადებებს შორის არის ლოგიკური კავშირი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
25.	წერისას სასვენ ნიშნებს იყენებს შესაბამისად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
26.	წერისას იცავს გრამატიკის ძირითადად წესებს. წინადადებები გამართულია სინტაქსურად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
27.	შუქდლია საკუთარ ნაწერში შეცდომების იდენტიფიცირება და შესწორება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

## **კითხვის უნარის შეფასება**

კითხვის უნარი გულისხმობს ნაბეჭდი ან წერილობითი ტექსტის გაშიფვრას და მისი შინაარსის გაგებას. კითხვის პროცესში მნიშვნელოვანია ამოვიცნოთ კონკრეტული სიტყვები და შემდგომ გავაერთიანოთ ისინი წინადადებად, რომელიც იქნება გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი.

კითხვის უნარის დაუფლების პროცესი გარკვეული თანმიმდევრობით მიმდინარეობს და საკმაოდ ბევრს კომპონენტს მოიცავს. მნიშვნელოვანია ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება, ნაბეჭდის აღქმა, სიტყვების ამოკითხვა და მათი მნიშვნელობის გაგება. ბოლოს კი, ნებისმიერი წერილობითი თუ ნაბეჭდი სახით არსებული ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გაგება. განვიხილოთ, რას გულისხმობს თითოეული მათგანი.

**ფონოლოგიური ცნობიერება** კითხვის წინა უნარია, ამ ეტაპზე მოსწავლემ ჯერ არ იცის ასოების ცნობა. მოსწავლე აცნობიერებს, რომ ბგერები ერთიანდებიან და ამ გზით ვიღებთ სიტყვებს. გამომდინარე იქიდან, რომ ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება წინ უძღვის კითხვის უნარის განვითარებას მნიშვნელოვანია ყველა მასწავლებელმა კითხვის უნარის შეფასებამდე მოიპოვოს ინფორმაცია იმაზე, აქვს თუ არა მის მოსწავლეს განვითარებული ფონოლოგიური ცნობიერება.

**ნაბეჭდის აღქმა** კითხვამდელი ეტაპია და გულისხმობს, გაცნობიერებას იმისა, რომ ნაბეჭდი არის გარკვეული ინფორმაციის მატარებელი. სწორედ ეს კომპონენტი მოიცავს გაგებას იმისა, რომ ასოები ქმნიან სიტყვებს, სიტყვები კი წინადადებას. ამ კომპონენტის საშუალებით განარჩევენ ბავშვები ერთმანეთისაგან ტექსტის დასაწყისს, შუა ნაწილსა და დასასრულს ორგანიზების და არა შინაარსობრივი კუთხით. არჩევენ იმას, თუ როგორ უნდა იყოს ტექსტი განთავსებული ფურცელზე, გამოყოფენ ტექსტის მახასიათებლებს (სასვენი ნიშნები, მთავარის გამოყოფა). იგებენ იმას, თუ როგორ უნდა დავიჭიროთ წიგნი და ზოგადად, რას გულისხმობს კითხვითი აქტივობა.

**ანბანური პრინციპის გაგება** - მოსწავლემ უკვე იცის, რომ სიტყვები შედგება ასოებისაგან. ამ ეტაპზე მოსწავლე უკვე აკავშირებს ბგერას და ასოს ერთმანეთთან. მან იცის, რომ ყველა ასო განსხვავებულად გამოითქმის, ყველა მათგანს თავისი სახელი აქვს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეს ესმის ანბანური პრინციპი ის უკვე იწყებს სიტყვების წაკითხვას. იცის, რომ ასოების თუ ბგერების გაერთიანებით ვიღებთ სიტყვებს, რომლებიც გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. სიტყვების კითხვის პარალელურად მოსწავლე იწყებს წინადადებების და ტექსტების წაკითხვას. კითხვის პროცესში მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი ტემპითა და ინტონაციით კითხულობს მოსწავლე კონკრეტულ ტექსტს. კითხვის უნარის უმთავრესი მიზანი წაკითხულის

შინაარსის გაგებაა. ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მოიპოვოს ინფორმაცია, ესმის თუ არა მოსწავლეს წაკითხული სიტყვის, წინადადებისა თუ ტექსტის შინაარსი.

გთავაზობთ კითხვის უნარის შეფასების ჩეკლისტს, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლის კითხვის უნარის შესახებ გარკვეული სურათის შექმნასა და საჭიროებების იდენტიფიცირებაში:

ჩეკლისტი 2. კითხვა

კითხვის უნარი	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1. ასახელებს რამდენი ბგერაა სიტყვაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2. ასახელებს რამდენი მარცვალაა სიტყვაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3. ამოიცნობს სიტყვაში პირველ ბგერას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4. ისმენს ცალკეულად წარმოთქმულ ბგერებს და აერთიანებს მათ სიტყვებად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5. აერთიანებს მარცვლებს სიტყვებად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6. სიტყვაში ამოიცნობს საერთო/მსგავს ბგერებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7. სიტყვაში ამოიცნობს საერთო/მსგავს მარცვლებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8. ამოიცნობს ერთნაირი ჟღერადობის სიტყვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9. განასხვავებს სხვადასხვა ჟღერადობის სიტყვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10. ასახელებს სიტყვის ჟღერადობის მსგავს სხვა სიტყვას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11. ამოიცნობს სიტყვას, რომელიც მიიღება კონკრეტული მარცვლის ამოღების შემდეგ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12. აცნობიერებს, რომ ტექსტი შეიცავს გარკვეულ გზავნილს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13. მიუთითებს სად მდებარეობს/წერია სათაური	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14. იჭერს წიგნს სწორად და შლის ფურცლებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15. განასხვავებს წიგნის წინა და უკანა მხარეს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

16.	მიუთითებს საიდან უნდა დაიწყოს კითხვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	განსაზღვრავს სიტყვათა კითხვის მიმართულებას (მარცხნიდან მარჯვნივ)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	გადადის ხაზიდან ხაზზე და აცნობიერებს, რომ როცა ერთ ხაზზე დაწერილი სიტყვა სრულდება შემდეგ ხაზზე უნდა გადავიდეს და დაიწყოს კითხვა მარცხენა მხრიდან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	აყოლებს თითო ხაზს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	მიუთითებს, რომ ჯერ წიგნის მარცხენა მხარე უნდა წაიკითხოს და შემდეგ მარჯვენა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
21.	ამოიცნობს წიგნის ზედა და ქვედა მხარეს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
22.	განასხვავებს ტექსტს ილუსტრაციებისაგან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
23.	ასახელებს სასვენი ნიშნების მნიშვნელობას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
24.	იყენებს თვალსაჩინოებას სიტყვის მნიშვნელობის გაგების მიზნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
25.	ამოიცნობს შეუსაბამობას ტექსტსა და ილუსტრაციას შორის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
26.	ამოიცნობს სუფიქსებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
27.	ამოიცნობს პრეფიქსებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
28.	იყენებს შინაარსს უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გაგების მიზნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
29.	ამოიცნობს ხშირად წაკითხულ სიტყვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
30.	ითვლის მარცვლების რაოდენობას სიტყვაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
31.	დასახელებულ ასოს პოულობს ასოთა ჩამონათვალში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
32.	წერილობით სიტყვას პოულობს ბეჭდურ წინადადებაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
33.	ცნობს ზოგიერთ ასოს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
34.	ცნობს ყველა ასოს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

35.	განასხვავებს ხმოვნებსა და თანხმოვნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
36.	სიტყვაში გამოყოფს პირველ ასოს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
37.	სიტყვაში გამოყოფს ბოლო ასოს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
38.	სიტყვაში გამოყოფს ნებისმიერ ასოს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
39.	კითხულობს ერთმარცვლიან სიტყვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
40.	კითხულობს 2-3 მარცვლიან სიტყვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
41.	კითხულობს ნებისმიერ სიტყვას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
42.	ესმის წაკითხული სიტყვის შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
43.	კითხულობს ნაცნობი სიტყვებისაგან შემდგარ წინადადებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
44.	კითხულობს ნებისმიერ წინადადებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
45.	კითხვის დროს ითვალისწინებს სასვენ ნიშნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
46.	სიტყვებს კითხულობს სწორად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
47.	კითხულობს და იგებს მარტივ ადაპტირებულ ტექსტს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
48.	კითხულობს და იგებს ასაკის შესაბამის ტექსტს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

### თხრობის უნარის შეფასება

თხრობა არის უნარი, რომელიც გულისხმობს ინდივიდის მიერ გარკვეული ისტორიის ან ცალკეულ მოვლენათა მიმდევრობით გადმოცემას. თხრობა კომპლექსური უნარია, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გაგებას, დამახსოვრებას, დამახსოვრებულიდან რელევანტური ნაწილების სელექციას, თანმიმდევრობით მათ განლაგებასა და შესაბამისი ლექსიკური მარაგის გამოყენებითა და გრამატიკული წესების დაცვით ვერბალურად მათ გადმოცემას. თხრობა გარდა ისტორიის მოყოლისა, ასევე, გულისხმობს გარკვეული საგნებისა თუ მოვლენების აღწერას, საკუთარი თავის შესახებ მოყოლას, ინსტრუქციების მიცემას და ა.შ. ყოველივე ეს მნიშვნელოვანია შემდგომში

კითხვის უნარის განვითარებისთვის, რაც გულისხმობს წაკითხული წინადადების, მოთხრობისა თუ ტექსტის შინაარსის გაგებას.

თხრობის უნარის სტიმულირების ხელშეწყობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის წარმოსახვის, ვერბალური მოქნილობის, პროგნოზირების, სხვების პერსპექტივის დანახვისა და თანაგანცდის უნარის განვითარება-სტიმულირებისთვის. იგი, ასევე, ხელს უწყობს მიღებული ცოდნის განმტკიცებას და სწავლის ახალი შესაძლებლობების მიღებას. მოთხრობების ან ისტორიის გარკვეული პატერნების გაცნობა ეხმარება მოსწავლეებს განვიითარონ კითხვის უნარ-ჩვევები, რადგან მათ უკვე ექმნებათ გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რაზე შეიძლება იყოს მოთხრობა, როგორი იქნება მისი სიუჟეტური თავისებურებები და განვითარება.

გამოყოფენ სამ ძირითად სტადიას, რომლებიც უნდა გაიარონ ბავშვებმა, რათა გახდნენ კარგი მოთხრობელები (Pie Corbett, 2007):

- **იმიტაცია:** მოთხრობისა თუ ისტორიის პატერნების შემჩნევისა და შემდგომ გადმოცემის უნარი.
- **ინოვაცია:** ნაცნობ ან მსგავს ისტორიასა თუ მოთხრობაში კონკრეტული ასპექტების შეცვლის უნარი.
- **გამოგონება:** ისტორიის გამოგონების უნარი.

კარგად განვითარებული თხრობის უნარი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წერიითი აქტივობების წარმატებით შესრულებაზე, რადგან ამ დროს მათ უწევთ სიუჟეტის შესაბამისი თანმიმდევრობით სტრუქტურირება და ლექსიკური მარაგის აქტიურად გამოყენება.

თხრობის უნარის სიმწირის მქონე ინდივიდებს შესაძლებელია სირთულეები ჰქონდეთ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, კითხვისას თუ მოსმენისას:

- მოსმენილი თუ წერილობით ინფორმაციიდან საკვანძო საკითხების გამოყოფის სირთულე (წიგნი, სტატია, გაკვეთილი...), როგორცაა, მთავარი იდეა, პერსონაჟის განვითარება, შინაარსი და სხვა.
- ტექსტის ირგვლივ დასმულ შეკითხვებზე შესაბამისი პასუხის გაცემის სირთულე. ასეთ დროს მოსწავლეებს ხშირად განმეორებით უწევთ წინა წინადადებაზე დაბრუნება და განმეორებით წაკითხვა.

კომუნიკაციისას:

- ერთი თემიდან მეორეზე გადახტომა.
- მნიშვნელოვანი დეტალების გამოტოვება.
- საკითხიდან/თემიდან ხშირი გადახვევა.

- ერთი და იგივეს მრავალჯერ გამეორება.
- მოვლენათა თანმიმდევრობით განლაგების სირთულე.
- მრავალფეროვანი სიტყვათა მარაგის გამოყენებისა და წინადადებაში მათი ორგანიზების სირთულე.

ერთ-ერთი სფერო, რომელზეც განსაკუთრებულად დიდ და უარყოფით გავლენას ახდენს თხრობის უნარის სირთულე არის ურთიერთობები. სკოლაში ფუნქციონირებისთვის თუ ურთიერთობებისას თხრობა ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და აუცილებელი უნარია. როდესაც კომუნიკაციისას გარკვეული სირთულე იქმნება, ეს იწვევს როგორც თავად მთხრობელის, ასევე მსმენელის ფრუსტრაციას.

იმისათვის, რომ დავეხმაროთ მოსწავლეს თხრობის უნარის სტიმულირება-განვითარებაში პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, შეფასების შედეგად მოსწავლის შესაძლებლობებისა და სირთულეების შესახებ გარკვეული პროფილის შექმნა. ინტერვენციის დაგეგმვა კი, პრობლემის იდენტიფიცირებისა და მოსწავლის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. გთავაზობთ თხრობის უნარის შეფასების ჩეკლისტს:

ჩეკლისტი 3. თხრობა

თხრობის უნარი		ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1.	ამბობს ცალკეულ სიტყვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2.	საკუთარი თავის შესახებ დასმულ შეკითხვებს პასუხობს შესაბამისად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3.	შუუძლია საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გადმოცემა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4.	შუუძლია ინსტრუქციის მიცემა (მაგალითად, მომარჯოდე წიგნი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5.	შუუძლია შეკითხვის ფორმულირება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6.	მარტივი ფრაზებით აღწერს საგნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	მარტივი ფრაზებით აღწერს ყოველდღიურ მოვლენებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	მოსმენილი ან წაკითხული მარტივი ტექსტის ირგვლივ დასმულ ფაქტობრივ შეკითხვებს პასუხობს შესაბამისად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	მარტივი ფრაზებით გადმოსცემს მოსმენილი ან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

	წაკითხული მარტივი ტექსტის შინაარსს				
10.	თხრობისას შინაარსს გადმოსცემს ლოგიკური თანმიმდევრობით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	ყვება გარკვევით, მკაფიოდ და უცხო მსმენელისთვის გასაგებად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	თხრობისას იყენებს მრავალფეროვან ლექსიკას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	თხრობისას იცავს ინტონაციას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	თხრობისას იცავს ტემპს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	თხრობისას იცავს პაუზებს წინადადებებს შორის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	თხრობისას იყენებს გავრცობილ წინადადებებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	აღწერს პერსონაჟს ძირითადი მახასიათებლების მიხედვით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	თხრობისას წინადადებები გამართულია სინტაქსურად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	იყენებს რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	ამოიცნობს ტექსტში საკვანძო საკითხებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
21.	ტექსტისა თუ პერსონაჟებისადმი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
22.	მსჯელობს არგუმენტირებულად კონკრეტული საკითხის ირგვლივ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
23.	მსჯელობს ტექსტში არსებული პრობლემის გადაჭრის შესახებ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

### მათემატიკური უნარების შეფასება

მათემატიკური წარმოდგენების ჩამოყალიბება ადამიანის განვითარების ადრეულ პერიოდში იწყება და თვალსაჩინო ხდება მაშინ, როცა ბავშვი აღმოაჩენს მის გარშემო არსებული საგნების სხვადასხვა ფორმასა და ზომას, იწყებს მათ შედარებასა და


გადათვლას. მათემატიკური უნარები ასოცირებულია პრობლემის გადაჭრასთან, რაც მნიშვნელოვანია ყოველდღიური ამოცანების შესასრულებლად და გარემოში ფუნქციონირებისთვის. მკვლევართა აზრით, ბავშვები, რომლებიც ბაზისურ მათემატიკურ უნარებს ადრეულ ასაკშივე ივითარებენ, ნაკლებ სირთულეებს აწყდებიან სკოლასა და ზრდასრულობაში უფრო სიდრმისეული მათემატიკური უნარების განვითარების კუთხით (Arnold, Fisher, Doctoroff & Dobbs, 2002).

ადრეული მათემატიკური წარმოდგენების ჩამოყალიბება აუცილებელი ფუნდამენტია, რომლის გარეშეც ვერ მოხდება ახალი, უფრო რთული უნარების განვითარება. ბოუმენისა და მისი კოლეგების (Bowman et al., 2001) მიერ შემოთავაზებულია 4 ძირითადი მიმართულება, რომელიც ქმნის მათემატიკური უნარების განვითარების წინაპირობას:

- **ზომა, ფორმა, მიმდევრობა** - ბავშვს შეუძლია გაარჩიოს ერთმანეთისგან საგნები და ნივთები ზომისა და ფორმის მიხედვით. ნიმუშის მიხედვით აგრძელებს, აწყობს და ქმნის მარტივ მიმდევრობებს;
- **თვლა და უკუთვლა** - ითვლის როგორც პირდაპირ, ასევე უკუმიმართულებით 10-მდე;
- **ციფრები** - ცნობს ზოგიერთ ციფრს, შეუძლია მიმსგავსებული ფორმების გამოსახვა;
- **რაოდენობრივი ცნობიერება** - საგანთა რაოდენობებს აღწერს სიტყვებით „ბევრი“ და „ცოტა“, უსაბამებს რაოდენობებს ერთმანეთს, მაგალითად, 3 სათამაშო ლამბაქზე ათავსებს 3 ჭიქას.

მათემატიკური უნარების განვითარება მოითხოვს მოსწავლის უნარების დეტალურ შეფასებას, რომელთა საფუძველზე სპეციალური მასწავლებელი განსაზღვრავს შესაბამის სტრატეგიებსა და მიდგომებს საჭირო ბაზისური უნარების განვითარებისთვის, ნერგავს მას პრაქტიკაში და კვლავ აკვირდება სწავლისა და განვითარების პროცესს.

ილუსტრაცია 7. შეფასების პროცესი



ბაზისური მათემატიკური უნარების შეფასებისთვის სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან მოიპოვოს, მათ შორის: უშუალოდ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მათემატიკური უნარის სხვადასხვა კომპონენტზე მიმართული სავარჯიშოებისა და დავალებების მიწოდება, ტესტირება და ა.შ. შეფასების პროცესში შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ჩეკლისტის გამოყენება:

ჩეკლისტი 4. მათემატიკური უნარები

ბაზისური მათემატიკური უნარები		ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
<b>ციფრები და რიცხვები</b>					
1.	შეუძლია დაითვალოს (დაკონკრეტდება რამდენის ფარგლებში)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2.	შეუძლია დაითვალოს უკუმიმართლებით (დაკონკრეტდება ფარგლები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3.	შეუძლია დაასახელოს რიცხვის წინა და მომდევნო	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4.	ცნობს და ასახელებს ციფრებს (0-დან 9-ის ჩათვლით)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5.	ცნობს და ასახელებს რიცხვებს (დაკონკრეტდება ფარგლები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6.	შეუძლია რიცხვების კოპირება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	შეუძლია რიცხვების დამოუკიდებლად ჩაწერა (დაკონკრეტდება ფარგლები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	შეუძლია რიცხვების მწკრივში გამოტოვებული რიცხვების ჩაწერა, დასახელება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	განარჩევს ერთმანეთისგან ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10.	შეუძლია ორის გამოტოვებით თვლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	შეუძლია ხუთის გამოტოვებით თვლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	შეუძლია რიცხვების ჩაწერა სიტყვიერად (დაკონკრეტდება ფარგლები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	გამოსახავს რიცხვს სხვადასხვა ფორმით (სიმბოლოებით, ფიგურებით)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

რაოდენობა, რაოდენობის შედარება					
14.	შუქდლია გადაითვალოს საგანთა რაოდენობა (დაკონკრეტდება ფარგლები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	შუქდლია დაუთვლელად დაასახელოს რაოდენობა 10-მდე რაოდენობის საგანში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	შუქდლია დასახელებული რაოდენობის გადამოწმება გადათვლით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	ადარებს საგანთა მოწესრიგებულ რაოდენობას ერთმანეთს და ამბობს - მეტია, ტოლია, ნაკლებია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	ცნობს და ასახელებს მეტობის, ნაკლებობისა და ტოლობის სიმბოლოებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	ადარებს 10-მდე ციფრებს ერთმანეთს და იყენებს ტოლობის ნიშნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	ადარებს ორნიშნა რიცხვებს ერთმანეთს და იყენებს ტოლობის ნიშნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
21.	შუქდლია მიწოდებულ რაოდენობას შეუსაბამოს რიცხვი და პირიქით (დაკონკრეტდება ფარგლები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
22.	საგანთა მოწესრიგებული ვიზუალური რაოდენობის შესადარებლად იყენებს სტრატეგიებს (მაგ, გადახაზავს ცალკეულ ობიექტებს)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
23.	საგანთა რიგში ასახელებს და ამოიცნობს პირველ და ბოლო წევრს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
24.	შუქდლია რიგობითი რიცხვითი სახელის გამოყენება (დაკონკრეტდება ფარგლები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
მათემატიკური გარდაქმნები					
25.	ასრულებს მიმატება-გამოკლების მოქმედებებს ჩხირების, მონეტების დახმარებით (დაკონკრეტდება რამდენის ფარგლებში)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
26.	ცნობს, ასახელებს და იყენებს მიმატების, გამოკლებისა და ტოლობის ნიშნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

27.	შუქდლია მიმატება - გამოკლების მოქმედებების გამოთვლა როგორც წერილობით, ასევე ვერბალურად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
28.	შუქდლია მარტივი არითმეტიკული ამოცანის პირობის გაგება (ერთი კალამი შუნ, ერთი მე, ორივეს რამდენი გვაქვს?)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
29.	შუქდლია არითმეტიკული მოქმედებების განხორციელება 10-ის გავლით (მაგ: 7+5, 13-8)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
30.	შუქდლია რიცხვის შევსება დასახელებულ ათეულამდე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
31.	შუქდლია რამდენიმე მოქმედებანი მარტივი არითმეტიკული მაგალითის ამოხსნა (2+4+2)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
32.	შუქდლია შებრუნებული მოქმედების ამოხსნა (2+4 =6; 6-2 = ?)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
33.	შუქდლია მიმატება-გამოკლების განხორციელება ორნიშნა რიცხვებზე ქვეშმიწერით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
34.	შუქდლია მარტივ ამოცანაში განსაზღვროს რამდენით მეტია, რამდენით ნაკლებია ერთი რიცხვი მეორეზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
<b>გეომეტრია და სივრცითი მიმართებები</b>					
35.	ცნობს, ასახელებს ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
36.	გადახატავს, გამოსახავს ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
37.	აკავშირებს გეომეტრიულ ფიგურებს გარემოში არსებულ რეალურ საგნებთან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
38.	აღწერს გეომეტრიულ ფიგურებს (მაგ.: რამდენი წვერო, გვერდი აქვს და სხვა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
39.	იყენებს სახაზავს გეომეტრიული ფიგურების გასაზომად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
40.	ცნობს და ასახელებს სივრცით გეომეტრიულ ფიგურებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

კანონზომიერება				
41.	ალაგებს ფერებს, ფიგურებს, საგნებს მონაცვლეობით (ლურჯი, მწვანე, ლურჯი, მწვანე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
42.	ავსებს მიწოდებულ მარტივ კანონზომიერებაში გამოტოვებულ ადგილს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
43.	ადარებს მიმდევრობების ორ მწკრივს და ამოიცნობს კანონზომიერ ნიმუშს, ე.წ. „პატერნს“	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### მსხვილი მოტორული უნარების შეფასება

ადამიანი ყოველდღიურად უამრავ მოქმედებას ასრულებს, რომელთაგანაც ბევრი მისი კონტროლის გარეშე, გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. მაგალითად, ჩვენ არ ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ ვიაროთ, როგორ ავიდეთ კიბეზე, როგორ დავარტყათ ფეხი ბურთს ფეხბურთის თამაშისას, როგორ დავსხდეთ ან შევიცვალოთ ჯდომისას პოზა, როგორ გადავახტეთ სახლის სადარბაზოსთან არსებულ გუბეს ისე, რომ ფეხი არ დაგვისველდეს და ა.შ. ყველა აქ ჩამოთვლილი მოქმედებისათვის საჭიროა მსხვილი მოტორული მოძრაობების შესრულება, რომელიც მსხვილი კუნთების მოქნილ მოძრაობასა და გამოყენებასთანაა დაკავშირებული.

მსხვილი მოტორიკა დაკავშირებულია უნართან, რომ ადამიანმა შეძლოს კიდურებისა და მსხვილი კუნთების კონტროლი. მსხვილი მოტორიკის საშუალებით ვასრულებთ მოქმედებს, რომლებშიც ჩართულია კუნთები, ტანი, ფეხები და ხელები. ფაქტობრივად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსხვილი მოტორიკა მთლიანი სხეულის მოძრაობებს მოიცავს.

ბავშვის განვითარების პროცესში მსხვილი კუნთების განვითარება წინ უსწრებს წვრილი კუნთების განვითარებას, სწორედ ამიტომ, ისინი უფრო ადრე იწყებენ ისეთი მოქმედებების შესრულებას, რომელიც მსხვილ კუნთებთანაა დაკავშირებული, ვიდრე აქტივობების, რომლებიც სიზუსტეს და წვრილი კუნთების გააქტიურებას საჭიროებს.

მსხვილი მოტორიკის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ბავშვებში თამაშის წახალისება. ეზოს სხვადასხვა თამაში, როგორცაა კლასობანა, დაჭერობანა, კალათბურთი და ბევრი სხვა მსგავსი აქტივობა ხელს უწყობს მსხვილი მოტორული უნარების განვითარებას. მაგალითად, როდესაც ბავშვი თამაშობს კლასობანას ის ხტება ორ ფეხზე, ხტება ცალ ფეხზე, უწევს ბალანსის დაცვა, კიდურების კონტროლი. ყოველი აღნიშნული მოქმედება, მსხვილი მოტორიკის განვითარებასთანაა დაკავშირებული.

მსხვილი მოტორული უნარების განვითარება ეხმარება მოსწავლეს გადაადგილებაში, წონასწორობის დაცვაში, სპორტის გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობაში და ა.შ.

გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი ტიპის აქტივობებს ყოველდღიურად ახორციელებენ ბავშვები, მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს ამ უნარის აღწერა, რისთვისაც გთავაზობთ ჩეკლისტს:

ჩეკლისტი 5. მსხვილი მოტორული უნარები

	მსხვილი მოტორული უნარი	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1.	დგას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2.	დადის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3.	დარბის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4.	ანტება ბარიერს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5.	ადის კიბეზე / ჩამოდის კიბეზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6.	დგება ცალ ფეხზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	დადის ასკინკლით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	დგება ქუსლებზე და დადის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	ჯდება მუხლებში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10.	ხტება სიმაღლეზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	ჯდომის დროს იცვლის პოზას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	ძვრება ძელზე/ბაწარზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	ბურთს ურტყამს ფეხს/ხელს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	იცავს წონასწორობას მოძრაობის, სირბილის დროს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	დარბის მიმართულების ცვლილებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	ჩართულია ფიზიკურ აქტივობებში 30 წუთით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	იმეორებს ნაჩვენებ ფიზიკურ ვარჯიშებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	ხტება ორივე მიბჯენილი ფეხით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

19.	მოქნილია სხვადასხვა მოქმედებების შესრულებისას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	ავლენს გამძლეობას ვარჯიშის, ფიზიკური აქტივობების შესრულებისას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

### ნატიფი მოტორული უნარების შეფასება

ყოველდღიურად თითოეული ჩვენგანი უამრავ მოქმედებას ვასრულებთ: კბილების გამოხეხვა, თმის დავარცხნა, საუზმის მომზადება, ჩანთის ჩალაგება, გასაღებით კარის დაკეტვა და ა.შ. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისთვის საჭიროა ნატიფი მოტორული უნარები, თუმცა მათ ხშირ შემთხვევაში იმდენად ავტომატურად და გაუცნობიერებლად ვასრულებთ, რომ გვავიწყდება, რამდენად საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისინი.

ნატიფი მოტორული უნარები წარმოადგენს ხელში, მტევანსა და თითებში არსებული წვრილი კუნთების მოქნილ გამოყენებას თვალის მოძრაობასთან კოორდინაციაში. ნატიფი მოტორულ უნარების განვითარებაზე დამოკიდებულია ისეთი მნიშვნელოვანი ყოველდღიური, ფუნქციური თუ აკადემიური მოქმედებების განხორციელება, როგორცაა, მაგალითად, ჩანგლის დაჭრა, ნივთების ჩალაგება, ტანსაცმლის ჩაცმა, წერა, წიგნის გადაშლა, გადაფურცვლა და სხვა. ნატიფ მოტორულ უნარებს ცენტრალური ნერვული სისტემა აკონტროლებს, ამ გზით ჩვენი მოქმედებები ჩვენს დანახულთან სინქრონიზდება.

ნატიფი მოტორული უნარების განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკრეტული აქტივობის ეფექტიანად შესრულებაზე და შესრულების პროცესის ტემპზე. ნატიფი მოტორიკა წარმოადგენს კომპლექსურ უნარს, რომლისთვისაც საჭიროა რამდენიმე დამოუკიდებელი უნარის კოორდინაცია და ურთიერთმოქმედება, რათა წარმატებით შევძლოთ კონკრეტული საგნით მანიპულაცია თუ რაიმე აქტივობის შესაბამისად შესრულება. იგი დიდწილადაა დამოკიდებული მსხვილი მოტორული უნარების განვითარებაზეც, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ისეთი მოძრაობები, როგორცაა: სირბილი და ხტომა. ქვემოთ სფეროების მიხედვით ჩამოთვლილია ნატიფი მოტორული უნარების რამდენიმე მაგალითი:

#### აკადემიური უნარები:

- საწერი საშუალების გამოყენება (გაფერადება, ხატვა, წერა, კოპირება)
- მაკრატილის გამოყენება (გამოჭრა, დაჭრა)

#### თამაში:

- კონსტრუქციული თამაშები (ლეგოები, ფაზლები, ვაგონები და ა.შ.)
- თოჯინის ჩაცმა და მოვლა
- კომპიუტერის გამოყენება (კლავიატურა, „მაუსი“)

#### თვითმოვლა:

- ჩაცმა (თასმების, ღილების, ელვა შესაკრავის შეკვრა, ქამრის გაკეთება და სხვა)
- კვება (ჩანგლის, კოვზის გამოყენება, კონტინერის გახსნა, ჭიქის აღება)
- ჰიგიენა (კბილების გამოხეხვა, თმის დავარცხნა, საპირფარეშოს მოხმარება და სხვა)

როგორც ხედავთ, ნატიფი მოტორული უნარები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ყოველდღიური, ასევე აკადემიური აქტივობების განხორციელებისთვის. ნატიფი მოტორული უნარები მოსწავლეს ეხმარება თვითმოვლისა და აკადემიური საქმიანობების განხორციელებას. იზრდება მოსწავლის დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხი, რაც აისახება მის თვითშეფასებაზე.

ნატიფი მოტორული უნარების განვითარება ჩვილობის ასაკიდან იწყება და ასაკის მატებასთან ერთად უფრო და უფრო იხვეწება. ყველა ბავშვი თავისი ინდივიდუალური ტემპით ვითარდება, თუმცა არსებობს გარკვეული უნარები, რომელთაც ბავშვი კონკრეტულ ასაკში უნდა ფლობდეს. მაგალითად, სკოლამდელი ასაკის პერიოდში (დაახლოებით 5-6 წელი), ბავშვს უნდა შეეძლოს მარტივი ფიგურებისა და ასოების კოპირება.

აღსანიშნავია, რომ ბავშვს ნებისმიერ ასაკში შეიძლება ჰქონდეს ნატიფ მოტორულ უნარებთან დაკავშირებული სირთულეები სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დავაკვირდეთ გამაფრთხილებენ ნიშნებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში პრობლემა ძალიან თვალსაჩინოა: მაგალითად, ნივთების ხელში დაჭერის სირთულე, საგნის დავარდნა, საწერი საშუალებისა თუ მაკრატლის გამოყენების პრობლემა და სხვა. ასეთ დროს ბავშვები ხშირად გამოხატავენ პროტესტს, მოტივაციისა და ინტერესის ნაკლებობას ისეთი აქტივობებისადმი, რომლის შესრულებისთვისაც საჭიროა ნატიფი მოტორული უნარების ჩართულობა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში ხშირია ნატიფ მოტორულ უნარებთან დაკავშირებული სირთულეები. მოგეხსენებათ ნატიფი მოტორიკა მრავალი უნარის განვითარების წინაპირობაა, ამიტომ უმნიშვნელოვანესია მოსწავლის შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება/განსაზღვრა და შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვა. ამისათვის აუცილებელია აღნიშნულ უნართან დაკავშირებული თავისებურებების ცოდნა.

ჩეკლისტი 6. ნატიფი მოტორული უნარები

ნატიფი მოტორული უნარი		ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1.	წვდება და იღებს ნივთს ხელში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2.	იღებს ნივთებს ერთი თითისა და ცერის გამოყენებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3.	გადააქვს საგანი ერთი ხელიდან მეორეში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4.	ჩამოაცვამს რგოლებს ჯოხს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5.	ჩამოაცვამს „მძივებს“ ძაფს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6.	ხსნის ბოთლის თავსახურს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	ამაგრებს ბოთლს თავსახურს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	შუქდლია საგნების ერთმანეთში ჩასმა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	ჭამს ჩანგლის გამოყენებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10.	ჭამს კოვზის გამოყენებით, მიაქვს საჭმელი პირთან და არ ეღვრება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	სითხეს ასხამს ჭიქაში დაღვრის გარეშე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	მიაქვს ჭიქა პირთან დაღვრის მიზნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	შუქდლია წიგნისა თუ რვეულის გადაფურცვლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	ხსნის და იკრავს ელვა შესაკრავს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	იხდის ტანსაცმელს, წინდება, ფეხსაცმელს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	იცვამს ტანსაცმელს, წინდება, ფეხსაცმელს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	იკრავს ღილებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	იკრავს თასმებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	იხეხავს კბილებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	იჭერს საწერ საშუალებას ხელში პინცეტისებური ჩაჭიდებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

21.	შუქდლია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების გავლება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
22.	შუქდლია მარტივი ფიგურების კოპირება (წრე, ოთხკუთხედი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
23.	ფიგურას აფერადებს კონტურის დაცვით, არ ტოვებს სივრცეებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
24.	წერს ასოებსა და ციფრებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
25.	იყენებს მაკრატელს, მაგალითად, ფურცლის დაჭრის მიზნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
26.	იყენებს მაკრატელს ფიგურის გამოჭრის მიზნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
27.	ქმნის ნახატს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

### ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის შეფასება

ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება წარმოადგენს პოზიტიური ურთიერთობების, მეგობრობის ჩამოყალიბებისა და მოსმენით, საუბრითა და შეკითხვის დასმით სწავლის, ცოდნის მიღების შესაძლებლობის საფუძველს. კარგად განვითარებულ ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარებს უდიდესი გავლენა აქვს მოსწავლის თავდაჯერებულობასა და თვითშეფასებაზე. ენა-მეტყველების გამოყენებით ინტერაქციისა და თამაშისას, მოსწავლე ივითარებს სოციალურ უნარ-ჩვევებსა და აყალიბებს მეგობრულ ურთიერთობებს თანატოლებთან თუ უფროსებთან, რაც წარმოადგენს საზოგადოებაში მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისა და კარგად ყოფნის (well-being) საფუძველს. როდესაც ბავშვები და მოზარდები სწავლობენ ახალ სიტყვებს, ისინი ხდებიან უფრო თავდაჯერებულნი, ნელ-ნელა სწავლობენ სურვილებისა და ემოციების სხვებისთვის გასაგები სიმბოლოებით გამოხატვას. ყოველივე ეს წარმოადგენს მათი საჭიროებებისა და სურვილების დაკმაყოფილების წინაპირობას.

პირველ რიგში აუცილებელია განვმარტოთ და ერთმანეთისგან განვასხვაოთ ენა, მეტყველება და კომუნიკაცია:

**მეტყველება** ფიზიკური აქტია და იგი უკავშირდება უშუალოდ ბგერების და მათი გაერთიანებით შემდგომში სიტყვების წარმოქმნას, რაც სხვადასხვა კუნთის მოძრაობით ხდება. მეტყველების მახასიათებლებია სიმაღლე, სიხშირე, ინტონაცია და მოქნილობა.

ენა არის სიმბოლოების ორგანიზებული სისტემა, რომლებსაც მნიშვნელობები გააჩნია. იგი საშუალებას იძლევა ფიქრები, იდეები და ემოციები სხვებისთვის გასაგები შეტყობინებით გამოიხატოს. ენა მოიცავს სიტყვებს, ჟესტებს ჩვენი სათქმელის გამოსატყვისა და სხვების გაგების მიზნით. ენის კომპონენტებს წარმოადგენს ფორმა, შინაარსი და გამოყენება. **ფორმაში** მოიაზრება ფონოლოგია, მორფოლოგია და სინტაქსი. **შინაარსი** გულისხმობს სემანტიკას, სიტყვების მნიშვნელობას, ხოლო **გამოყენება** პრაგმატულ, ფუნქციურ ასპექტებს, სოციალურ ნორმებსა და კონტექსტს მოიცავს. იგი გვხმარება იმის განსაზღვრაში თუ რა, როგორ, ვისთან და როდის უნდა ვთქვათ. პრაგმატული ასპექტი მოიცავს ისეთ ფაქტორებსაც, როგორიცაა - სხულის ენა, თვალთ კონტაქტი, სიახლოვე მოსაუბრესთან, ხმის ტონი და სხვა.

ილუსტრაცია 8. ენის კომპონენტები



**კომუნიკაცია** ინფორმაციის, აზრების, გრძნობებისა და შეტყობინების გადაცემისა და მიღების პროცესია, რომელიც მინიმუმ ორ ადამიანს შორის მიმდინარეობს. ის შესაძლებელია მიმდინარეობდეს წერილობითი ფორმით, საუბრით თუ სხვა მედიუმის საშუალებით.

შვაიგერტის (Schweigert) მიხედვით გამოიყოფა კომუნიკაციის 4 კომპონენტი. ესენია: გამგზავნი, მიმღები, თემა და გამოსატყვის ხერხი. **გამგზავნი** იგულისხმება იმ პიროვნების მრავალფეროვანი მახასიათებლები, რომელიც ცდილობს გარკვეული ტიპის მესიჯის გადაცემას. ეს მახასიათებლები შესაძლებელია იყოს საკუთარი ქცევის კონტროლის შესაძლებლობა, სხვა ადამიანებისა და არსებული კონტექსტის გაგების უნარი და სხვა. **მიმღები** არის კომუნიკაციური პარტნიორი, რომლისკენაცაა მიმართული მესიჯი. **თემაში** იგულისხმება ის საკითხები, რასაც ეხება დიალოგი და აღნიშნული კომპონენტი ხშირად მოიცავს კომუნიკაციის მიზეზსაც. თემის თავისებურებას განსაზღვრავს ადამიანის მოტივაცია, საჭიროებები და ინტერესები. **გამოსატყვის ხერხში** იგულისხმება ის კონკრეტული მოდალობები, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გადაცემა. ეს შეიძლება იყოს წერილობითი,

აუდიალური ან სხვა გზით. გამონატვის ხერხი უნდა იყოს შესრულებადი, ამოცნობადი, გამოყენებადი და ეფექტიანი.

კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება ფუნდამენტურია ბავშვის განვითარებისთვის, რადგან ყველა ადამიანს სჭირდება გაუგონ და გაიგოს. კომუნიკაცია არის ურთიერთობების წარმოების ფუნდამენტი და სწავლის, თამაშის თუ სოციალური ინტერაქციის არსებითი ელემენტი.

სხვებთან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის გამოიყენება ექსპრესიული და რეცეპტული ენა. განვმარტოთ თითოეული მათგანი:

**რეცეპტული ენა (ენის გაგება)** - წაკითხული, დანახული და/ან მოსმენილი სიმბოლოების ორგანიზებული სისტემის (ენის) აღქმისა და გაგების უნარი. მაგალითად, მოსწავლის შესაძლებლობა, რომ გაიგოს და მიჰყვეს ინსტრუქციას (მაგ., „მომაწოდე წიგნი“) დამოკიდებულია მის რეცეპტულ ენობრივ უნარებზე. ტიპური განვითარების შემთხვევაში, ბავშვებს უფრო ადრე შეუძლიათ ენის გაგება, ვიდრე მისი პროდუცირება. მოსწავლეებს, რომელთაც აქვს რეცეპტული ენის თვალსაზრისით პრობლემები, შესაძლებელია ჰქონდეთ შემდეგი სირთულეები:

- ინსტრუქციებზე მიყოლა
- ჟესტების მნიშვნელობების გაგება
- შეკითხვებზე პასუხის გაცემა
- ობიექტების შესაბამისი სურათების იდენტიფიცირება
- კითხვის დაუფლება
- ისტორიის შინაარსის გაგება და სხვა.

**ექსპრესიული ენა (ენის გამოყენება)** - ვერბალური ან არავერბალური კომუნიკაციის საშუალებით საკუთარი სურვილებისა და საჭიროებების გამონატვის უნარი. ექსპრესიული ენა არის საკუთარი ფიქრების სიტყვებითა და წინადადებებით სხვებისთვის გასაგები გზით გადმოცემის უნარი. ექსპრესიულ ენასთან დაკავშირებული სირთულის დროს მოსწავლეს შესაძლებელია გაუჭირდეს, მაგალითად, საპირფარეშოში გასვლის საჭიროების გამონატვა. ენის გამოყენების თვალსაზრისით პრობლემის არსებობისას, შესაძლებელია გვხვდებოდეს შემდეგი სირთულეები:

- შეკითხვის დასმა
- ჟესტების გამოყენება
- სახის ექსპრესიის გამოყენება
- კომენტარის გაკეთება
- ლექსიკური მარაგი
- სინტაქტი (გრამატიკული წესები)
- სემანტიკა (სიტყვების/წინადადებების მნიშვნელობა)

○ მორფოლოგია (სიტყვათა ფორმები)

ენა, მეტყველება და კომუნიკაცია პირდაპირ კავშირშია აკადემიური, ქცევითი თუ სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებასთან.

ილუსტრაცია 9. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის გავლენა სხვა სფეროებზე

 სწავლა	 ემოციური განვითარება	 სოციალური განვითარება	 მცემა
<ul style="list-style-type: none"> <li>ენა გვეხმარება პრობლემის გადაჭრაში;</li> <li>ენა დაკავშირებულია კითხვის, წერის, თხრობის, წიგნიწერების სხვა უნარების განვითარებასთან;</li> <li>სწავლას სწავლობა ენის გამოყენება, რათა გავიგოთ და გავიმოთ;</li> <li>ბავშვები აქტიურად სწავლობენ თამაშით, რადგან თამაში იყენებენ ენისა და კომუნიკაციის უნარებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ენასთან დაკავშირებული სირთულეები უარყოფითად აისახება თავდაჯერებულობასა და თვითშეფასებაზე;</li> <li>ენა საჭიროა ემოციების სახელდებისთვის;</li> <li>ემოციებთან დაკავშირებული ენის გამოხატვა მნიშვნელოვანია ემპათიის განვითარებისთვის ;</li> <li>ენა ხელს უწყობს ასერტულობის განვითარებას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ენა საჭიროა ეფექტიანი კომუნიკაციისა და ინფორმაციისთვის როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან;</li> <li>ენა, მეტყველება და კომუნიკაცია საჭიროა გაცნობიერების ინიციატივის, დიალოგის წამოწყების და შენარჩუნებისთვის;</li> <li>არავიერთი კომუნიკაცია და წესების გამოხატვა აუცილებელია წარმატებული ფუნქციონირებისთვის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ენა, მეტყველება და კომუნიკაცია მოსწავლეს ეხმარება თვითრეგულაციისთვის;</li> <li>ენისა და მეტყველების უნარები საჭიროა მითითებების, ინსტრუქციების გაგებისა და შესრულებისთვის;</li> <li>ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარები ფიქრების, აზრების, ემოციების სიფრთხილად გამოხატვა და არა არასასურველი მცემით;</li> </ul>

შესაბამისად, ენასთან დაკავშირებული სირთულეები უდიდეს გავლენას ახდენს წერის, კითხვის, თხრობის უნარებზე, ქცევითი სირთულეების ფორმირებასა და სოციალური კავშირების დამყარებაზე. საკუთარი ემოციებისა და სურვილების გამოხატვის სირთულე ხშირად იწვევს ფრუსტრაციისა და იზოლაციის განცდას, რაც გავლენას ახდენს მოტივაციაზე, თავდაჯერებულობასა და თვითშეფასებაზე. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია მოსწავლის ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციური უნარების შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება/განსაზღვრა და შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვა. ამისათვის აუცილებელია აღნიშნულ უნართან დაკავშირებული თავისებურებების ცოდნა.

გთავაზობთ ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარების შეფასების ჩეკლისტებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია შეფასების პროცესში:

ჩეკლისტი 7. ენა - მეტყველება

	ენა და მეტყველება	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1.	ტრიალდება ხმის წყაროსკენ და ისმენს ყურადღებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2.	რეაგირებს სახელის დაძახებაზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3.	ხმით, ჟესტებითა და მზერით იპყრობს ყურადღებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

4.	იყენებს ჟესტებს გარკვეული მნიშვნელობის გადასაცემად, მაგალითად, თითით ჩვენება მითითებისთვის, ხელის დაქნევა მისალმება/დამშვიდობებისთვის და სხვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5.	ესმის 50-მდე სიტყვის მნიშვნელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6.	ესმის 50-ზე მეტი სიტყვის მნიშვნელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	იგებს ერთ-ორ საფეხურიან ინსტრუქციებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	იგებს სამ და მეტ საფეხურიან ინსტრუქციებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	ამბობს ცალკეულ ბგერებს, ვოკალიზაციებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10.	ამბობს მარცვლებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	მეტყველებისთვის დამახასიათებელია ვერბალიზაციები - სიტყვების მსგავსი მარცვლები ან მარცვალთა ერთობლიობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	ამბობს სიტყვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	საკუთარი თავის შესახებ დასმულ შეკითხვებს პასუხობს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	შუქდლია სიტყვაში პირველი ბგერის იდენტიფიცირება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	შუქდლია სიტყვაში ბოლო ბგერის იდენტიფიცირება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	განსაზღვრავს დასახელებული სიტყვა შეიცავს თუ არა კონკრეტულ ბგერას, მაგალითად, სიტყვა „ვამლი“ ბგერა „მ-ს“.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	შუქდლია სიტყვაში კონკრეტული ბგერის სხვა ბგერით ჩანაცვლება და სახელდება, მაგალითად, სიტყვა „სახლი“, რომელშიც „ხ, უნდა შეცვალოს „ვ“-თი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	შუქდლია დასახელებულ ბგერაზე სიტყვის მოფიქრება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	შუქდლია მარცვლების სიტყვებად გაერთიანება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

10.	შუქლია სიტყვების მარცვლებად დაშლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	შუქლია ბგერების სიტყვებად გაერთიანება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	შუქლია სიტყვების ბგერებად დაშლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	საუბრობს 2 სიტყვიანი წინადადებებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	საუბრობს 3 ან მეტ სიტყვიანი წინადადებებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	საუბრობს მარტივი გავრცობილი <sup>5</sup> წინადადებების გამოყენებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	საუბრობს რთული თანწყობილი <sup>6</sup> და ქვეწყობილი <sup>7</sup> წინადადებების გამოყენებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	მეტყველება მკაფიოა (ხმის სიმალლე, ინტონაცია)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	მეტყველება გასაგებია უცხო მსმენელისთვის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	შუქლია შეკითხვების ფორმულირება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	წინადადებები სინტაქსურად გამართულია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
21.	საუბრობს გრამატიკული წესების დაცვით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
22.	წინადადებებს განალაგებს ლოგიკური თანმიმდევრობით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

ჩეკლისტი 8. კომუნიკაცია

	კომუნიკაცია	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1.	ნაცნობ უფროსებთან თუ თანატოლებთან იჩენს კომუნიკაციის ინიციატივას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2.	უცნობ უფროსებთან თუ თანატოლებთან იჩენს კომუნიკაციის ინიციატივას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

<sup>5</sup> მარტივი გავრცობილი წინადადება - გავრცობილია წინადადება, რომელშიც მოიპოვება ერთი ან მეტი არამთავარი წევრი, მაგალითად, **მწიფე** ვაშლი ხის ძირში ეგდო.

<sup>6</sup> თანწყობილი წინადადება - რთულ წინადადება, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ თანასწორ წინადადებათაგან.

<sup>7</sup> ქვეწყობილი წინადადება - რთულ წინადადება, რომელშიც ერთი წინადადება ზემდგომია, მეორე კი მასზეა დაქვემდებარებული.

3.	პასუხობს სხვის მიერ ინიცირებულ კომუნიკაციას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4.	შუქდლია კომუნიკაციის შენარჩუნება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5.	შუქდლია კომუნიკაციის შეწყვეტა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6.	ერთვება ჯგუფურ აქტივობებში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	შუქდლია დიალოგური მეტყველების წარმოება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	იცავს შესაბამის რიგს/პაუზას საუბრისას, მოსმენისას თუ პასუხის გაცემისას დიალოგისა და ჯგუფური კომუნიკაციის დროს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	იგებს პარტნიორის მხრიდან წარმომებული არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობას და პასუხობს შესაბამისად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10.	სვამს შეკითხვას რაიმეს დაზუსტების და გარკვევის მიზნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	იგებს სხვის მდგომარეობას და დამოკიდებულებას კონკრეტული თემისადმი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	კონტექსტის შესაბამისად იგებს არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებულ ფრაზებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	იგებს იუმორს და რეაგირებს შესაბამისად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	შუქდლია ასაკის შესაბამისი კომუნიკაციის წარმოება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	შუქდლია კონტექსტის (ფორმალური/არაფორმალური) შესაბამისი კომუნიკაციის წარმოება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

### აღქმის შეფასება

ჩვენი შეგრძნების ორგანოები განუწყვეტლივ იღებენ ინფორმაციას როგორც გარესამყაროდან, ასევე შინაგანად. ჩვენ ვუყურებთ ირგვლივ მდებარე საგნებს, გვესმის ხმა, გემოსა და ყნოსვის რეცეპტორებით შევიგრძნობთ სხვადასხვა სურნელსა და გემოს,

ვეხებით საგნებს და ვიგებთ როგორია მათი ზედაპირი. ამავდროულად, ვგრძნობთ ჩვენი სხეულის შინაგან მდგომარეობას, განსაკუთრებით მაშინ, თუ რაიმე დისკომფორტს განვიცდით. აღქმა შეგრძნებების სახით მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და ინტერპრეტაციაა და სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენს რეაგირებას, ურთიერთობას გარემოსთან. აღქმა დაკავშირებულია სენსორული ინფორმაციის ორგანიზებასთან, მათთვის მნიშვნელობების მინიჭებასთან. როგორ მიმდინარეობს აღქმის პროცესი? ერთი მხრივ, ეს არის ქვემოდან ზემოთ პროცესი, სადაც საწყისი წერტილია შეგრძნებები, ხოლო საბოლოო - გადამუშავებული ინფორმაცია. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ აღქმაზე დიდ გავლენას ახდენს ჩვენი ცოდნა, გამოცდილება, ფიქრები. აღქმის პროცესის ამგვარ მოდელს ზემოდან ქვემოთ მიმართულად მოიხსენიებენ.

რამდენადაც შეგრძნება და აღქმა ურთიერთდაკავშირებული პროცესებია, არსებობს რისკი იმისა, რომ ვერ დავინახოთ მათ შორის არსებული მკაფიო განსხვავება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შეგრძნება და აღქმა არ არის ერთი და იგივე. შეგრძნება უფრო მეტად ფიზიკური პროცესია, მაშინ, როცა აღქმა მეტად ფსიქოლოგიურია. მაგალითად, თუ სამზარეულოში შეხვედით, სადაც დარიჩინის არომატული სურნელი ტრიალებს, ყნოსვის რეცეპტორების წყალობით შეგრძნება გააქტიურდება, მაგრამ, თუ გაიფიქრებთ, რომ ბებოს გამომცხვარი დარიჩინიანი ფუნთუშების სურნელია - ეს უკვე აღქმის პროცესია.

მიუხედავად იმისა, რომ აღქმა დაკავშირებულია შეგრძნებებთან, ყველა შეგრძნების შედეგი არ არის აღქმა. ხშირად, ჩვენ არ ვიღებთ ისეთ სტიმულებს, რომელიც დროში გახანგრძლივებულად მოგვეწოდება. აღნიშნული მდგომარეობა ცნობილია სენსორული ადაპტაციის სახელწოდებით. მაგალითისთვის, წარმოიდგინეთ, რომ საკლასო ოთახში შედინართ. თავდაპირველად თქვენ შეიძლება გაიგონოთ საათის წიკწიკის ხმა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდგომ, როცა დაიწყებთ მეგობრებთან საუბარს, რაიმე აქტივობებით დაკავდებით, საათის ხმა თქვენი აღქმის მიღმა დარჩება. რეალურად, საათი ისევ წიკწიკებს, კვლავ მიეწოდება ხმა სმენით რეცეპტორებს, თუმცა აღქმაში „არ შემოდის“.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს შეგრძნებებსა და აღქმაზე ყურადღებაა. წარმოიდგინეთ, რომ წვეულებაზე ხართ, სადაც მუსიკა და დიდი ჟრიამულია. თქვენ კი მეგობართან ძალიან საინტერესო დიალოგში ხართ ჩაბმული და სრულად ხართ მასთან საუბარზე კონცენტრირებული. ვინმემ რომ გკითხოთ, რა მუსიკა ჟღერდა რამდენიმე წუთის წინ, შესაძლოა არ იცოდეთ, რადგან ყურადღების ფოკუსმა მეგობართან დიალოგზე ხელი შეუშალა მუსიკის აღქმას.

აღქმაზე მოქმედ ფაქტორებს შორის, ასევე, აღსანიშნავია მოტივაცია. მოტივაციით ის სტიმულები, რომელიც ჩვენს ინტერესში ან მოლოდინშია, მარტივად და სწრაფად

აღიქმება. მაგალითად, დედა უმაღლვე იღვიძებს ჩაძინებული ახალშობილის ხმაზე, მაშინ, როცა სხვა ხმებმა მის ძილზე შესაძლოა არ იმოქმედოს.

სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლის აღქმის შეფასების ან აღქმის განვითარებაზე მუშაობის დროს სამივე ზემოთხსენებული ფაქტორი: სენსორული ადაპტაცია, მოტივაცია და ყურადღების მონაწილეობაა გასათვალისწინებელი.

აღქმის უნარის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია სპეციალური მასწავლებელი დააკვირდეს და აღწეროს აღქმის სხვადასხვა კომპონენტი.

ილუსტრაცია 10. აღქმის კომპონენტები



**ვიზუალური დისკრიმინაცია** - საგნებს, ობიექტებს შორის თვალსაჩინო მსგავსებისა და განსხვავებების აღმოჩენა ფორმის, ზომის, ფერის, მდებარეობის, ხაზების და ა.შ. მიხედვით. ვიზუალური დისკრიმინაციის შეფასების სავარჯიშოდ, ჩვეულებისამებრ, გამოიყენება ერთმანეთზე გადახატულ საგანთა კონტურებში თითოეულის გარჩევა.

**აღქმის მთლიანობა** - საგნის, ობიექტის ამოცნობა მისი ნაწილით, რაიმე დეტალის მიხედვით. აღქმის მთლიანობის შეფასების პროცესში შესაძლებელია ისეთი აქტივობის გამოყენება, როგორცაა რაიმე საგნის, ობიექტის ნახევრად, ნაწილობრივ დაფარვა და ნაწილის მიხედვით ამოცნობა.

**ფიგურა-ფონი** - საგნის, ობიექტის ამოცნობის პროცესში ფიგურის განცალკევება ფონისგან. თუ ვლინდება სირთულე ფიგურა-ფონის აღქმაში, მოსწავლეს შესაძლოა გაუძნელდეს კითხვა ფურცელზე, სადაც ბევრი სიტყვაა მოცემული ან შემოქმედებითი აქტივობების შესრულება, მრავალი ნივთით გარემოცულ სამუშაო მაგიდაზე. ფიგურა-ფონის აღქმის უნარზე დაკვირვებისა და გავარჯიშებისთვის გამოიყენება ისეთი ტიპის აქტივობები, სადაც მოსწავლეს მოუწევს ფურცელზე დატანილი მრავალი ობიექტიდან რომელიმეს მოძებნა.

**ვიზუალურ-სივრცითი აღქმა** - საგნის მდებარეობის ან საგნების ერთმანეთთან ურთიერთმდებარეობის გაგება. ვიზუალურ-სივრცითი აღქმის სავარჯიშოებია

ლაბირინთები, წერტილების შეერთება ნიმუშის მიხედვით, სიმეტრიის სავარჯიშოები, როტაცია და სივრცეში მობრუნებული საგნების ამოცნობა.

რადგან აღქმა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული შეგრძნებებთან, შესაბამისად, აღქმის იმდენი სახე შეიძლება გამოიყოს, რამდენი შეგრძნების ორგანოც გააჩნია ადამიანს. სენსორულ ინფორმაციას შეგრძნების 5 ძირითადი ორგანოს მეშვეობით ვიღებთ, როგორცაა: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეხება. ჩამოთვლილთაგან ყველაზე უკეთ შესწავლილი სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ვიზუალური აღქმაა. თუმცა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების მრავალმხრივობისთვის მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ როგორ და რამდენად ამუშავებს ის შეგრძნების სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, აღიქვამს თუ არა სმენით, შეხების საშუალებით გარესამყაროს და შესაბამისად, რეაგირებს თუ არა მათზე. შეფასების პროცესის ორიენტირებისთვის შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი ჩეკლისტის გამოყენება.

ჩეკლისტი 9. აღქმა

აღქმა	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1. ამოიცნობს გარემოში არსებულ საგნებს (ასახელებს ან ადებს თითს)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2. აწყობს ფაზლებს (დააკონკრეტეთ რამდენ ნაწილიანი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3. ერთმანეთზე გადასატულ საგნებში განარჩევს თითოეულს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4. განასხვავებს მსგავსი ფორმის ფიგურებს ერთმანეთისგან (ოვალი-წრე, კლაკლინი ხაზი-ტალღოვანი ხაზი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5. აკავშირებს ვიზუალურად იდენტურ საგნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6. აკავშირებს ვიზუალურად მსგავს საგნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7. განარჩევს საგნებს ზომის, სიდიდის მიხედვით (მაგ: აწყობს პირამიდას)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8. გეომეტრიულ ფიგურებს ახარისხებს (სამკუთხედები ერთად, კვადრატები ერთად)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9. მსგავსი მოხაზულობის სიმბოლოებს, ასოებს განარჩევს ერთმანეთისგან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

10.	განარჩევს მათემატიკურ სიმბოლოებს, როგორცაა +<- <sup>8</sup>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	შუქდლია სასურველი წიგნის, საგნის მოძებნა სხვა ნივთებს შორის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	მრავალდეტალიანი ნახატიდან ახერხებს ყველა დეტალის იდენტიფიცირებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	შუქდლია ორ მსგავს სურათში განსხვავების პოვნა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	გამოსახულებაზე, რომელსაც აკლია რაიმე დეტალი, ამოიცნობს რა აკლია (მაგ: ყვავილს - ფოთოლი, მანქანას - ბორბალი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	მიწოდებულ მწკრივში, სადაც 3 იდენტური, ხოლო ერთი მცირედით განსხვავებული ნახატი, ამოიცნობს განსხვავებულს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	არამკაფიო, ბუნდოვანი გამოსახულებიდან ამოიცნობს საგანს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	ნახევრად დაფარულ სურათზე ასახელებს/ამოიცნობს გამოსახულებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	ამოიცნობს ნახევრად დაფარულ ასოებს, ციფრებს, სიმბოლოებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	იკვლევს გზას მარტივ ლაბირინთში <sup>9</sup>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	აკავშირებს სურათზე მოცემულ საგანს (ბრტყელი), მის რეალურ სივრცით გამოსახულებასთან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
21.	შუქდლია ინსტრუქციების შესაბამისად საკუთარი სხეულის ნაწილებს მიანიჭოს ისეთი მდებარეობა, რომელიც მოითხოვს სივრცითი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

<sup>8</sup> აღნიშნული უნარი აღქმის კომპონენტანაა დაკავშირებული, რადგან მოითხოვს ვიზუალურ დისკრიმინაციას, თუმცა შეფასების პროცესში მისი გათვალისწინება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ ისწავლა მათემატიკური სიმბოლოები და სიმბოლოების გარეშე მარტივად შეუძლია მეტობის და ნაკლებობის განსაზღვრა.

<sup>9</sup> ლაბირინთის სავარჯიშოებში ვლინდება ვიზუალურ-სივრცითი აღმის უნარი, თუმცა, თუ მოსწავლეს მოეთხოვება საწერი საშუალების გამოყენებით დავალების შესრულება, ამ შემთხვევაში გარდა აღქმისა, გასათვალისწინებელია ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია და ნატიფი მოტორული უნარები.

	მიმართების დამყარებას (მაგ: ხელი დაიღე თავზე)				
22.	განარჩევს სარკისებურ ასოებს წ, მ, ძ, ხ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
23.	ამოიცნობს შეხებით ნაცნობ ობიექტებს (ისე, რომ ვერ ხედავდეს)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
24.	განარჩევს სხვადასხვა ტექსტურის ზედაპირს ერთმანეთისგან (ხაოიანი, პრიალა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
25.	შეუძლია განსაზღვროს შეხების წერტილი ვიზუალური კონტროლის გარეშე (ხუჭავს თვალებს, შემფასებელი ადებს თითს მკლავზე, მტევანზე, ლოყაზე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
26.	განარჩევს სხვადასხვა სურნელს ერთმანეთისგან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
27.	ამოიცნობს გარემოში არსებულ სუნებს (მაგ: ფუნთუშის სუნია)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
28.	განარჩევს და ამოიცნობს სხვადასხვა გემოს (შოკოლადი ტკბილია, წიწაკა ცხარეა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
29.	განარჩევს მსგავსად მჟღერ ბგერებს ერთმანეთისგან (მაგ: ბ,ფ; დ, ტ)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
30.	ამოიცნობს ნაცნობ, ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ხმაურს (ონკანის ხმა, სარეცხის მანქანის ხმა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
31.	სიამოვნებს სხვადასხვა მუსიკისა და მელოდიის მოსმენა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
32.	შესაბამისად რეაგირებს ინტენსიურ ხმებზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

### ყურადღების შეფასება

უნარს, რომელიც ინფორმაციის შერჩევასა და დამუშავებაშია ჩართული ყურადღება ეწოდება. ეს არის პროცესი, როდესაც ინფორმაცია სენსორული არხების გავლის, ანუ მისი აღქმის ან განცდის შემდეგ მოხვდება ჩვენს ცნობიერში. ყურადღება შეიძლება იყოს ნებისმიერი ან უნებლიე. როდესაც ზედმეტად განათებული სარეკლამო ბანერი ქუჩაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ანუ ავტომატურად შევხედავთ მას, ეს უნებლიე

ყურადღებაა, მაგრამ, თუ ტელეფონზე შემოსული ზარის საპასუხოდ შესაბამის ღილაკს ვაჭერთ ხელს, ეს უკვე ნებისმიერ ყურადღებას შეესაბამება, ანუ ამ დროს მოქმედების შესრულება უკვე გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს და ადამიანი მიზანმიმართულად წარმართავს ყურადღებას გარკვეულ ობიექტსა თუ შინაარსზე.

ყურადღების უნარის საშუალებით ჩვენ კონკრეტულ სამიზნე სტიმულზე ვფოკუსირდებით, უგულებელვყოფთ ხელისშემშლელ სტიმულებს და ვკონცენტრირდებით კონკრეტულ შინაარსზე იმ დროის განმავლობაში, რაც მისი წარმატებული შესრულებისთვისაა საჭირო. სამიზნე სტიმულის შერჩევა მნიშვნელოვანია, რადგან შეუძლებელია ერთდროულად ფოკუსირება მოვანდინოთ ყველა იმ სტიმულზე, რომელიც ჩვენს ირგვლივაა მოცემული. შესაბამისად, ყურადღების ეს შერჩევითობა გვეხმარება სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი ამოცანის შესრულებაში, ბავშვებს კი, ეს ფუნქცია ყოველდღიური აქტივობების, საკლასო თუ საშინაო დავალებების შესრულებაში ეხმარება. ერთი მხრივ, ყურადღების რესურსი შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ ერთი დავალების შესრულებას, ან შესაძლოა მისი რესურსი გაიყოს დავალებებს შორის. რამდენ ასპექტზე ვფოკუსირდებით კონკრეტულ შემთხვევაში, ეს დავალების მოთხოვნაზეა დამოკიდებული. მაგალითად, როდესაც სეირნობთ და თან რეკავს ტელეფონი, თქვენ შესაძლოა შეჩერდეთ, რათა მთელი ყურადღება დაუთმოთ ზარზე პასუხსა და საუბარს. ყურადღება არის კონტროლირებადი უნარი, დავალების შესრულებისას ჩვენ უნდა შეგვიძლოს მისი კონტროლი.

ყურადღების უნარის უკეთ გაგებისათვის, მნიშვნელოვანია, შევეხოთ მის მახასიათებლებს, რომელთა ცოდნაც ამ უნარის ფუნქციონირების აღწერის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

**ინტენსივობა** - სამიზნე სტიმულზე ყურადღების კონცენტრირება ყოველთვის ერთი და იმავე სიძლიერით ვერ ხერხდება. ჩვენ გარკვეულ ობიექტზე ან შინაარსზე ზოგჯერ მეტი და ზოგჯერ ნაკლები ინტენსივობით ვკონცენტრირდებით. როდესაც მოსწავლე ერთსა და იმავე შინაარსზე გარკვეული პერიოდის განმავლობაშია კონცენტრირებული, მისი ყურადღების ინტენსივობა პერიოდულად მცირდება და შემდგომ ისევ იმატებს. მაგალითად, როდესაც მოსწავლე ხსნის მაგალითებს, ამოხსნის პროცესში მან შესაძლოა მიმოიხედოს ირგვლივ, აიღოს რაიმე ნივთი და შემდგომ ისევ გააგრძელოს მაგალითების ამოხსნა.

**სელექცია** - ჩვენს ცნობიერში ერთდროულად ბევრი სამიზნე სტიმული ვერ განთავსდება, შესაბამისად, ჩვენ ვახდენთ შერჩევას, სელექციას იმ სტიმულებისა, რომელიც უნდა განთავსდეს ცნობიერში და რომელზე ფოკუსირებაც მნიშვნელოვანია სამიზნე დავალების შესრულებისათვის.

**გადანაცვლება** - გარესამყაროში იმდენად მრავალფეროვანია სტიმულთა რაოდენობა, რომ ჩვენ ხშირად, როდესაც კონცენტრირებული ვართ ერთ შინაარსზე, შესაძლოა სწრაფად მოვწყდეთ მას და სწრაფადვე გადავერთოთ ახალ, ზოგჯერ სრულიად სხვა შინაარსზე. მაგალითად, როდესაც ბავშვი ორ სურათს შორის განსხვავებებს პოულობს, ის უნდა მოწყდეს ერთ კონკრეტულ სურათს, რომელიც მისი სამიზნე სტიმული იყო და ახალ სტიმულზე კონცენტრირდეს, გადანაცვლდეს.

**განაწილება** - ზოგადად, ყურადღების ფოკუსში სხვადასხვა აქტივობა თუ შინაარსი მონაცვლეობით თავსდება, შესაბამისად, ძალიან რთულია ადამიანმა ერთდროულად ორი სხვადასხვა შინაარსის აქტივობის შესრულება შეძლოს, თუ ამ აქტივობებიდან რომელიმე ავტომატური არაა. ყურადღების განაწილების სადემონსტრაციო ერთ-ერთი მაგალითი გახლავთ სინქრონული თარგმნა, როდესაც თარგმანს უწევს, ერთი მხრივ, მოისმინოს და გადაამუშავოს ინფორმაცია ერთ ენაზე და მეორე მხრივ, გააქლეროს ის სხვა ენაზე. როგორც აღვნიშნეთ, ერთდროულად ორ ასპექტზე ფოკუსირება რთულია, მაგალითად, თუ თქვენ მართავთ მანქანას და პარალელურად მეგობარს ესაუბრებით, რომელიც გვერდით გიზით, ეს ნიშნავს იმას, რომ მანქანის მართვა თქვენთვის ავტომატური ქმდებაა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში, როცა მეტი ინტენსივობით იქნება საჭირო მართვაზე აქცენტის გაკეთება, დიდი ალბათობით გაჩუმდებით და მხოლოდ მართვაზე კონცენტრირდებით.

**გადაუხრადობა** - როდესაც სამიზნე სტიმულზე ვკონცენტრირდებით, გარესამყაროში რჩება უამრავი სხვა სტიმული, რომელიც შეიძლება ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს ყურადღების ფოკუსის სამიზნე სტიმულისადმი შენარჩუნებაში. მაგალითად, როდესაც მოსწავლე მეცადინეობს და ირთვება ტელევიზორი, ან ფანჯრიდან შემოდის ხმაური, თუნდაც კედელზე გამოკრულია იმდენად ბევრი თვალსაჩინოება, რომ ბავშვი მათ თვალიერებას იწყებს, ეს ყოველივე ხელს უშლის მას სამიზნე სტიმულზე ყურადღების კონცენტრირების შენარჩუნებაში. აქედან გამომდინარე, მახასიათებელი, თუ რამდენად შეგვიძლია წინააღმდეგობა გავუწიოთ გარემოში არსებულ გამღიზიანებლებს გადაუხრადობის სახელითაა ცნობილი.

**გავარჯიშება** - ყველა ის მახასიათებელი, რომელიც ზემოთაა აღნიშნული ვარჯიშის შედეგად შესაძლოა განვითარდეს და გაუმჯობესდეს. შესაბამისად, შეიძლება გაიზარდოს სამიზნე სტიმულისადმი ყურადღების ინტენსივობა, უკეთ შეგვეძლოს წინააღმდეგობა გავუწიოთ გარე გამღიზიანებელს, ან თუნდაც, მოვწყდეთ ერთ შინაარსს და გადავერთოთ სხვაზე.

ყურადღების უნარის ფუნქციონირებისა და თვისებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საუკეთესო გზა დაკვირვებაა. შემფასებელი აკვირდება მოსწავლეს

სხვადასხვა გარემოში, იქნება ეს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა თუ რესურსოთახში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესი. შემფასებელი აკეთებს დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ჩანაწერებს, რომელსაც განალიზებს დაკვირვების პროცესის დასრულების შემდეგ, ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ერთეულების მიხედვით კი ის აღწერს მოსწავლის ყურადღების უნარის ფუნქციონირებას. დაკვირვების პროცესში კარგი იქნება თუ შემფასებელს ექნება წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელსაც ეყრდნობა და პროცესში ამ სქემას მიყვება. გთავაზობთ ყურადღების უნარის შეფასების ჩეკლისტს, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეზე გარკვეული სურათის შექმნასა და საჭიროებების იდენტიფიცირებაში:

ჩეკლისტი 10. ყურადღება

ყურადღება	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1. მისთვის სასურველ/საინტერესო აქტივობას მიჰყვება ბოლომდე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2. ნაკლებად საინტერესო/მისთვის უინტერესო აქტივობას მიჰყვება ბოლომდე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3. უსმენს მასწავლებლის ინსტრუქციებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4. უსმენს მასწავლებელს საგნობრივ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5. წინააღმდეგობას უწევს გარემოში არსებულ ბუნებრივ გამლიზიანებლებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6. წინააღმდეგობას უწევს გარემოში არსებულ მოულოდნელ გამლიზიანებლებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7. მარტივად გადადის ერთი აქტივობიდან მეორეზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8. მარტივად გადადის ერთი შინაარსიდან მეორეზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9. კონცენტრირდება დეტალებზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10. ერთდროულად ასრულებს ორ აქტივობას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

## მეხსიერების შეფასება

მეხსიერება წარმოადგენს ფსიქიკურ, მენტალურ პროცესებს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის მიღებას, შენახვას, შენარჩუნებასა და აღდგენასთან. განმარტებაში კარგად ჩანს თუ რა მთავარი, ფუნდამენტური პროცესების ჯაჭვის შედეგია ის, რომ ვიმახსოვრებთ. მეხსიერება კოგნიტურ ფსიქოლოგიაში საკმაოდ კარგად შესწავლილი მიმართულებაა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მეხსიერებაზე ჩატარებული ცდებითა და ექსპერიმენტებით დაიწყო მკვლევრებმა ადამიანის შემეცნებითი ფუნქციების გამოკვლევა.

მეხსიერება ფუნდამენტურ როლს ასრულებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ მეხსიერების გამოყენებით ვარჩევთ წარსულის მოვლენებს ამჟამინდელისგან. მეხსიერება და სწავლა კი იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომ ხშირად ძნელია მკაფიო საზღვრების პოვნა ნასწავლსა და დამახსოვრებულს შორის. თუმცა, ცხადია, იმისთვის, რომ მოსწავლემ შეიძინოს ახალი ცოდნა ან უნარი, მან პირველ რიგში გარკვეული საკითხების, თემის, მოქმედების დამახსოვრება უნდა შეძლოს.

მეხსიერების მრავალგვარი კლასიფიკაცია არსებობს, იმის მიხედვით თუ როგორ ვიმახსოვრებთ, რას ვიმახსოვრებთ და რამდენი ხნით. დამახსოვრებული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გადმოიცივს სიტყვების ან ტექსტის სახით დეკლარატიული (ექსპლიციტური) მეხსიერებაა. თუმცა ზოგჯერ, ჩვენი მეხსიერება ჩვენს მოქმედებებში ვლინდება, რასაც არადეკლარატიული (იმპლიციტური) მეხსიერება ეწოდება.

საილუსტრაციოდ დააკვირდით ქვემოთ მოცემულ სურათს. როგორც ხედავთ, ფაქტების, მოვლენების გახსენება ნასწავლი მასალიდან ან ჩვენი ცხოვრებიდან ექსპლიციტური მეხსიერებაა, ხოლო ველოსიპედის ტარება, ფეხსაცმელზე თასმების შეკვრის თანმიმდევრობის დამახსოვრება - იმპლიციტური.

ილუსტრაცია 11. იმპლიციტური და ექსპლიციტური მეხსიერება



მეხსიერების უნარის შეფასების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ რა ტიპის ინფორმაციას იმახსოვრებს უკეთესად მოსწავლე, ნანახს თუ მოსმენილს. შესაბამისად, გავმიჯნოთ და განვმარტოთ მხედველობითი (ვიზუალური)

და სმენითი (აკუსტიკური) მეხსიერების სახეები. ცხადია, მხედველობითი მეხსიერების შემთხვევაში მოსწავლეს უწევს დაიმახსოვროს ის ინფორმაცია, რაც მისი მხედველობის არეშია. ხოლო სმენითი მეხსიერების შემთხვევაში საქმე გვაქვს მოსმენილი ინფორმაციის შენახვასა და აღდგენასთან.

მეხსიერების ტიპების გამოყოფის დროს, ასევე, გასათვალისწინებელია თუ რამდენი ხნით ინახება „მეხსიერების საცავში“ ინფორმაცია, მანამ, სანამ ის დავიწყებას მიეცემა. ქვემოთ განვიხილავთ ხანმოკლე და ხანგრძლივ მეხსიერებას, განსაკუთრებულ აქცენტს კი გვაკეთებთ მუშა მეხსიერებაზე, სწავლის პროცესში მისი მნიშვნელობისა და აუცილებლობის გათვალისწინებით.

**ხანგრძლივი მეხსიერება** - ინფორმაციის შენახვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ მთელი ცხოვრების მანძილზეც კი. ხანგრძლივი მეხსიერება არ არის ორი დღის ან ერთი კვირის წინ ნასწავლი ტექსტის დამახსოვრება. ხანგრძლივი მეხსიერებაა ის, რაც მუდამ გვახსოვს ან გვემახსოვრება. ნასწავლი ინფორმაციის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეხსიერებაში შენახვა, იქნება ეს რამდენიმე დღით, თუ რამდენიმე კვირით, შეიძლება მოვიხსენიოთ როგორც გადავადებული მეხსიერება.

**ხანმოკლე მეხსიერება** - მცირე მოცულობის ( $7 \pm 2$ ) რაოდენობის დასამახსოვრებელი ინფორმაციის შენახვა დროის მოკლე მონაკვეთში (20-30 წამი). ხანმოკლე მეხსიერებაში მოთავსებული ინფორმაცია მალევე ქრება, თუ არ ხდება მისი გამეორება. ხანმოკლე მეხსიერების საილუსტრაციო მაგალითებს წარმოადგენს ტელეფონის ნომრის დამახსოვრება, ახალი, უცხო სიტყვის დამახსოვრება და ა.შ.

**მუშა მეხსიერება** - ინფორმაციის გონებაში შენახვისა და მასზე სააზროვნო ოპერაციების განხორციელება დროის მცირე მონაკვეთში. მუშა მეხსიერების კარგი ილუსტრაციას წარმოადგენს მენტალური არითმეტიკა, როდესაც მოსწავლეს უწევს არითმეტიკული მოქმედებების გამოთვლა არა წერილობით, არამედ ზეპირად. მაგალითად, როდესაც მოსწავლეს ვთხოვთ შეკრიბოს 8 და 7, ის იმახსოვრებს ამ ორ ციფრს და ამავდროულად შეკრების წესების გათვალისწინებით გადაამუშავებს ინფორმაციას, გონებაში ასრულებს მიმატების მოქმედებას და ამბობს ჯამს. მაგალითიდან მკაფიოა, რომ მუშა მეხსიერების გააქტიურება დაკავშირებულია როგორც ინფორმაციის მოკლე დროით დამახსოვრებასთან, ასევე ამ ინფორმაციით მანიპულირების უნართან. მუშა მეხსიერება ძალიან დიდი დოზით მონაწილეობს ინსტრუქციების შესრულების პროცესში. მაგალითად, როდესაც მოსწავლეს ვუბნებით, რომ გაიხადოს ჟურთუკი, ჩამოკიდოს საკიდზე და შემდეგ ჩანთაში სამუშაო რვეული და საწერი კალამი იპოვოს, მას უწევს, ამ ინფორმაციის გონებაში მცირე დროის განმავლობაში შენახვა, მათი თანმიმდევრობის დამახსოვრება და პარალელურად, მოქმედებაში მოყვანა.

ხშირად მუშა და ხანმოკლე მეხსიერება განიხილება, როგორც თანაბარმნიშვნელოვანი ტერმინები, ზოგჯერ სინონიმებადაც კი მოიხსენიება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მუშა მეხსიერება უფრო მეტად კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს, რომელიც გვთავაზობს მეხსიერების პროცესის მექანიზმის აღწერას და არა მეხსიერების დამოუკიდებელ, იზოლირებულ ფორმას. მუშა მეხსიერება ორ მნიშვნელოვან კომპონენტს აერთიანებს, ერთი მხრივ, ინფორმაციის მცირე დროის განმავლობაში დამახსოვრებას და მეორე მხრივ, ამ ინფორმაციის გადამუშავებას, მანიპულირებას. შესაბამისად, ხანმოკლე მეხსიერება მუშა მეხსიერების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია ჩეკლისტი, რომელიც დაგეხმარებათ დაკვირვებისა და სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულების ანალიზით შეაჯამოთ მოსწავლის მეხსიერების შესახებ ინფორმაცია. გაითვალისწინეთ, რომ დასამახსოვრებელი ინფორმაციის მოცულობა და რაოდენობა ცხრილში პირობითადაა ნაჩვენები და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი შემცირება ან გაზრდა. მაგალითად, თუ მოსწავლე იმახსოვრებს 5 საგნის თანმიმდევრობას, რეკომენდებულია მასთან სცადოთ 6, 7 ან უფრო მეტი ერთეულის მქონე დავალება და პირიქით, თუ უძნელდება, შეამცირეთ და სცადეთ 3, 4 ან სულაც 2.

ჩეკლისტი 11. მეხსიერება

მეხსიერება	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
<b>ხანმოკლე ვიზუალური მეხსიერება</b>				
1. მოსწავლეს შეუძლია ნაჩვენები 4 სურათიდან 1-ის დამალვის შემთხვევაში ამოიცნოს რა აკლია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2. მოსწავლეს შეუძლია ნაჩვენები 4 საგნის თანმიმდევრობის დამახსოვრება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3. მოსწავლეს შეუძლია ნაჩვენები 10 სურათიდან დაიმახსოვროს და ჩამოთვალოს .... (ჩაწერეთ რამდენი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4. მოსწავლეს შეუძლია დაიმახსოვროს 5 ჩხირის გამოყენებით აგებული კონსტრუქცია (ვაჩვენებთ, შემდეგ თავად აწყობს)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5. მოსწავლეს შეუძლია დაიმახსოვროს ნაჩვენები სიმბოლო, ნახატი (ვაჩვენებთ, შემდეგ ვთხოვთ თავად გამოსახოს)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

ხანგრძლივი ვიზუალური მებსიერება					
6.	მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და გაიხსენოს ბავშვობის ნივთები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	მშობლის გადმოცემით, ახსოვს წარსულიდან გარკვეული ადგილები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	მოსწავლეს შეუძლია გაიხსენოს სახლის, მისი ოთახის ნივთები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	მშობლის გადმოცემით, ახსოვს გზა სკოლიდან სახლამდე და პირიქით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10.	მშობლის გადმოცემით, ახსოვს სახლში სად რა დევს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
ხანმოკლე სმენითი მებსიერება					
11.	იმახსოვრებს მოსმენილ 2 სიტყვას და ნაჩვენებ 4-5 სურათში ადებს თითო იმ სიტყვების გამოსახულებას, რაც მოისმინა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	მოსმენილი წინადადებიდან (აბზაცი, ტექსტი) იმახსოვრებს დეტალებს და პასუხობს კი/არა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	იმახსოვრებს და იმეორებს მოსმენილ ციფრებს (დააკონკრეტეთ რამდენი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	იმახსოვრებს და იმეორებს მოსმენილ სიტყვებს (დააკონკრეტეთ რამდენი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	იმახსოვრებს და იმეორებს მოსმენილ უშინაარსო მარცვლებს (ბლა, ჯგუ, დგა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	იმახსოვრებს და იმეორებს მოსმენილი ტაშის რაოდენობას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	იმახსოვრებს და იმეორებს წინადადებას (დააკონკრეტეთ რამდენ სიტყვიანი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	იმახსოვრებს მოსმენილ ტექსტს და პასუხობს შეკითხვებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	იმახსოვრებს მოსმენილ ტექსტს და ჰყვება შინაარსს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
ხანგრძლივი სმენითი მებსიერება					

20.	ანსოვს ბავშვობის საყვარელი მულტიფილმის, ზღაპრის სახელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
21.	ანსოვს ბავშვობის საყვარელი მულტიფილმის, ზღაპრის შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
22.	ანსოვს ბავშვობის დროს ნასწავლი პატარა ლექსი/სიმღერა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
23.	ანსოვს დაბადების რიცხვი, თარიღი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
24.	ანსოვს გარკვეული დეტალები თავისი ბავშვობიდან (ბაღში რომ დადიოდა და ა.შ.)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
მუშა მენსიერება					
25.	შეუძლია ციფრების მწკრივის დამახსოვრება და უკუმიმართულებით გამეორება (4-7-3 მოსწავლე ამბობს 3-7-4)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
26.	შეუძლია არითმეტიკული მოქმედების ზეპირად გამოთვლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
27.	შეუძლია ინსტრუქციების (დააკონკრეტეთ რამდენ საფეხურიანი) დამახსოვრება და შესრულება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
28.	შეუძლია წინადადების დამახსოვრება და ამბობს რამდენი სიტყვისგან შედგება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
29.	იმახსოვრებს სიტყვებს (წინადადებას) და წერს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

### აზროვნების შეფასება

აზროვნება არის უნარი გადაჭრა პრობლემები, ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით განსაზღვრო, როგორ მოიქცე ახალ სიტუაციებში, იმსჯელო და გამოიტანო შესაბამისი დასკვნები. აზროვნება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა შემეცნებით უნარებთან, როგორიცაა: აღქმა, ყურადღება და მენსიერება. აზროვნება ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ენა-მეტყველების განვითარებასთან. როდესაც ჩვენ ადრე განვდილს ვუკავშირებთ ახალ ცოდნასა თუ სიტუაციას, ვწვდებით საგნებს შორის არსებულ მიმართებებს და ვუმკლავდებით როგორც ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ასევე სასწავლო სიტუაციასთან დაკავშირებულ ამოცანებს - ამ ყველაფერში აზროვნება გვეხმარება. გარდა ამისა, ეს უნარი გვეხმარება დავამყაროთ

მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ამოვიცნოთ გარესამყაროში არსებულ მოვლენებსა თუ ობიექტებს შორის არსებული მიმართებები.

გამოყოფენ აზროვნების სხვადასხვა ფორმას. პირველი ეს არის **თვალსაჩინო აზროვნება**, მაგალითად, როდესაც ბავშვს ვთხოვთ გვითხრას - „რა არის ღამე?“ და ის გვპასუხობს „ვსვამ ჩაის“ - ამ გადაწყვეტილებას სწორედ აზროვნების პრაქტიკულ კომპონენტზე დაყრდნობით იღებს, სიტუაციას ის თავის ყოველდღიურობას და ცხოვრებისეულ გამოცდილებას უკავშირებს. შემდეგი ფორმა **თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება**, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება აღქმასა და განცდილს ეფუძნება, შესაბამისად, ბავშვის აზროვნება იმ ობიექტებს ემყარება, რომელსაც ხედავს ან რომლითაც გარკვეულ მოქმედებას ასრულებს. ეტაპობრივად ვითარდება აზროვნების შემდეგი ფორმა, **ლოგიკური აზროვნება**, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ საკითხის სხვადასხვა ასპექტი, დაადგინონ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. **აბსტრაქტული აზროვნების** განვითარების პარალელურად მოსწავლეებს შეუძლიათ ვარაუდების გამოთქმა, ფაქტების შეფასება.

განვიხილოთ აზროვნების ის კომპონენტები, რომლებიც ერთი მხრივ დაგვეხმარება, უკეთ დავინახოთ უნარის ფუნქციონირების საზღვრები და მეორე მხრივ, მოვიპოვოთ ინფორმაცია, თუ როგორაა განვითარებული მოსწავლის სააზროვნო უნარები.

**კლასიფიკაცია** - თუ ჩვენ ობიექტებს გარკვეული საერთო ნიშნით ვახარისხებთ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ კლასიფიცირებას ვახდენთ. კლასიფიკაცია შესაძლოა განხორციელდეს ორი ან მეტი ნიშნით (თუ მხოლოდ ერთი ნიშნით ვთხოვთ მოსწავლეს საგნების ამორჩევას - აღქმას).


ილუსტრაცია 12. კლასიფიკაცია



მაგალითად, თუ მოსწავლე ხის ფიგურების გროვიდან ირჩევს ყვითელ სამკუთხედებს, ის ორი ნიშნით ახდენს მათ კლასიფიცირებას. თუ მოსწავლემ ამ ფიგურებიდან უნდა ამოარჩიოს დიდი ზომის, ყვითელი სამკუთხედები, ის კლასიფიცირებისას უკვე სამ ნიშანს, ფერს, ზომას და ფორმას ითვალისწინებს.


**კატეგორიზაცია** - ობიექტების მსგავსი მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფებას კატეგორიზაცია ეწოდება. კატეგორიზაცია, ერთი მხრივ, მოიცავს მოსწავლის მხრიდან ერთ დიდ კატეგორიაში შემავალი საგნების, ობიექტების დასახელებას, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეული ობიექტების, საგნების გაერთიანებას ერთ კატეგორიაში.

ილუსტრაცია 13. კატეგორიზაცია



მაგალითად, თუ მოსწავლეს ვთხოვთ ჩამოთვალოს რა ერთიანდება ტრანსპორტის კატეგორიაში, მას უწევს ერთი დიდი ქოლგის ქვეშ გაერთიანებული კატეგორიების ჩამოთვლა, მაგრამ თუ მოსწავლეს ვუსახელებთ ისეთ საგნებს, როგორიცაა: მანქანა, ვერტმფრენი, გემი და ვთხოვთ გააერთიანოს ის ერთ დიდ კატეგორიაში, მან ამ მსგავსი მახასიათებლების მქონე ობიექტებს საერთო სახელი უნდა მოუძებნოს და გააერთიანოს ტრანსპორტის კატეგორიაში. კატეგორიები მოიცავს ქვეკატეგორიებსაც, მაგალითად, თუ გვინდა მოსწავლემ ცალკე გამოჰყოს საზღვაო, საჰაერო, სახმელეთო და სარკინიგზო ტრანსპორტი ან ჩვენგან დასახელებული ტრანსპორტი რომელიმე ქვეკატეგორიას შეუსაბამოს და არა, უბრალოდ, ტრანსპორტს, ამ შემთხვევაში ქვეკატეგორიებთან გვაქვს საქმე.

**ანალოგიები** - როდესაც ბავშვი ამყარებს მიმართებას ორ საგანს, ობიექტს შორის. ანალოგიები შეიძლება მოცემული გვექნოდეს, როგორც ვერბალურად, ასევე ვიზუალურად. მაგალითად, თუ მოსწავლეს ვაჩვენებთ ქვემოთ მოცემული ბარათის მსგავსს და ვთხოვთ მას შეავსოს გამოტოვებული უჯრა, შესაბამისი ალტერნატივებიდან. ვერბალური ანალოგიების დამყარების დროს მოსწავლეს შეიძლება შევთავაზოთ ორ სიტყვას შორის არსებული მიმართება სადემონსტრაციოდ და ვთხოვთ მაგალითზე დაყრდნობით და შეთავაზებული ალტერნატივებიდან დაამყაროს ახალი ანალოგია. ბოლოს კი, ასევე ვერბალური ანალოგიების დამყარების დროს, მოსწავლეს შესაძლოა მივაწოდოთ მხოლოდ სადემონსტრაციო მაგალითი და ვთხოვთ დაასახელოს რა სიტყვა შეესაბამება კონკრეტულ მოცემულ სიტყვას, რომ მათ შორის დამყარდეს მიმართებები.



**ზედმეტის გამოყოფა** - როდესაც მოსწავლეს შეუძლია თვალსაჩინოდ მოცემულ ან ვერბალურად დასახელებული ობიექტებიდან რამდენიმეს გაერთიანება და განსხვავებული ნიშნის მქონე ობიექტის ამოცნობა.

მაგალითად, თუ მას ვაჩვენებთ თვალსაჩინობას, სადაც მოცემულია: ვაშლი, ანანასი, ფორთოხალი და ურიკა, თუ მოსწავლე პირველ სამ ობიექტს არ აერთიანებს ხილის კატეგორიაში, მას გაუჭირდება, რომ ურიკა ზედმეტ ობიექტად მიიჩნიოს.

ილუსტრაცია 15. ზედმეტი ობიექტის იდენტიფიცირება



**მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება** - გარესამყაროში არსებულ მოვლენებსა და პროცესებს შორის კავშირის დამყარება გვეხმარება განვსაზღვროთ, რა არის კონკრეტული პროცესის მიზეზი და რა შედეგი მოსდევს ან შესაძლოა მოსდევდეს მას. მაგალითად, თუ აღუდებულ წყალში ჩავყრით შაქარს, ის დადნება ან თუ წვიმაში გავალ ქოლგის გარეშე დავსვლდები.

ილუსტრაცია 16. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმოჩენა



**მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობა** - როდესაც მოსწავლე გარკვეულ მოვლენებს, სიუჟეტებს და პროცესებს ალაგებს ლოგიკური თანმიმდევრობით და ითვალისწინებს პროცესს - რა იყო ჯერ, შემდეგ და ბოლოს. ამ კომპონენტზე დაყრდნობით მოსწავლეებს შეუძლიათ სერიული სიუჟეტური სურათების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება, მცენარის დათესვიდან მისი ყვავილის გამოღებამდე პროცესის ამსახველი ბარათების თანმიმდევრულად დალაგება და ა.შ.

ილუსტრაცია 17. მოვლენათა ლოგიკური თანმიმდევრობის განსაზღვრა



აზროვნების თითოეულ კომპონენტზე ინფორმაციის მოპოვების პროცესში მნიშვნელოვანია შეფასების შედეგების აღწერა ეყრდნობოდე მრავლობით მაგალითებს. მაგალითად, თუ მოსწავლე ასახელებს ხილის კატეგორიაში შემავალ ობიექტებს ან ჩამოთვლილ ცხოველებს შესაბამის კატეგორიაში აერთიანებს, ეს არ ნიშნავს, რომ მას სრულყოფილად ესმის კატეგორიზაციის პრინციპი. ასევე თუ მოსწავლე ერთ შემთხვევაში ამყარებს ანალოგიებს, ეს ვერ მოგვცემს დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსწავლეს, ზოგადად, შეუძლია ანალოგიების დამყარება. ნებისმიერ კომპონენტთან მიმართებით ინფორმაცია უნდა ეყრდნობოდეს რაც შეიძლება მეტ პრაქტიკულ მაგალითს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთავაზობთ აზროვნების უნარის შეფასების ჩეკლისტს, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეზე გარკვეული სურათის შექმნასა და საჭიროებების იდენტიფიცირებაში:

ჩეკლისტი 12. აზროვნება

აზროვნება	ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
1. ობიექტების, საგნების კლასიფიცირებას ახერხებს ერთი ნიშნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2. ობიექტების, საგნების კლასიფიცირებას ახერხებს ორი ნიშნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3. ობიექტების, საგნების კლასიფიცირებას ახერხებს ორი ან მეტი ნიშნით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

4.	ჩამოთვლილ ობიექტებს, საგნებს აერთიანებს შესაბამის კატეგორიაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5.	ჩამოთვლის დასახელებულ კატეგორიაში შემავალ ობიექტებს, საგნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6.	გამოყოფს ქვეკატეგორიებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	ამყარებს მოდელის შესაბამის ვიზუალურ ანალოგიებს შემოთავაზებულ ალტერნატივებზე დაყრდნობით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	ამყარებს ვიზუალურ ანალოგიებს ალტერნატივების შეთავაზების გარეშე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	ამყარებს მოდელის შესაბამის ვერბალურ ანალოგიებს შემოთავაზებულ ალტერნატივებზე დაყრდნობით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10.	ამყარებს ვერბალურ ანალოგიებს ალტერნატივების შეთავაზების გარეშე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	შეთავაზებული 3 საგნიდან გამოყოფს 1 ზედმეტს და ხსნის პოზიციას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
12.	შეთავაზებული 4 საგნიდან გამოყოფს 1 ზედმეტს და ხსნის პოზიციას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	2 სიუჟეტთან ბარათებს ალაგებს თანმიმდევრულად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
14.	3 სიუჟეტთან ბარათებს ალაგებს თანმიმდევრულად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	4 და მეტ სიუჟეტთან ბარათებს ალაგებს თანმიმდევრულად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	განალაგებს მოვლენებს მოქმედებათა თანმიმდევრობის მიხედვით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	უკავშირებს პროცესს კონკრეტულ მოვლენას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

18.	ასახელებს მოვლენას, რომელმაც შესაძლოს რაიმე პროცესი გამოიწვიოს	□	□	□	
-----	--	---	---	---	--

### სოციალური და ემოციური უნარების შეფასება

სოციალური და ემოციური უნარები მნიშვნელოვანია როგორც სხვებთან, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობაში, ასევე სწავლა-სწავლების პროცესში. სოციალური და ემოციური სფერო დაკავშირებულია მეგობრობის, ემოციების გამონატვის, ემპათიის, პრობლემის გადაჭრისა და იმპულსის კონტროლის უნარებთან.

სოციალური და ემოციური უნარები ადრეული ასაკიდანვე ვითარდება, შეიძლება ითქვას, რომ დაბადებიდან. როდესაც ჩვილი უღიმის დედას ან მზრუნველს, ის გამონატავს თავის ემოციებს, გვაწვდის მესიჯს იმის შესახებ, რომ თავს კარგად, კომფორტულად გრძნობს.

ემოციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და აისახება ჩვენს ქცევაზე. თუ მოსწავლე ღელავს, შფოთავს ან ინტენსიურ ემოციებს განიცდის, ცხადია მას გაუძნელდება ყურადღების ფოკუსირება სასკოლო დავალებასა და ამოცანაზე. შესაბამისად, სწავლის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოსწავლის ემოციური უნარები, რადგან შესაძლოა ის მნიშვნელოვნად აფერხებდეს, როგორც აქტივობებში ჩართულობასა და მონაწილეობას, ასევე სწავლის პროცესს. ემოციები შემეცნებით ფუნქციებზე დიდ გავლენას ახდენს. თუ მოსწავლე ღელავს, ძნელად წარმოსადგენია, რომ მან ყურადღება მიაქციოს სასწავლო მასალას, თქვენს ინსტრუქციებს, დაიმახსოვროს ახალი ინფორმაცია ან იფიქროს, როგორ გადაჭრას, მაგალითად, მათემატიკური ამოცანები. შეიძლება ითქვას, რომ ემოციების ზემოქმედებით მოსწავლის შემეცნებითი უნარები: ყურადღება, აღქმა, მეხსიერება და აზროვნება იცვლება.

სოციალური და ემოციური უნარების განვითარება ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული მოსწავლის ქცევასთან. არასასურველი ქცევები, იქნება ეს დავალების შესრულებაზე უარის თქმა, საკუთარი თავის თუ სხვისი დაზიანება მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლებისთვის ხშირად, საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს. პრაქტიკაში გავრცელებული ხშირი შეცდომა დაკავშირებულია იმასთან, რომ სპეციალისტი ორიენტირებულია არასასურველი ქცევების აღმოფხვრაზე და არა მის საფუძვლად მდებარე უნარების ნაკლებობის პოვნაზე. თუ მოსწავლეს უძნელდება საკუთარი ნივთების თანატოლებისთვის გაზიარება და ამის გამო ხშირად მათთან კონფლიქტიც

მოსდის, მხოლოდ წესების შემოტანა, მოსწავლის გაკონტროლება ან აკრძალვა არ იქნება ეფექტიანი. გრძელვადიანი შედეგისთვის, მოსწავლეს შესაძლოა სჭირდებოდეს ისეთი სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაში ხელშეწყობა, როგორცაა ჯერის/რიგის დაცვა, იმპულსის კონტროლი და სხვისი პერსპექტივის დანახვა.

ჩეკლისტი 13. სოციალური და ემოციური უნარები

სოციალური და ემოციური უნარები		ასრულებს დამოუკიდებლად	ასრულებს დახმარებით	ვერ ასრულებს	კომენტარი
<b>თვითცნობიერება</b>					
1.	ცნობს საკუთარ თავს სარკეში, ბავშვობის ფოტოებში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
2.	აქვს საყვარელი სათამაშო, წიგნი, მულტფილმი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
3.	ამბობს, მიუთითებს რა მოსწონს და რა არა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4.	ხატავს საკუთარ თავს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
5.	ახასიათებს საკუთარ თავს, ამბობს როგორია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
6.	საკუთარი თავის შესახებ გადმოსცემს ინფორმაციას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
7.	საუბრობს მისი საყვარელი თამაშების, აქტივობების, შესახებ, რისი კეთება უყვარს და არ უყვარს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
8.	იცის რა გამოსდის კარგად (ამბობს, რომ კარგად ხატავს, ან უპირატესობას ანიჭებს იმ აქტივობებს, რომელიც კარგად გამოსდის)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
9.	ღიმილს პასუხობს ღიმილით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
10.	გამოხატავს ინტერესს და ცნობისმოყვარეობას ახალი საგნის, აქტივობის, სიტუაციის მიმართ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
11.	გამოხატავს ემოციებს მიმიკებით, სახის ექსპრესიით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

12.	გამონატავს ემოციებს როგორც არავერბალურად, ასევე ვერბალურად (მაგ: ამბობს, რომ მოწყენილია/განარებულია, იღებს სხვადასხვა ემოციის აღმნიშვნელ მიმიკას, გამომეტყველებას)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
13.	შუქდლია საკუთარი ნამუშევრის გაზიარება და თავის წარმოჩენა (ნახე, რა გამომივიდა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
<b>თვითრეგულაცია</b>					
14.	შუქდლია გარკვეული დროით მოთმენა (მოიყვანეთ მაგალითები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
15.	შუქდლია ჯერის დაცვა წყვილში (ჯერ მე, მერე შენ)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
16.	შუქდლია რიგის დაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
17.	თამაშობს თამაშებს, რომელიც იმპულსის კონტროლს მოითხოვს (მაგ: გაშეშობანა, წითელი შუქი, მწვანე შუქი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
18.	აკონტროლებს თავის ქცევას, როდესაც ეუბნებიან „არას“	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
19.	მძაფრ ემოციებს გამონატავს იმგვარად, რომ არაფერს და არავის აზიანებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
20.	წარუმატებლობის შემთხვევაში კიდევ ცდილობს (მაგ: უშვებს წერისას შეცდომას, რეაგირებს მშვიდად და აგრძელებს)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
21.	შუქდლია გაბრაზების შემდეგ მალევე დამშვიდდეს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
22.	როცა აღელვებულია ითხოვს დახმარებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
23.	იქცევა დამოუკიდებლად (იცვამს ფეხსაცმელს, კიდებს ქურთუკს საკიდზე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
<b>სოციალური ცნობიერება</b>					
24.	ჩამოთვლის ოჯახის წევრებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
25.	ყურადღებას აქცევს თუ ვინმე ტირის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

26.	ენმარება თანატოლს, უფროსს ან ამჟღავნებს დახმარების სურვილს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
27.	შუქდლია ნივთების გაზიარება, სხვისთვის თხოვება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
28.	როდესაც რაიმე ნივთი სურს, ითხოვს ნებართვას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
29.	იცის და ასრულებს მარტივ საკლასო, საოჯახო წესებს (ჩამოთვალეთ)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
30.	სხვადასხვა სიტუაციაში იქცევა შესაბამისად (ტრანსპორტი, ეზო, კაფე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
31.	გამოხატავს თანაგრძნობას, ემპათიას სხვის მიმართ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
32.	ხვდება თანატოლების, უფროსების სურვილებს (მაგ: ამბობს, ნინის დასვენება უნდა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
33.	შესაბამისად რეაგირებს თამაშის დროს წაგება-მოგებაზე				
<b>ურთიერთობა და კომუნიკაცია</b>					
34.	ესალმება და ემშვიდობება თანატოლებს, სტუმრებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
35.	შუქდლია დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
36.	ეკითხება თანატოლს ან უფროსს რაიმეს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
37.	სხუელის ენით ამჟღავნებს კომუნიკაციის სურვილს (გიყურებს, გეხება)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
38.	თამაშობს სხვა ბავშვებთან ერთად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
39.	ერთვება სხვა ბავშვებთან ერთად აქტივობებში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
40.	შუქდლია იზოვოს საკუთარი როლი თამაშში, აქტივობებში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
41.	იმეორებს სხვა ბავშვის, უფროსის ქცევას, ბაძავს მას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
42.	კონფლიქტის დროს სთხოვს უფროსს დახმარებას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
43.	კონფლიქტის დროს იყენებს საკუთარი თავის და სხვებისთვის უსაფრთხო გადაჭრის გზებს (სიტუაციისგან გაცლა, სხვა სათამაშოს მოძებნა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

44.	ჰყავს გამორჩეული მეგობარი/მეგობრები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
45.	ინტერესდება სხვადასხვა ტიპის ურთიერთობით (ცოლ-ქმარი, გოგო-ბიჭი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
გადაწყვეტილების მიღება					
46.	აკეთებს არჩევანს ყოველდღიურ ცხოვრებაში (რა ჭამოს, რა გააკეთოს, რა დახატოს)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
47.	ერიდება საფრთხისშემცველ საგნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
48.	აკავშირებს მის ქცევას სავარაუდო შედეგთან (თუ სათამაშოს წავართმევ, ეწყინება)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
49.	როცა რაიმე დაბრკოლება, პრობლემა აქვს ცდილობს მოიფიქროს გამოსავალი (მაგ: თუ ფურცელი გაეხა, ითხოვს ახალს)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
50.	ცდილობს დაბრკოლებების, პრობლემების გადაჭრას და თუ არ გამოსდის ცვლის სტრატეგიას (მაგ: აშენებს კოშკს, იწევა ფეხის წვერებზე რომ მაღლა დადოს, შემდეგ კი დგება სკამზე)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

## მოსწავლის წინსვლის ხელშეწყობა

საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე განმარტებულია როგორც პირი, რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ასრულებს შესაბამისი კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილ სასწავლო გეგმას, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია და მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

გათვალისწინებითაა შედგენილი, წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ არის წლიდან წლამდე ცვალებადი მოქნილი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესის ამსახველია კონკრეტული საგნის ფარგლებში. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცვლილება მოხდეს წლის განმავლობაში, რის საშუალებასაც აღნიშნული დოკუმენტი იძლევა.

ყველა მოსწავლე თავისი შესაძლებლობებით, უნარებით, საჭიროებებით, სწავლისა და გარემოსთან ადაპტაციის ტემპით განსხვავდება ერთმანეთისგან მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიური ასაკის თვალსაზრისით შესაძლებელია თანხვედრაში იყვნენ. შესაბამისად, როდესაც მოსწავლე დგება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული მიზნების დაძლევის სირთულის წინაშე, დგება გარკვეული ცვლილებებისა და ადაპტაციების განხორციელების საჭიროება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნების შედგენის საფუძველს წარმოადგენს მოსწავლის შეფასება. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თუ რა არის მოსწავლის განვითარების აქტუალური დონე ანუ რა უნარ-ჩვევებსა და შესაძლებლობებს ფლობს იგი და რა აქტივობების, ამოცანებისა თუ მოქმედებათა მრავალფეროვნების შესრულება შეუძლია მას დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე. სწორედ შეფასების შედეგების გათვალისწინებით განისაზღვრება ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და მიზნის მიღწევისთვის საჭირო გზები, აქტივობები და სტრატეგიები.

კონკრეტული საგნის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს საგნის მასწავლებელი ადგენს საგნობრივი შეფასების საფუძველზე. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ საგნობრივი შეფასება არ არის საკმარისი რელევანტური და რეალისტური მიზნების შედგენისთვის. აუცილებელია გავითვალისწინოთ მოსწავლის შემეცნებითი, ფუნქციური, ქცევითი, სოციალურ-ემოციური, გარემოსა და სხვა მახასიათებლები და თავისებურებები. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება სპეციალური მასწავლებლის ჩართულობა, რადგან სწორედ ის ფლობს აღნიშნული ფაქტორების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას.


შესაბამისად, მნიშვნელოვანია მასწავლებლების კონსულტირება, რათა მათ შეძლონ SMART მიზნების დასახვა და ამ მიზნების მიღწევისთვის სწავლა-სწავლების შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება, სასწავლო გარემოსა და კურიკულუმის მოსწავლეზე მორგებულად ადაპტაცია.



როდესაც მოსწავლის შესაძლებლობებსა და კონკრეტული საგნის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შორის არის დიდი განსვლა, ადაპტირება არის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება აღნიშნული სხვაობის მინიმუმამდე დაყვანისთვის. შეფასების შედეგებზე დაფუძნებული ადაპტაციები ზრდის მოსწავლის ეფექტიანი სწავლა-სწავლების შესაძლებლობასა და საგანმანათლებლო პროცესში მის წარმატებულ ჩართულობას.

არსებობს ადაპტაციის ორი ძირითადი ტიპი - აკომოდაცია და მოდიფიკაცია. კომპონენტებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ადაპტაციის განხორციელება, წარმოადგენენ მასალის/შინაარსის მოცულობა, აქტივობის შესასრულებლად განსაზღვრული დრო, დავალების სირთულის ხარისხი, შესრულების პროცესში მხარდაჭერის დონე, ინფორმაციის მიწოდების ფორმა, შესრულების/გამოხატვის ფორმა და თანამონაწილეობა/ჩართულობა.

ილუსტრაცია 19. აკომოდაცია და მოდიფიკაცია



აკომოდაციის შემთხვევაში იცვლება ფორმა თუ როგორ სწავლობს მოსწავლე კონკრეტულ მასალას ან ახორციელებს კონკრეტულ აქტივობას, შემდგომში კი, როგორ შეუძლია ცოდნის დემონსტრირება. აკომოდაციის შემთხვევაში არ მცირდება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ სწავლის მოთხოვნები, თუმცა იცვლება მასზე ხელმისაწვდომობა.

თუ აკომოდაცია არ არის საკმარისი, მაშინ საჭირო ხდება **მოდულიზაცია**, რომელიც გულისხმობს ცვლილებას იმის შესახებ თუ რას სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ან რისი მოლოდინი გვაქვს რომ ისწავლის.

სპეციალურ მასწავლებელთა უმრავლესობას დიდი გამოცდილება აქვთ საგნის მასწავლებლებთან, მშობლებთან თუ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და მისი განხორციელება-მონიტორინგის თვალსაზრისით. მათთვის ნაცნობია ისგ-ს შედგენის მეთოდოლოგია, სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები, რომელიც კონკრეტული საგნის ფარგლებში მიმართულია მოსწავლის საჭიროებებსა და აკადემიური წინსვლის ხელშეწყობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსწავლის სწავლა-სწავლებისთვის, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ეფექტიანი ფუნქციონირებისა თუ საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის სირთულის საფუძველს შესაძლებელია სხვა (არააკადემიური) ფაქტორების ურთიერთქმედება განაპირობებდეს, მაგალითად, ფუნქციურ თუ მოტორულ უნარებთან, ყურადღებასთან, მეხსიერებასთან, რეცეპტულ თუ ექსპრესიულ ენასთან, კომუნიკაციასთან, ინფორმაციის სმენით თუ მხედველობით გადამუშავებასთან, ვიზუალურ-მოტორულ უნარებთან, აღმასრულებელ ფუნქციებთან, ქცევასთან, სოციალურ-ემოციურ სფეროსთან დაკავშირებული უნარები და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკადემიური, კოგნიტური თუ სხვა სფეროებისა და უნარების მიხედვით მოსწავლის შესაძლებლობების დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია და გვეხმარება მოსწავლის შესაძლებლობებისა თუ სირთულეების უკეთ იდენტიფიცირებაში. თუმცა, უმნიშვნელოვანესია გვეჩვენოს ინდივიდის მიმართ ჰოლისტური ხედვა და ნათლად გავაცნობიეროთ, რომ, მაგალითად, აკადემიური უნარები მჭიდრო კავშირშია და გადაჯაჭვულია შემეცნებასთან, ხოლო მასზე უდიდეს გავლენას ახდენს ემოციური და მოტივაციური ფაქტორები, რომლებიც თავის მხრივ აისახება ქცევაზე. შესაბამისად, აუცილებელია, როგორც ცალკეულ უნარზე დაკვირვება და შეფასება, ასევე მათი მთლიანობითი აღქმა და ანალიზი.

ხშირ შემთხვევაში კონკრეტულ საგნის ფარგლებში დაგეგმილი მიზნები შესაძლებელია ვერ პასუხობდეს აღნიშნულ საჭიროებებს ან/და არ აღმოჩნდეს საკმარისი და საჭირო გახდეს სპეციალური მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის დამატებითი მხარდაჭერა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციის გეგმის შექმნა. ინტერვენციის გეგმა წარმოადგენს იმ მიზნებისა და აქტივობების ერთობლიობას,

რომელიც მიმართულია მოსწავლის უნარების გაუმჯობესებაზე, მისი ჩართულობისა და თანამონაწილეობის ხარისხის გაზრდაზე.

ინტერვენციის გეგმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნაწილია. იგი ეყრდნობა ისგ-ს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: მოსწავლის შეფასების შედეგები, საგნობრივი გეგმებით გათვალისწინებული მიზნები, გარემოს ადაპტაციები თუ კონკრეტული აქტივობები. ეფექტიანი სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთ მთავარი პრინციპს კონკრეტულ მოსწავლესთან მომუშავე მასწავლებელთა და სპეციალისტთა თანამშრომლობითი, შეთანხმებული და თანმიმდევრული მიდგომები წარმოადგენს. შესაბამისად, ხშირად შესაძლებელია ინტერვენციის გეგმაში გაწერილი მიზნები თანხვედრაში იყოს საგნობრივ ორიენტირებთან უკეთესი შედეგის მიღების მიზნით.

მოსწავლის საჭიროებებზე მიმართული მიზნებისა და მათი შესაბამისი აქტივობების შექმნა/დაგეგმვის მთავარი ხელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ ის მიმართული იყოს არა ერთ კონკრეტულ უნარზე იზოლირებულად, არამედ ვიმუშაოთ რამდენიმე სამიზნე უნარზე კომბინირებულად. ამ გზით აქტივობა ხდება უფრო მრავალფეროვანი, განმავითარებელი, მასტიმულირებელი და მოსწავლისთვის საინტერესო, ხოლო სწავლა-სწავლების პროცესი კი - ეფექტიანი. მაგალითისთვის, თუ სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს კითხვის უნარის განვითარება, კერძოდ, „მოსწავლემ უნდა შეძლოს მისთვის ნაცნობი ასოების მარცვლებად გაერთიანება და ამოკითხვა“ და ამასთანავე, მას აქვს ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეები, შესაძლებელია შევთავაზოთ მსგავსი აქტივობა.

ილუსტრაცია 20. აკადემიური და კოგნიტური უნარების კავშირი ერთი აქტივობის მაგალითზე

	<b>იკოვე და შემოხაბა სიტყვა "კატა"</b>	რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს მოცემული აქტივობა?
კ დ მ ნ ო <b>კ ა ტ ა</b> ს თ ნ გ ი კ ა ტ ი ვ ო ს თ დ პ რ ო ი გ ნ კ ა ტ ა გ ჰ წ ტ პ ს ჭ ე რ ვ კ ა ტ ა კ ო ყ რ ნ მ ა ო ა		 აკადემიური : ასოების ცნობა, სიტყვის მთლიანობითი ხატის ამოცნობა, ასოების და მარცვლების სინთეზი  კოგნიტური: ყურადღების სელექცია, შერჩევითი კონცენტრაცია

ამ გზით უკვე შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვან უნარზე ერთდროულად მუშაობა: ასოების ცნობა, ნაცნობი ასოების მარცვლებად და მარცვლების სიტყვებად გაერთიანება, ყურადღების სელექცია და შერჩევითი კონცენტრაცია.

აღნიშნული აქტივობის ცვლილება შესაძლებელია სირთულის ხარისხის მიხედვით მოსწავლის უნარების შესაბამისად, მაგალითად, ფონტისა და ასოთა შორის დისტანციის გაზრდა, ერთმარცვლიანი ან სამ და მეტ მარცვლიანი სიტყვების მიწოდება. ასევე, განსხვავებული სიტყვების მიწოდება თვალსაჩინოების დახმარებით ან მათ გარეშე. მაგალითად:

ილუსტრაცია 21. აქტივობის ნიმუში

**იპოვე გამოსახულების შესაბამისი სიტყვები და შემოხატე**








კ დ მ ნ ო **კ ა ტ ა** ს თ ნ გ ი კ ა ტ ი ვ ს ა ხ ლ ი ჭ კ მ თ ი მ თ ვ ა რ ე  
 ო ს თ ღ პ რ ო ი გ ნ კ ა ტ ა გ ჰ წ ტ მ ე დ უ ზ ა ხ ე ო კ ქ ლ მ ნ ო ი  
 პ ს ჭ ე რ ვ კ ა ტ ა კ ო ყ რ ნ მ ა ო ა ლ ი მ ო ნ ი კ ო ქ ლ ს მ ნ პ გ დ

აღნიშნულ აქტივობაში მოსწავლემ გამოსახულების შესაბამისი ორ და მეტ მარცვლიანი სიტყვები უნდა იპოვოს. დავალება მიმართულია კითხვისა და ყურადღების უნარზე, თუმცა, როგორც შეამჩნევდით, სირთულის ხარისხი გაზრდილია.

ინტერვენციის გეგმაზე მუშაობისას და აქტივობების დაგეგმვისას მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლემ შეძლოს მიღებული ცოდნისა თუ ათვისებული უნარ-ჩვევის დროთა განმავლობაში **შენარჩუნება** და სხვადასხვა კონტექსტში, საგნებთან თუ ადამიანებთან მისი **გენერალიზება/გამოყენება**. შესაძლებელია ძალიან ბევრი აქტივობის მოფიქრება, რომელიც კონკრეტულ უნარზეა მიმართული და მოსწავლისთვისაც სახალისო და საინტერესოა, თუმცა, თუ იგი ვერ ეხმარება მოსწავლეს შესწავლილის შენარჩუნებასა და განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენებაში, ასეთ დროს მიღებული ცოდნა, პრაქტიკულობის თვალსაზრისით, დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

შენარჩუნებული ცოდნა წარმოადგენს ეფექტიანი სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომლის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია ის თუ რამდენად საჭირო და რელევანტურია მიღებული ცოდნა მოსწავლისთვის და არის თუ არა აღნიშნული უნარი დაკავშირებული მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ანუ სჭირდება თუ არა მისი გამოყენება ბუნებრივ პირობებში. გენერალიზაცია არის უნარი, რომლის არსებობისას მოსწავლეს შეუძლია მიღებული ცოდნის განსხვავებულ

გარემოსა და კონტექსტებში, განსხვავებული რესურსებითა და განსხვავებულ ადამიანებთან გამოყენება. იგი გულისხმობს დაუფლებული ცოდნის ან უნარ-ჩვევების ისეთ სიტუაციებში დემონსტრირებას, რომლებიც განსხვავდებიან იმ გარემოსგან, სადაც ეს ცოდნა აითვისა მოსწავლემ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გენერალიზაციის უნარის არსებობისას შესაძლებელია ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა კონტექსტში.

სწორად ამიტომ, მნიშვნელოვანია ისეთი გარემო პირობების შექმნა, რომ მოსწავლეს ხშირად უწევდეს მიღებული ცოდნისა თუ ათვისებული უნარის გამოყენება. აუცილებელია ამ პროცესში მშობლის როლის გაზრდა, მუდმივი კომუნიკაცია და ხშირი კონსულტაცია. მაგალითისთვის, ფულის ერთეულების ცნობისა და მათი გამოყენებით გარკვეული მანიპულაციების განხორციელების სწავლება რესურს ოთახში ბარათებისა და სიმულაციური თამაშების გამოყენებით ძალიან ეფექტურია, თუმცა იმისათვის, რომ მიღებულ ცოდნას ჰქონდეს ფუნქციური დანიშნულება და მოსწავლემ შეძლოს ბუნებრივ პირობებში აღნიშნული უნარ-ჩვევების გამოყენება, აუცილებელია მშობლის ჩართულობის გაზრდა. მნიშვნელოვანია მშობელს გავეწიოთ კონსულტაცია და დავეხმაროთ იმის სწორად და ეფექტიანად დაგეგმვაში, რომ მოსწავლეს ჰქონდეს, თავდაპირველად, სახლთან მდებარე მაღაზიაში მიღებული ცოდნის ხშირად და ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობა. ხოლო შემდგომ ნელ-ნელა გენერალიზდეს კიდევ უფრო მეტ კონტექსტზე.

სასწავლო გარემოდან ბუნებრივ კონტექსტში ცოდნის გენერალიზების უნარი შედარებით რთული საკითხია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მათთვის გართულებულია განსხვავებულ გარემოში იმ სტიმულის იდენტიფიცირება, რომლის შემჩნევამაც უნდა გაააქტიუროს უკვე შესწავლილი უნარის გამოყენება. შესაბამისად, უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს გენერალიზების უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაზე. ამ პროცესში რეკომენდებულია კონკრეტული უნარისა თუ ცნების სწავლებისას მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება, მაგალითად, ციფრების სწავლებისას ბარათების, მაგნიტური ციფრების, ხის ფიგურების, ფულის კუპიურების და ა.შ. გამოყენება. ან ყვავილის აგებულების სწავლებისას ქოთნის ყვავილის, სკოლის ეზოში ამოსული ყვავილის, ყვავილის სურათის ან ვიდეოს გამოყენება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წინსვლის ხელშეწყობას წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობისა და თანამონაწილეობის ხარისხის გაზრდა, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოსწავლეზე მორგებული, რელევანტური, რეალისტური, ფუნქციური მიზნების განსაზღვრის, კოლაბორაციული მიდგომითა და სწავლა-სწავლების ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებით.

## მოსწავლის დინამიკა სწავლა- სწავლების პროცესში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების დინამიკასა და პროგრესზე დაკვირვება-ანალიზი საგანმანათლებლო პროცესის არსებითი და აუცილებელი ნაწილია. მონიტორინგი წარმოადგენს უწყვეტ და თანმდევ პროცესს, რომელიც გულისხმობს პერიოდულად მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი მიღწევების, საგანმანათლებლო სივრცეში მისი ეფექტიანი ფუნქციონირების შეფასებას. იგი გამოიყენება მოსწავლის ზრდის, განვითარებისა და გამოყენებული სწავლა-სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების ეფექტიანობის გაზომვა-შეფასებისთვის. სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა იმის ანალიზისა თუ რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესი.


სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დინამიკაზე დაკვირვება და მისი ანალიზი ეყრდნობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ და სპეციალური მასწავლებლის მიერ შედგენილ არაფორმალურ მიზნებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ სპეციალური მასწავლებლის დასახული და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახული მიზნები აკმაყოფილებდეს **SMART** მიზნების კრიტერიუმებს. ყოველივე ეს მონიტორინგის პროცესს აადვილებს, რადგან მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი ხდება უფრო დაკვირვებადი, თვალსაჩინო და გაზომვადი. ინფორმაციის მიღებისთვის და მოსწავლის შეფასებისთვის სისტემატური და წინასწარ დაგეგმილი მეთოდების გამოყენებით SMART მიზნების არსებობა იძლევა მიღებული შედეგების წინა მონაცემებთან შედარების საშუალებას, რაც დინამიკის ანალიზისთვის აუცილებელია.

მაგალითისთვის, თუ კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში ქართული ენისა და ლიტერატურის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ის, რომ სემესტრის ბოლოსთვის „მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების მარცვლებით ამოკითხვა და გამთლიანება“, ჩვენ შეგვიძლია მივაწოდოთ მას მისთვის ნაცნობი 15 სიტყვა და დავაკვირდეთ, რამდენ მათგანს ამოიკითხავს სწორად ან დახმარების გარეშე წლის დასაწყისში, შუა სემესტრში და ა.შ. დინამიკაზე დაკვირვებისა და მეტი თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია მონაცემები გამოვსახოთ, მაგალითად, გრაფიკის საშუალებით.

გრაფიკის ვერტიკალურ ღერძზე მოცემულია მოსწავლისთვის მიწოდებული მისთვის ნაცნობი სიტყვების რაოდენობა (ამ შემთხვევაში 14 სიტყვა), ხოლო ჰორიზონტალურ ღერძზე სწავლების ხანგრძლივობა (ამ შემთხვევაში 4 კვირა). ლურჯი ხაზით მონიშნულია თუ რამდენი სიტყვა ამოიკითხა მოსწავლემ სწორად (პირველ კვირას - 3, მეორე კვირას - 5, მესამე კვირას - 11, ხოლო მეოთხე კვირას - 13). გრაფიკი ნათლად და მკაფიოდ ასახავს, რომ სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლის

გამოყენებული სტრატეგიები და შერჩეული მიზანი წარმატებულია კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში, რადგან სახეზე გვაქვს მზარდი წინსვლა. შემოწმებისა და ამაში დარწმუნების საშუალებას კი გვაძლევს ის, რომ მიზანი არის ფორმულირებული SMART პრინციპის მიხედვით ანუ არის სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ გრაფიკი მოცემულია ერთ-ერთ მაგალითად და შესაძლებელია თვალსაჩინოებისთვის მივმართოთ ნებისმიერ უფრო მორგებულ და ხელსაყრელ ფორმას.

გრაფიკი 1. მოსწავლის პროგრესის დოკუმენტირება



მსგავსი პრინციპით შესაძლებელია მოსწავლის, მაგალითად, სოციალური უნარების განვითარებაზე დაკვირვება და ანალიზი. თუ წლის დასაწყისში მიზნად დავისახეთ ის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად, მითითების გარეშე შეეძლოს კომუნიკაციის ინიცირება თანაკლასელებთან, მაშინ დავაკვირდებით და ჩავინიშნავთ, რამდენჯერ გამოიჩინა კომუნიკაციის ინიციატივა სხვისი მითითებით თუ მითითების გარეშე პირველი კვირის მანძილზე, რამდენჯერ შეძლო ეს მეორე, მესამე კვირაში და ა.შ.

არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კონკრეტულ მიზანთან მიმართებით არ შეინიშნება რაიმე წინსვლა ან პირიქით - შედეგი მიიღწევა იმაზე ადრე, ვიდრე არსებობდა მოლოდინი. ამის მიზეზს შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორი წარმოადგენდეს: ზედმეტად დიდი ან დაბალი მოლოდინი მოსწავლის მიმართ, მიზნის არარელევანტურობა, მოსწავლის მოტივაციის ნაკლებობა, მასალის ფორმა, მოცულობა ან შინაარსი, მოსწავლის შესრულების პირობა და ფორმა, მოსწავლის მიმართ გამოყენებული სწავლების სტრატეგიები, კონკრეტული მიზნის დაუფლებისთვის

საჭირო საფუძვლადმდებარე უნარ-ჩვევების არარსებობა და სხვა. მაგალითისთვის, თუ ჩვენ ვმუშაობთ შედეგზე, რომ მოსწავლემ შეძლოს სიტყვების მარცვლებით ამოკითხვა და გამთლიანება, ხოლო მას სირთულეები აქვს ასობის ცნობის დონეზე, მაშინ აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელია იყოს არარეალისტური და საჭირო იყოს მიზნის ცვლილება.

მოგეხსენებათ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოქნილი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აუცილებლად იცვლება წლიდან წლამდე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაშიც იძლევა ცვლილების შეტანის საშუალებას. შესაბამისად, აუცილებელია მოსწავლის სწავლა-სწავლების დინამიკაზე დაკვირვება, პროცესის მონიტორინგი, რათა დროულად მოხდეს იმის შემოწმება თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს პროცესი და არის თუ არა რაიმე ცვლილების შეტანის საჭიროება. წლის განმავლობაში შესაძლებელია წინასწარ გვეჩვენოს განსაზღვრული ისგ ჯგუფის შეხვედრის რაოდენობა და თარიღები, თუმცა მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში რაიმე ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, დამატებით უნდა შედგეს იმდენი ისგ შეხვედრა, რამდენჯერაც ეს გახდება საჭირო.

მონიტორინგის აუცილებლობასა და მნიშვნელობას მრავალი მიზეზი განაპირობებს. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია - მშობელი. დინამიკაზე დაკვირვებითა და მისი ანალიზით მიიღება უმნიშვნელოვანესი შედეგები, რომლებიც აუცილებელია წარვუდგინოთ და გავაცნოთ მშობელს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინფორმაცია მშობლებს მიეწოდოთ რაც შეიძლება ხშირად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძირითადად ეს ხდება სემესტრში ერთხელ ან ორჯერ, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ამის გაკეთების საჭიროება უფრო ხშირია. მაგალითისთვის, მწვავედ გამოხატული ქცევითი სირთულეების მქონე მოსწავლის შემთხვევაში შესაძლებელია მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროების საკითხი დგებოდეს ყოველკვირეულად ან ყოველდღიურადაც კი. ასევე, არ იქნება მართებული მხოლოდ სემესტრის ბოლოს ინფორმაციის მიწოდება მშობლისთვის, რომლის შვილსაც აქვს დასწავლის სირთულეები და ფუნქციონირების თვალსაზრისით იმყოფება სამი კლასით დაბალ დონეზე.

აუცილებელია, რომ მშობლისთვის მიწოდებული წერილობითი თუ სიტყვიერი ინფორმაცია ფორმულირებული იყოს მისთვის გასაგებ ენაზე. ნათლად და მკაფიოდ ჩანდეს და ესმოდეს მისი მნიშვნელობა. შესაძლებელია მშობელს გაუჩნდეს კითხვები მონიტორინგის პროცესის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნების მართებულობის, შემდგომი თანამშრომლობის ან სხვა საკითხების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ კითხვებზე მან მიიღოს მყისიერი პასუხები.

# მეოხე ნაწილი

## მხაჩგამჭეხი საგანმანათლებლო გახემო

### რესურსოთახის მოწყობა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად განხორციელების, მათი ინტეგრაციის და ზოგადად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნის ერთ-ერთი წინაპირობა სწორად მოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი რესურსოთახია. გარდა მოწყობისა, მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს რესურსოთახის ფუნქცია და მიზანი. მოსწავლის რესურსოთახით სარგებლობა მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს მის სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტიან ჩართულობას.

რესურსოთახი სკოლაში ისეთივე აუცილებელი ფიზიკური სივრცეა, როგორც საკლასო ოთახი, კომპიუტერების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და სხვა. სწორად მოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი ოთახი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესის ნაწილია, იქნება ეს მოსწავლისთვის მოსასვენებელი ზონის შექმნა, მისი უნარების განვითარების ხელშეწყობი სივრცე თუ ადგილი ინდივიდუალური და/ან მცირე ჯგუფებში მუშაობისათვის.

განვიხილოთ რესურსოთახის დანიშნულება და განვსაზღვროთ ის სუბიექტები, რომლებსაც ამ სივრცის გაზიარება შეუძლიათ. რესურსოთახი ეს არის მრავალფეროვანი რესურსებით, ტექნიკითა და საჭიროების შემთხვევაში, ადაპტირებული ავეჯით აღჭურვილი ფიზიკური სივრცე, რომლის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობის ზრდა და საბოლოო ჯამში, მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდების უზრუნველყოფა. **რესურს ოთახით სარგებლობა შეუძლია ყველას, იქნება ეს სპეციალური მასწავლებელი თუ საგნის მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თუ ტიპური განვითარების მოსწავლე.** რეალურ პრაქტიკაში, სივრცეს ყველაზე ხშირად სპეციალური მასწავლებლები და ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტები იზიარებენ, იქნება ეს ფსიქოლოგი, პერსონალური ასისტენტი თუ სხვა. ისინი ახორციელებენ მოსწავლეთან ინდივიდუალურ და/ან ჯგუფურ მეცადინეობებს, ხვდებიან მშობლებსა და მასწავლებლებს, ისმენენ მათ გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკას, არსებულ გამოწვევებსა და გასცემენ რეკომენდაციებს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის.

გარდა ამისა, ამზადებენ რესურსებს, აქტივობებს, რომელთა დახმარებითაც მუშაობენ ინტერვენციის გეგმის ფარგლებში განსაზღვრულ ამოცანებზე და ხელს უწყობენ სხვადასხვა საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ერთი შეხედვით არც თუ ისე მარტივია განისაზღვროს, რა სახის რესურსებით უნდა იყოს აღჭურვილი რესურსოთახი, რადგან საჭიროებები მოსწავლეების ინდივიდუალურობიდან გამომდინარეობს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, არსებობს სხვადასხვა ტიპის ბაზისური რესურსი, რომელსაც ყველა რესურს ოთახში უნდა ვხვდებოდეთ. მათ შორისაა: მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალა, ტექნიკა, ავეჯი, როგორც ადაპტირებული, ისე სტანდარტული. რესურსოთახში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები ზრუნავენ მოსწავლეების აკადემიური და შემეცნებითი სფეროს განვითარებაზე, ასევე მუშაობენ მოტორული სფეროსა და ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. სწორედ ამ ზოგადი მიდგომიდან შესაძლოა გამოიყოს ის აუცილებელი რესურსები, რომლებიც ნებისმიერ რესურს ოთახში უნდა იყოს წარმოდგენილი, არ აქვს მნიშვნელობა რა საჭიროების და რამდენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ვხვდებით ამ სივრცეში.

დავასახელოთ ის აუცილებელი რესურსები, რომლის გარეშეც რესურსოთახი წარმოუდგენელია. პირველ რიგში, ეს არის მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალა (ბარათები, სურათები, პლაკატები); სხვადასხვა ფორმატისა და მასალის ანბანი და ციფრები, გამომდინარე იქიდან, რომ სპეციალისტები აქტიურად მუშაობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის. გარდა თვალსაჩინოებისა, მნიშვნელოვანია რესურსოთახში ვხვდებოდეთ ხმოვან და სენსორულ წიგნებსა თუ სათამაშოებს, სხვადასხვა ტიპის სამაგიდო თამაშებს (ლოტო, დომინო), რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სხვადასხვა უნარის განვითარებას. რესურსოთახში უნდა ვხვდებოდეთ სხვადასხვა ტიპის საკანცელარიო ნივთებს თითოეული მოსწავლისათვის. მნიშვნელოვანია, მოსწავლეების საქაღალდეები იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და ყველას ინდივიდუალურად ჰქონდეს რვეული, კალამი, ფანქარი, საშლელი და ის სხვა აუცილებელი საკანცელარიო ნივთები, რომლებიც ყოველდღიური გამოყენებისთვისაა განკუთვნილი. კარგად ორგანიზებულ რესურსოთახში ვხვდებით პლასტელინს, კინეტიკურ ქვიმას, გუაშსა და სხვა ტიპის სახატავ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობების შესრულების შესაძლებლობას მისცემს. რესურსოთახში უნდა ვხვდებოდეთ სხვადასხვა ტიპის ლიტერატურას, სხვადასხვა შინაარსისა და ფორმატის წიგნებს.

გარდა ამისა, რესურს ოთახში უნდა ვხვდებოდეთ სხვადასხვა ტიპის განმავითარებელ რესურსებს, მაგალითად: ხის სათამაშოები, ლეგოები, რომლებიც დამზადებული იქნება

უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან. რადგან აღვნიშნეთ, რომ რესურსოთახში მუშაობა ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას, მნიშვნელოვანია, ოთახში მოიპოვებოდეს, ისეთი საგნები, როგორცაა საათი და კალენდარი, ასევე ობიექტი, რომელზეც შესაძლებელი იქნება თასმებისა თუ დილების შეკვრის დემონსტრირება და ა.შ.

გარდა ხშირად გამოყენებადი რესურსებისა, სპეციალურ მასწავლებელს, თითოეული მოსწავლის ნივთების და პირადი საქმის მოწესრიგების მიზნით, სჭირდება ისეთი ტიპის საკანცელარიო ნივთები, როგორებიცაა: მუყაოს საქაღალდე, ფაილები, სკრეპები და სხვა.

რესურსოთახი უნდა იყოს ტექნიკურად აღჭურვილი, მათ შორის, აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი კომპიუტერი, დინამიკები და საბეჭდი მოწყობილობა (პრინტერი). სკოლის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა ვხვდებოდეთ პროექტორსაც და სხვა ტიპის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას. კომპიუტერისა და პრინტერის არსებობით ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება და მეორე მხრივ, რაც ყველაზე მთავარია, მრავალფეროვანი რესურსების მოძიება, პრინტერის საშუალებით კი - მათი ბეჭდვა. გარდა ამისა, კომპიუტერის გამოყენებისას მოსწავლეს ინფორმაციას მივაწოდებთ ორი სენსორული არხის გააქტიურებით. მოსწავლე თან დაინახავს და თან მოისმენს კონკრეტულ ინფორმაციას, რაც მას ამ ინფორმაციის აღქმაში, გაგებასა და გადამუშავებაში დაეხმარება.

როგორც აღვნიშნეთ, რესურსოთახი შესაბამისი ავეჯით, იქნება ეს ადაპტირებული თუ სტანდარტული, უნდა იყოს აღჭურვილი. ავეჯი გულისხმობს სამუშაო და სამეცადინო მაგიდას მასწავლებლისა და მოსწავლეებისათვის. ასევე, მოიაზრება სკამები, რომლებიც შეირჩევა მოსწავლეთა ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით და წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის სახით. რეკომენდებულია, ოთახში იყოს კარადა, „პუფები“ და ის დამატებითი ავეჯი, რომელსაც მოსწავლე დასვენების მიზნით გამოიყენებს. საჭიროების შემთხვევაში ამ ავეჯს ემატება ადაპტირებული ავეჯი, მაგალითად, ადაპტირებული მერხი ეტლით მოსარგებლე მოსწავლისათვის და სხვა.

რესურსოთახის მიზნის სწორად განსაზღვრის, მისი სათანადოდ აღჭურვის გარდა მნიშვნელოვანია სკოლის სივრცეში მისი მდებარეობის სწორად განსაზღვრა. პირველ რიგში, უნდა შეირჩეს ოთახი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისთვის. ოთახი უნდა იყოს ნათელი, თუმცა არა იმდენად მზიანი, რომ ზედმეტი განათება ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს მოსწავლისთვის. ოთახს უნდა ჰქონდეს ფანჯარა. ინტერიერის მოწყობისას ვეცადოთ, რომ კედლები იყოს ნათელი, შესაძლოა **გამოვაკრათ სხვადასხვა ტიპის**

**თვალსაჩინოება, თუმცა არა იმდენად გადატვირთული, რომ მოსწავლის ყურადღების გაფანტვის წინაპირობად იქცეს.** მნიშვნელოვანია, ოთახი იყოს დაცული, ფანჯარას ჰქონდეს გისოსი. თუ ოთახის მოცულობა გვაძლევს შესაძლებლობას, რეკომენდებულია სივრცე დაიყოს ზონებად, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს ზუსტად ეცოდინება სად შეუძლია მას დასვენება და სად წარიმართება მეცადინეობის პროცესი. სასურველია, ოთახის ერთი კუთხე მოწყობილი და დაფარული იყოს რბილი ზედაპირით, რომელიც მარტივად იწმინდება და ნაკლებად იკრავს მტვერს. ინტერიერის მოწყობის დროს მაქსიმალურად ვეცადოთ სივრცე დავინახოთ მოსწავლეთა პერსპექტივიდან და შევამციროთ ის ბარიერები, რომელიც მოსწავლეების აქტივობაში ჩართულობისათვის იქნება ხელისშემშლელი ან შექმნის დისკომფორტს, ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლემ მოისვენოს და/ან იმეცადინოს.

აღბათ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა უზრუნველყოს სკოლამ მსგავსი სივრცის მოწყობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსწავლეთა მცირე რაოდენობის გამო ბევრი რამ მათთვის ფინანსურად მიუწვდომელია. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით სკოლებს სთავაზობს დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას, სწორედ იმ მიზნით, რომ თითოეულ სკოლაში შეიქმნას სტანდარტების შესაბამისი რესურს ოთახი, მოეწყოს ის სათანადო რესურსებითა და საჭირო ინვენტარით. გარდა ამისა, ხელი შეეწყოს ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დანერგვას, შესაბამისი დამხმარე სპეციალისტების არსებობით და მათთვის სათანადო პირობების შექმნით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ იკვეთება სწორად მოწყობილი ფიზიკური სივრცის, როგორც ბავშვის განვითარების ხელშეწყობის ფაქტორის მნიშვნელობა. რესურსოთახის უმთავრესი მიზანი და ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში და მიაღწიოს სხვადასხვა საგნობრივ პროგრამაში დასახულ მიზნებს, დაგეგმილი აქტივობების შესრულებას.

## **თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობა**

ნებისმიერ მოსწავლეს, რომელიც სკოლაში დადის, გარდა ცოდნის გაღრმავებისა და აკადემიური წინსვლისა, სჭირდება თანატოლებთან ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება. მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები ამყარებს და აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას და დადებითი ეფექტი აქვს მოსწავლის მოტივაციაზე. სოციალური ურთიერთობები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, რადგან ისინი ხშირად თანატოლებისგან გარიყვის რისკის ქვეშ არიან.

მჭიდრო და მტკიცე მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში არაერთი თეორიითაა გამოყარებული. მეგობრობის გამოცდილებას დადებითი ეფექტი აქვს როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. კოგნიტური განვითარებისა (პიაჟე, 1932) და სოციალური დასწავლის თეორია (ბანდურა, 1977) ხაზს უსვამს განვითარებაში ბავშვებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობას. თანატოლებს შორის კომუნიკაცია ასევე აისახება ბავშვის პიროვნული იდენტობის ფორმირებასა (ერიქსონი, 1968) და კარგად განვითარებული სოციალური უნარების ათვისებაზე (გრენოტ - შიერი, 2004).

კვლევები ადასტურებს, რომ პოზიტიური დამოკიდებულებისა და მიმღებლობის შედეგად მოსწავლეების არასასურველი ქცევები და სექსუალური იმპულსები უფრო მეტად მისაღები ფორმით გამოიხატება (Hartup, 1978). ამის საპირისპიროდ, მეგობრული ურთიერთობების ნაკლებობა იწვევს დაბალ პროსოციალურ ქცევებს, მაღალ ემოციურ დისტრესსა და აკადემიურ სირთულეებს (Barry & Wentzel, 2006). თანატოლების მიმღებლობა და სოციალური სტატუსი არსებითია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კეთილდღეობისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესა და მის თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიმართული აქტივობები არა მხოლოდ რეაქტიულ, არამედ პროაქტიულ ხასიათს ატარებდეს. თუ ხედავთ, რომ კლასში კონფლიქტი წარმოიქმნა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესა და მის თანატოლს შორის, ცხადია, მასწავლებელმა გარკვეული ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას. თუმცა, მხოლოდ ამგვარი, სიტუაციიდან გამომდინარე განხორციელებული ჩარევები არ არის საკმარისი ჯანსაღი სასკოლო კლიმატის ფორმირებისთვის.

პროაქტიული მიდგომების გამოყენება, რომელიც მხარს უჭერს და ახალისებს მოსწავლეებს შორის ჯანსაღ ურთიერთობებს, პრევენციული ხასიათისაა. ის არათუ ზრდის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისადმი მიმღებლობას, არამედ ხელს უწყობს პატივისცემასა და კონსტრუქციულ ურთიერთობებზე დაფუძნებულ კომუნიკაციას.

**მოსწავლეთა ინფორმირება სხვადასხვა მდგომარეობის შესახებ.** როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლას თანატოლებთან ერთად იწყებს, მოსწავლეები ამჩნევენ მის უჩვეულო ქცევას, სწავლის სირთულეებს, უჩნდებათ მრავალი კითხვა და მნიშვნელოვანია, რომ ამ შეკითხვებზე პასუხი კომპეტენტური ადამიანისგან მიიღონ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ კლასში, ასაკის შესაბამისად, მოსწავლეებს ჰქონდეთ ინფორმაცია სხვადასხვა მდგომარეობებისა და საჭიროებების შესახებ.

### როგორ მივანოდოთ მოსწავლეებს ინფორმაცია სხვადასხვა მდგომარეობებზე?

 <p>სურათების, ილუსტრაციების გამოყენებით აჩვენეთ ამა თუ იმ მდგომარეობის მთავარი მახასიათებლები</p>	 <p>ითამაშეთ თამაშები, რომლითაც მოსწავლეები დაინახავენ თუ რა სირთულეს აწყდებიან ამა თუ იმ მდგომარეობის შემთხვევაში</p>
 <p>მოაწყვეთ ანიმაციის ან ფილმის ჩვენება, სადაც წარმოჩენილია სხვადასხვა კონკრეტული საჭიროებები</p>	 <p>დაგეგმეთ პროექტი, სადაც მოსწავლეები თავად მოიძიებენ ინფორმაციას სხვადასხვა მდგომარეობების შესახებ</p>

**განსხვავებულობის აღმოჩენა.** ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესა და მის თანატოლებს შორის საჭიროებს მოსწავლეთა სწორ ხედვას მრავალფეროვნებასა და განსხვავებულობაზე. ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა მოსწავლეებმა აღმოაჩინონ საკუთარი მახასიათებლები და უნიკალურობა. ამისთვის შესაძლებელია სხვადასხვა სახის აქტივობის განხორციელება. მაგალითად, სთხოვეთ მოსწავლეებს დაასახელონ მათი საყვარელი საქმიანობა, საკვები, რისი ეშინიათ ან რა უხარიათ ყველაზე მეტად, რისი კეთება გამოსდით იოლად და რა უძნელდებათ. მოსწავლეთა პასუხები წებოვან ფურცლებზე დაწერეთ და შემდეგ დააკარით დაფაზე. გამართეთ დისკუსია, რამდენად გვანან ისინი ერთმანეთს და რამდენად განსხვავდებიან.

დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან შესაძლებელია შემდეგი სახის სამუშაო ფურცლის გამოყენება. აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება თვითცნობიერების უნარის განვითარებასა და განსხვავებულობის დანახვაში.

ილუსტრაცია 23. თვითცნობიერებისა და განსხვავებულობის გაგების აქტივობა



**შენ სრულიად უცხო კლანეტაზე აღმოჩნდი, სადაც ცნობისმოყვარე უცხოკლანეტელი დაგხვდა. გააცანი შენი თავი**

რითი ვარ განსაკუთრებული?

რას ვაკეთებ ხშირად?

რაზე ვოცნებობ?

მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობაზე დიდ გავლენას ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისადმი უფროსების დამოკიდებულება და კომუნიკაციის სტილი. მნიშვნელოვანია, ყოველდღიურ პრაქტიკაში რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება:

- როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ მასწავლებელს ესაუბრებით, შეარჩიეთ იზოლირებული სივრცე და არ განიხილოთ მოსწავლის საჭიროებები ან არასასურველი ქცევები მისი თანატოლების თანდასწრებით, თუნდაც იმ შემთხვევებში, როცა ფიქრობთ, რომ დასვენებაა და ყურადღებას არ გაქცევენ;
- როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ასისტირებას უწევთ საკლასო ოთახში, დაამყარეთ ინტერაქცია მის თანატოლებთან; თუ მხოლოდ სსსმ მოსწავლესთან ამყარებთ კომუნიკაციას, მის თანატოლებში ეს ფაქტი კიდევ უფრო ამძაფრებს განსხვავებულობასა და დისტანცირებას;
- გაახმოვანეთ მოსწავლის მიღწევები, სადაც აღწერთ მის პროგრესს საკუთარ თავთან მიმართებით. შეეცადეთ თანატოლებმა დაინახონ, როგორ გაუმჯობესდა მოსწავლის ცოდნა და უნარები;
- წახალისეთ დახმარება და თანამშრომლობა - დაეხმარეთ კლასის დამრიგებელს ან საგნის მასწავლებელს მცირე ჯგუფური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. აჩვენეთ თანატოლებს როგორ შეიძლება დაუჭირონ მხარი მათ თანაკლასელს და ესაუბრეთ რა დადებითი შედეგი შეიძლება მოიტანოს ამან;
- თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის თანაკლასელები ინტერესდებიან ისეთი მოწყობილობებით, როგორიცაა სასმენი აპარატი ან ეტლი, მნიშვნელოვანია მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. თუ თავად ეტლით ან სასმენი აპარატით მოსარგებლე მოსწავლე მისცემს ნებართვას, მიეცით შესაძლებლობა მოსწავლეებს ახლოდან დაათვალიერონ, დასვან შეკითხვები, ხელით შეეხონ და მოსინჯონ. ასევე, გამოიყენეთ ფოტო, ვიდეო, აუდიო მასალა თითოეული მოწყობილობის ფუნქციისა და გამოყენების მნიშვნელობის ასახსნელად.

ზოგჯერ, ზემოთ ჩამოთვლილი პროაქტიული მიდგომებისა და რეკომენდაციების გამოყენება საკმარისი არ არის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეიძლება სჭირდებოდეს ინტენსიური დახმარება ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებაში. პირველ ეტაპზე, რეკომენდებულია, სპეციალური მასწავლებელი დააკვირდეს საკლასო კლიმატს, აღმოაჩინოს რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს, რომელიც აზიანებს თანატოლების დადებით დამოკიდებულებასა და ურთიერთობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისადმი. შემდეგ კი, საჭირო ხდება გამოვლენილი უნარების განვითარებაზე მიზანმიმართული მუშაობა.

## ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, თითოეულ ჩვენგანს კარგად გვქონდეს გაცნობიერებული და გააზრებული თუ რას წარმოადგენს ინკლუზიური განათლება. ინკლუზიური განათლება არის განათლების სისტემა, რომელიც გულისხმობს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. სსსმ მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდება საჭიროებს მის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად, მიუხედავად მოსწავლის განვითარების დარღვევის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, სქესისა თუ რასობრივი განსხვავებულობის არსებობისა. აღნიშნული სისტემა ცდილობს სასკოლო სივრცეში შესაბამისი რეაგირება მოახდინოს და წარმატებით გაუმკლავდეს ნებისმიერ არსებულ თუ პოტენციურ ბარიერს, რომელიც ხელისშემშლელია მოსწავლისთვის განათლების მიღების პროცესში.

საზოგადოებაში და სასწავლო დაწესებულებებში ხშირად ვხვდებით მცდარ დამოკიდებულებებს, შეხედულებებს, სტიგმებსა და უარყოფით წინასწარ განწყობებს ინკლუზიურ განათლებასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებს მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესთან დაკავშირებით. ეს ხშირ შემთხვევაში ყოველდღიურ ლექსიკასა და ქმედება/უმოქმედობაშიც ვლინდება. ამის მიზეზს შესაძლოა მრავალი ფაქტორი წარმოადგენდეს, მათ შორის, ინფორმაციის ნაკლებობა, ერთეული წარუმატებელი შემთხვევის განზოგადება და სხვა. სწორედ ამიტომ, ინკლუზიური განათლების დანერგვისა და ხელშეწყობისთვის უმნიშვნელოვანესია აღნიშნული მიმართულებით სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა თუ მშობლების განათლება და ცნობიერების ამაღლება. ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სპეციალური მასწავლებელი, რადგან სწორედ მას აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სისტემის, მისი სტრუქტურისა და ორგანიზაციის, ზოგადი, ინკლუზიური და სპეციალური განათლების, თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსებისა და ეფექტიანი სასკოლო პრაქტიკის შესახებ ცოდნა.

ფსიქოლოგიაში ხშირად გამოყენებადი ტერმინი და ფენომენია „უცნობის შიში“, რაც გულისხმობს შიშსა და შფოთვის ვინმეს ან რაიმეს მიმართ, რის შესახებაც ინფორმაცია ან საერთოდ არ გვაქვს ან მცირეა. გაურკვევლობამ და შფოთვამ კი შესაძლებელია ინდივიდში გამოიწვიოს არატოლერანტულობა, მიუღებლობა და/ან თავის არიდება. მსგავსი მდგომარეობის პრევენციას ინფორმირებულობა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია შესაბამისი ფორმით ცნობიერების ამაღლებაზე, განათლებაზე ზრუნვა, რაც, თავის მხრივ, სხვა არსებით ფაქტორებთან ერთად, მაგალითად, ინკლუზიური განათლების შესახებ სწორი ხედვის შექმნა, წარმოადგენს ტოლერანტულობისა და ემპათიის ჩამოყალიბების წინაპირობას.

ცნობიერების ამაღლება შესაძლებელია ეხებოდეს ზოგადად ინკლუზიური განათლების არსს და სპეციფიკას, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის

სტატუსის თავისებურებებს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების ფუნქცია-მოვალეობებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სპეციფიკას, განვითარების დარღვევებს, გარემოს ადაპტაციის შესაძლებლობებს, ქცევის მართვის სტრატეგიებს, სხვადასხვა კონკრეტულ გამოწვევასა და მასთან გამკლავების გზებს და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლილი თუ სხვა თემების არჩევა და ის თუ როგორი ფორმით იქნება მიწოდებული ინფორმაცია დამოკიდებულია საჭიროებასა და სხვადასხვა ფაქტორზე, მაგალითად, მასწავლებლების რაოდენობაზე. ცნობიერების ამაღლება შესაძლებელია გარკვეული ღონისძიების დაგეგმვით, ვებინარის ჩატარებით, სახელმძღვანელოების შეთავაზებით, საინფორმაციო ბუკლეტების მომზადებითა თუ ნებისმიერი სხვა ფორმით. თუმცა, მნიშვნელოვანია ის იყოს აქტუალური კონკრეტული ადამიანისა თუ ჯგუფისთვის და ასევე, საინტერესო, გასაგები, მრავალფეროვანი და შემეცნებითი ფორმით მიწოდებული.

განათლებისა და მეცნიერების სფერო მნიშვნელოვნად სწრაფი ტემპით ვითარდება, შესაბამისად, სხვადასხვა მიმართულებით ხშირად ვხვდებით გარკვეულ სიახლეებსა და ცვლილებებს. იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე ფეხი ავუწყოთ აღნიშნულ დინამიკასა და უფრო ეფექტიანი გავხადოთ სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეთათვის, მნიშვნელოვანია, აქტიურად ვეცნობოდეთ ცვლილებებსა და სიახლეებს. აუცილებელია, გამოვიყენოთ ნებისმიერი შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს, უფრო წარმატებულს გახდის და/ან გაამარტივებს საგანმანათლებლო პროცესს. მნიშვნელოვანია, ინკლუზიური განათლებაში ჩართულმა სპეციალისტებმა, მათ შორის სპეციალურმა მასწავლებლებმა, სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობითა და მათი კონსულტირებით დანერგონ და განავითარონ თანამედროვე პრაქტიკა და სტრატეგიები, რათა უზრუნველყონ მოსწავლეებისთვის ეფექტიანი და მხარდამჭერი სასწავლო გარემო. ეს ცვლილებები და სიახლეები შესაძლებელია ეხებოდეს სკოლის პოლიტიკასა და შინაგანაწესს, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, გარკვეულ ტრენინგებს, სკოლისა და სხვა სტრუქტურების თანამშრომლობას, მოსწავლეთა ტრანზიციის სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, მოსწავლეთა შეფასებას, სკოლისა და ოჯახის პარტნიორობას და ა.შ.

ცხოვრებისა და პრაქტიკული გამოცდილების ნებისმიერ ეტაპზე მნიშვნელოვანია საკუთარი კომპეტენციის ამაღლებაზე ზრუნვა და განათლების უწყვეტ რეჟიმში მიღება. ამისთვის, მნიშვნელოვანია, სპეციალური მასწავლებელი მუდმივად ეცნობოდეს სწავლა-სწავლებისა და ქცევის მართვის თანამედროვე ეფექტიან სტრატეგიებსა და ტექნიკებს, ჩართული იყოს კვალიფიციური ორგანიზაციებისა და პროფესიონალების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში და შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავდეს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასკოლო კონტექსტში ინტეგრაციაზე. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება კონკრეტული ცვლილების არსისა და მოსწავლის კეთილდღეობაზე მისი გავლენის შესახებ. მოსწავლესთან მუშაობის პროცესში მეტი ეფექტიანობისთვის

აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის კომპონენტის გაძლიერებაზე მუდმივი ზრუნვა.

იმისათვის, რომ სპეციალურმა მასწავლებელმა თუ ინკლუზიურ განათლებაში ჩართულმა ნებისმიერმა სპეციალისტმა შეძლოს წარმატებული ფუნქციონირება, როლების გადანაწილება, ეთიკაზე დაფუძნებული პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, აუცილებელია, მის გარშემო მყოფებს (მაგალითად, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მასწავლებელი, მშობელი და სხვა) წარმოდგენა ჰქონდეთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ და იცნობდნენ მათ. ამ მხრივ, ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია, რათა, მაგალითად, მასწავლებელმა იცოდეს რა შემთხვევაში მიმართოს სპეციალურ მასწავლებელს, ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა და შესაბამისი მოლოდინები მისი შესაძლებლობებისა და საქმიანობის არეალის შესახებ. ეს მნიშვნელოვანია გუნდური და თანამშრომლობითი გარემოს შექმნისთვის, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უფრო ეფექტიანად წარმართვას.

გუნდურობასა და თანამშრომლობაზე საუბრისას, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია მუშაობის პროცესში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტების მხარდაჭერა და მათი ცნობიერების გაზრდა სხვადასხვა მიმართულებით. ეს შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, ახალ თანამშრომელს სპეციალური მასწავლებლის პოზიციაზე, რომელიც საჭიროებს გარკვეული თეორიული თუ პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით ინფორმაციის მიღებას, სასკოლო გარემოსთან გაცნობას და ა.შ.

დღეისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული და ხშირი პრაქტიკაა განვითარების დარღვევებთან დაკავშირებული საერთაშორისო დღეების აღნიშვნა, რაც ემსახურება კონკრეტული მდგომარეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რათა ის გახდეს უფრო „ხილვადი“ და ნაცნობი მდგომარეობა მოსწავლეებისა თუ სკოლის თანამშრომლებისათვის. თუმცა ვდგებით მნიშვნელოვანი საკითხის წინაშე - როგორ დავგეგმოთ ღონისძიებები ისე, რომ მივადწიოთ ზემოთ აღნიშნულ მიზანს და არ მივიღოთ საპირისპირო შედეგი, მაგალითად, სტიგმის გაძლიერება. ეს ის მნიშვნელოვანი თემაა, რომელზეც აუცილებელია დავფიქრდეთ ორგანიზებისას.

პროცესში აუცილებელია ნათლად განვსაზღვროთ და გავითვალისწინოთ თუ რა არის ჩვენი ღონისძიების მიზანი, ვინ არის ჩვენი სამიზნე ჯგუფი, რა მიმდინარე ცოდნა აქვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რა იქნება სარგებელი, გათვალისწინებულია თუ არა ეთიკური კომპონენტები, რა რესურსების გამოყენებას ვგეგმავთ, რამდენ ხანს გაგრძელდება, რამდენად საინტერესო და მრავალფეროვანია ჩვენ მიერ შერჩეული ფორმა. მნიშვნელოვანია წინასწარ რიგ საკითხებზე დაფიქრება - ხომ არ არის ვინმესთვის ზიანის მომტანი ან სტრესული ნებისმიერი თვალსაზრისით. ასევე,

რამდენად მკაფიოდ, გასაგებად და გარკვევითაა მიწოდებულია ინფორმაცია (ხომ არ ვიყენებთ პროფესიულ ტერმინებს). აუცილებელია, რომ მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება იყოს ნებაყოფლობითი და არა იძულებითი, პროცესი კი მრავალფეროვანი, დინამიური და არა დამღლევი და მომაბეზრებელი.

მოსწავლეთა პიროვნული ფორმირების პროცესში ღირებული გაკვეთილია მათთვის იმის ჩვენება თუ რამდენად მნიშვნელოვანია გავუგოთ და ვიყოთ ემპათიურები სხვადასხვა სირთულის მქონე თანატოლების მიმართ. მსგავსი დღეები და ღონისძიებები ეხმარებათ მოსწავლეებს ინფორმაციის მიღებაში, ცნობიერების ამაღლებასა და მიმღებლობის უნარის განვითარება-ჩამოყალიბებაში.

ინტერნეტ სივრცეში არსებობს უამრავი საინტერესო იდეა და რესურსი მსგავს ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელთაგან, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გათვალისწინების შემდგომ, შესაძლებელია რამდენიმეს არჩევა და მორგება კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეალობაზე. აქტივობების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- რაიმე სახის სენსიტიური დავალების დაგეგმვისას აქტივობაში ჩართული ყველა მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. აუცილებელია, მათგან თანხმობის მიღება მოსწავლის მონაწილეობის შესახებ.
- მოსწავლის ფოტო ან ვიდეო გადაღების, მისი გასაჯაროების/გაშუქების შემთხვევაში მშობლისგან საჭიროა მიიღოთ წერილობითი ინფორმირებული თანხმობა.
- აქტივობის მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს სიბრაღის აღძვრა. აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს იმაზე თუ რისი გაკეთება შეუძლიათ გარკვეული სირთულების მქონე მოსწავლეებს. მნიშვნელოვანია მათი შესაძლებლობების და პიროვნული მახასიათებლების წინ წამოწევა.
- ცნობიერების ამაღლების აქტივობები არ უნდა იყოს ერთჯერადი. ის უნდა მიმდინარეობდეს მუდმივად, მთელი საგანმანათლებლო პროცესის მანძილზე. ეს იქნება მნიშვნელოვანი მესიჯი მოსწავლეებისთვის, რომ აღნიშნული მდგომარეობა და სირთულები არსად ქრება, რომ გარკვეული ხარისხით ის მუდმივად რჩება და აუცილებელია ყოველივე ამის გათვალისწინება ნებისმიერ გარემოსა და სიტუაციაში.
- აქტივობების მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეების მიმღებლობის, ტოლერანტობის გაზრდა, მათში სირთულების მქონე თანატოლების აღვოკატირების სურვილის გაღვივება.

გთავაზობთ რამდენიმე სახალისო აქტივობის მაგალითს, რომელთა მიზანს წარმოადგენს გარკვეულ უნარებთან დაკავშირებული სირთულების სიმულაცია.

საკუთარი თავზე სხვისი მდგომარეობის გამოცდა და იმის გააზრება თუ როგორია მუდმივად ამ სირთულით ცხოვრება, შესაძლებელია ძალიან შემეცნებითი და დამაფიქრებელი იყოს.

როგორც აღვნიშნეთ, ამ აქტივობებისას მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა საკუთარ თავზე გამოსცადონ გარკვეული სირთულები მცირე დროის მანძილზე. მასწავლებელმა აქტივობა უნდა გააცნოს ისე, რომ კლასში იყოს პოზიტიური და კომფორტული გარემო ყველასათვის.

ნატიფი მოტორიკის კონტროლის სიმულაცია - „ჩაიცვით ხელთათმანები და შეეცადეთ შემდეგი მოქმედებების შესრულებას“:

- ღილის შეკვრა და გახსნა
- აიღეთ პატარა ღილები და ჩადეთ ქილაში სათითაოდ
- გაიხსენით და შეიკარით თასები

გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვის სიმულაცია - „მუხლებს შორის ჩაიღეთ პატარა ბალიში და შეეცადეთ შემდეგი მოქმედებების შესრულებას“:

- გადაადგილდით ისე, რომ ფეხი დაადგათ მხოლოდ იატაკზე მონიშნულ ადგილებზე ბალიშის დავარდნის გარეშე.
- ფეხი დაადგით იატაკზე მონიშნულ ყველა ადგილზე ბალიშის დავარდნის გარეშე.

ვიზუალური აღქმა - დისლექსიის სიმულაცია - „დაწერეთ თქვენი სახელი ფურცელზე არაწამყვანი ხელის გამოყენებით ისე, რომ თან იყურებოდეთ წინ დადებულ სარკეში (დარწმუნდით, რომ ნაწერი სწორად გამოჩნდება სარკეში)“.

მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულების სიმულაცია - „ჩაიღეთ პირში 5-6 ზეფირი ერთდროულად და თქვით წინადადებები და ფრაზები. არ გამოიყენოთ ხელები. თქვენი პარტნიორი უნდა შეეცადოს ჩაწეროს ფურცელზე თქვენ მიერ ნათქვამი წინადადებები და ფრაზები“.

## **ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა**

სპეციალური მასწავლებლის ეფექტიანი მუშაობა მრავალ კომპონენტს მოიაზრებს, მათ შორის მოსწავლესთან დაკავშირებულ სხვადასხვა პირთან თანამშრომლობას. სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის კლასის დამრიგებელთან, საგნის მასწავლებლებთან და მშობელთან პოზიტიური, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ორი ფაქტორი თამაშობს დიდ როლს. ერთი მხრივ, ეს არის ადამიანის წინასწარი განწყობები და დამოკიდებულებები მეორე ადამიანის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის კომუნიკაციის სტილი მეორეს მიმართ.

სპეციალური მასწავლებლის დამოკიდებულება მასწავლებლისა და მშობლისადმი, პირდაპირ აისახება მათი თანამშრომლობის ხარისხზე. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციის პროცესში შესაძლოა გამოვლინდეს აზრთა სხვადასხვაობა, შეუთანხმებლობა და განსხვავებული პერსპექტივები, სპეციალური მასწავლებელი უნდა ეცადოს მისცეს მოსაუბრეს საკუთარი დამოკიდებულების მკაფიოდ დაფიქსირების შესაძლებლობა, რადგან ნებისმიერ ადამიანს სჭირდება მისი პიროვნების, მნიშვნელობის აღიარება და პატივისცემა.

მასწავლებლებთან და მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაცია თანამშრომლობითი ურთიერთობების გასაღებია. განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომლის გათვალისწინებაც დაეხმარება სპეციალურ მასწავლებელს ჩამოაყალიბოს მოსწავლეზე ორიენტირებული თანამშრომლობითი ურთიერთობები მასწავლებლებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

სტრუქტურირებული საუბარი წარმოადგენს კონცეფციას, რომელიც შემუშავებულია „მიღწევის შესაძლებლობა ყველასთვის“ პროექტის ფარგლებში და ოთხი ეტაპისგან შედგება.

ილუსტრაცია 24. სტრუქტურირებული კომუნიკაციის 4 ეტაპი



1. **გამოკვლევა** - მოითხოვს სპეციალური მასწავლებლის მხრიდან მასწავლებლის ან მშობლის აქტიურ მოსმენას. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ მოხდეს მათი ხედვის, მოსაზრების, პერსპექტივის გაგება.
2. **ფოკუსირება** - დიალოგში ძირითადი საკითხის იდენტიფიცირებას ისახავს მიზნად. ამ ეტაპზე სპეციალური მასწავლებელი აზუსტებს მშობლისა და მასწავლებლის პრიორიტეტებს.
3. **დაგეგმვა** - ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ნაწილია. ნებისმიერი შეხვედრა, განხილვა და საუბარი სპეციალურ მასწავლებელსა და მშობელს ან მასწავლებელს შორის შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. შედეგი შესაძლოა იყოს მოსწავლესთან დასახული მიზნების, სტრატეგიებისა და აქტივობების

შერჩევა, გამოვლენილი სირთულის გადაჭრის გზაზე შეთანხმება ან პროგრესის შეფასება.

4. **გადახედვა** - კომუნიკაციის შემაჯამებელი ეტაპია. სპეციალური მასწავლებელი აჯამებს განხილულ საკითხებს და მეორე მხარესთან თანხმდება შემდეგი კომუნიკაციის დროსა და შინაარსზე.

სტრუქტურირებული კომუნიკაციის აღნიშნული ნაბიჯები სპეციალურ მასწავლებელს დაეხმარება ეფექტიანად წარმართოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრები, ასევე შექმნას თანამშრომლობითი მზაობა მასწავლებელთან ან მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალური კომუნიკაციის შემთხვევაში.

როგორც უკვე აღინიშნა, პოზიტიური კომუნიკაცია საჭიროებს აქტიური, ემპათიური მოსმენის უნარს. აქტიური მოსმენა პრაქტიკული უნარია, რომელიც შესაძლოა ვარჯიშის შედეგად გაუმჯობესდეს. აქტიური მოსმენის რამდენიმე ძირითადი წესი შეიძლება გამოვყოთ, მათ შორის:

1. დაამყარეთ მოსაუბრესთან თვალთ კონტაქტი.
2. არ შეაწყვეტინოთ საუბარი მშობელს, მასწავლებელს. იმისთვის, რომ აგრძნობინოთ ყურადღება და ინტერესი, გამოიყენეთ მოკლე ფრაზები: „დიახ“, „მესმის“, „გასაგებია“.
3. როდესაც საჭიროა თქვენი უკუკავშირის მიწოდება, პირველ რიგში, ნაცვლად პირდაპირ დასკვნების გამოტანისა, დააზუსტეთ რამდენად სწორად გაიგეთ მოსაუბრის სათქმელი.
4. შეუმჩნევლად არ დატოვოთ მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა. გაახმოვანეთ მისი განცდები.


მშობელთან ან მასწავლებელთან კომუნიკაციის პროცესის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია დროის და ხანგრძლივობის საკითხიც. მნიშვნელოვანია, წინასწარ შეთანხმდეთ მოსაუბრესთან რა დროის განმავლობაში გაგრძელდება თქვენი კომუნიკაცია. დროის ლიმიტის დაწესება საუბრის შინაარსს უფრო კონკრეტულს და მნიშვნელოვან საკითხებზე ორიენტირებულს ხდის. საუბრის პროცესის შუა ნაწილში შეახსენეთ მოსაუბრეს დარჩენილი დროის შესახებ. მაგალითად, უთხარით, ჩვენ დღეისთვის ნახევარი საათი დაგვრჩია რომ განვიხილოთ თქვენი შვილის მიღწევები მათემატიკაში. თუ შეხვედრის დასასრულს გაქვთ განცდა, რომ მასწავლებელს ან მშობელს კვლავ დარჩა მნიშვნელოვანი საკითხები თქვენთან გასაზიარებელი, შეუთანხმდით მომდევნო შეხვედრაზე ან ინფორმაციის გაცვლის სხვა, ალტერნატიულ ფორმაზე, როგორცაა მაგალითად, ელექტრონული მიმოწერა.

რამდენადაც აქტიური, ემპათიური მოსმენის მახასიათებლების ცოდნაა მნიშვნელოვანი, იმდენადვე საჭიროა ვიცოდეთ რა ფაქტორების არსებობა უქმნის საფრთხეს მოსმენას და შესაბამისად, კონკრეტულ სიტუაციებში შევძლოთ აღნიშნული ფაქტორების თავიდან არიდება ან მათზე სწორად რეაგირება.

ხშირად, საუბრის დროს შესაძლოა იმდენად ვიყოთ კონცენტრირებული საკუთარ სათქმელზე, რომ მოსაუბრის ნათქვამ ფრაზებს, სიტყვებს გულისყურით არ ვუსმენდეთ. ამიტომ, კომუნიკაციის პროცესში დააკვირდით საკუთარ თავს და დაუსვით კითხვა: „ვუსმენ, იმიტომ, რომ ვუპასუხო თუ ვუსმენ, იმიტომ, რომ გავიგო, რას ფიქრობს“.

ცხადია, სხვა ადამიანისადმი არსებული წინასწარი განწყობები მასთან კომუნიკაციაზე პირდაპირ აისახება. თუ თქვენ კრიტიკულად ხართ განწყობილი მშობლის ან მასწავლებლის მიმართ, ფიქრობთ, რომ ის არ არის საკმარისად კომპეტენტური იმისთვის, რომ მისი მოსაზრებები გაიზიაროთ, რამდენადაც არ უნდა ეცადოთ თქვენი „ნამდვილი განწყობის“ დამალვას, ის მაინც აისახება კომუნიკაციის პროცესზე. კომუნიკაციის პროცესში ნათქვამი სიტყვების, წინადადების შინაარსის გარდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ჩვენი სახის გამომეტყველება, სხეულის პოზა, მიმიკა, ჟესტები, ხმის ტონი. შესაძლოა, თქვენ ცდილობთ, საკუთარი კრიტიკული დამოკიდებულება, მაგალითად, მასწავლებლის მიმართ არ გამოამჟღავნოთ და არჩევთ შესაბამის სიტყვებს, თუმცა გაგიძნელებათ გააკონტროლოთ თქვენი არავერბალური ნიშნები.

ილუსტრაცია 25. აქტიური მოსმენის შემაფერხებელი ფაქტორები



და ბოლოს, რა თქმა უნდა, თუ გარემოში ხმაურია ან სხვა რამე იქცევს თქვენს ყურადღებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსაუბრეზე მოახერხოთ კონცენტრირება და მისი გულისყურით მოსმენა. ხშირად, პრაქტიკაში, შესაძლოა გიწევდეთ მასწავლებელთან ან მშობელთან კომუნიკაცია სკოლის დერეფანში, საკლასო ოთახში. მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ, რომ ეფექტიანი კომუნიკაციისთვის საჭიროა შესაბამისი გარემოს და სივრცის შერჩევა.

# მესამე ნაწილი ცხანჭიკია – მზადება ახალი ეცაპისტვის

## სკოლაში ტრანზიცია

სკოლაში შესვლა ბავშვისთვის სრულიად ახალ გამოცდილებასთან და მოთხოვნებთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ სკოლისთვის მომზადება ყველა ბავშვს სჭირდება, თუმცა, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას, დაგეგმვას და მხარდაჭერას მოითხოვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში უმტკივნეულოდ გადასვლის პროცესი.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ტრანზიცია ძალზედ კომპლექსური პროცესია, რომელზეც პასუხისმგებლობა თანაბრად ენიჭება ბავშვის ოჯახს, ადრეული განვითარების მიმწოდებელ ორგანიზაციას, სკოლამდელი განათლების დაწესებულებებსა და სკოლას. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად პრაქტიკაში აღნიშნულ დაწესებულებებს შორის კომუნიკაცია, ტრანზიციის ინიცირება ფერხდება, მნიშვნელოვანია საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გააზრება აღნიშნულ პროცესში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მაგალითად, პირველ კლასში რეგისტრაციის შემდგომ, მოსწავლის მშობელი, საბავშვო ბაღის ან ინტერვენციის ცენტრის წარმომადგენელი არ წამოიწყებს სკოლასთან კომუნიკაციას, სკოლამ თავად უნდა გადადგას ეს ნაბიჯი.

ილუსტრაცია 26. ტრანზიციის პროცესში ჩართული დაწესებულებები




სკოლაში შესვლამდე ბავშვს შესაძლოა სხვადასხვა ტიპის გამოცდილება ჰქონდეს, დადიოდეს ან არ დადიოდეს საბავშვო ბაღში, იღებდეს ან არ იღებდეს ადრეული ინტერვენციის პროგრამის მომსახურებას ან ჩართული იყოს როგორც სკოლამდელ, ისე ინტერვენციის პროგრამაში. ბავშვის წინარე გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ძალზედ მნიშვნელოვანია სკოლისთვის, რათა სწორად შეარჩიოს და

დაგეგმოს პარტნიორი მხარეები მოსწავლისთვის უმტიკივნეულო ტრანზიციის ხელშეწყობისთვის.

როგორც ვხედავთ, ტრანზიციის პროცესში სხვადასხვა რგოლი უნდა იყოს აქტიურად ჩართული და მოსწავლის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულად გაერთიანებული. თუმცა, ქვემოთ, ძირითად აქცენტს გავაკეთებთ ტრანზიციის პროცესში სპეციალური მასწავლებლის ჩართულობის შესაძლებლობებზე.

პირველ კლასში რეგისტრაციის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები სკოლაში რეგისტრაციას პირველ ეტაპზე გადიან. ჩვეულებრივ, აპრილი-მაისის თვეში სკოლას უკვე აქვს ინფორმაცია იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირველკლასელ მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც მათ სკოლაში დაიწყებენ სწავლას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ გადადგას გარკვეული ნაბიჯები იმისთვის, რომ მოამზადოს მშობელი, მოემზადოს თავად და სწორად წარმართოს მოსწავლის სკოლაში ტრანზიციის პროცესი.

ილუსტრაცია 27. სპეციალური მასწავლებლის როლი ტრანზიციის პროცესში



როგორც ილუსტრაციაზე ხედავთ, სპეციალურ მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა საქმიანობა, რათა ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ტრანზიციის უმტიკივნეულო პროცესს. განვიხილოთ თითოეული უფრო დეტალურად.

**მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგების გაცნობა**  
მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნაში აღწერილი მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გაანალიზება, სპეციალურ მასწავლებელს დაეხმარება სწორად შეარჩიოს მოსწავლესთან პირველ ეტაპზე განსახორციელებელი ნაბიჯები. რეკომენდებულია, მოსწავლის შეფასების შედეგები სპეციალურმა მასწავლებელმა წინასწარ განიხილოს დამრიგებელთან და იმ მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც შემდგომში მოსწავლეს ასწავლიან. კონკრეტული მოსწავლის შეფასების შედეგების

განხილვა და გაანალიზება გამოკვეთს იმ საჭირო ცვლილებებს, რაც სკოლამ უნდა განახორციელოს მოსწავლის მხარდასაჭერად. სპეციალურმა მასწავლებელმა, სასურველია, სკოლის ადმინისტრაციასთან ადვოკატირება გაუწიოს მოსწავლისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით აღნიშნული მომსახურების (მაგალითად, ასისტენტი, ადაპტირებული ავეჯი და ა.შ.) წინასწარ მომზადებას.

**მშობელთან კომუნიკაცია** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში რეგისტრაციიდან უახლოეს ვადებში ქმნის საუკეთესო პირობას შემდგომში მასთან თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის. კომუნიკაციის დამყარება სასარგებლოა როგორც მშობლისთვის, ასევე სპეციალური მასწავლებლისთვის. მშობელს შესაძლებლობა ექნება მიიღოს მისთვის აქტუალურ კითხვებზე პასუხი და პირიქით, სპეციალურ მასწავლებელი მოიპოვებს ინფორმაციას მოსწავლის შესახებ. სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია შემდეგი სახის კითხვარის გამოყენებით მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისგან წინასწარ გაიგოს ის მნიშვნელოვანი დეტალები მოსწავლის შესახებ, რომელსაც გაითვალისწინებს სკოლა, დამრიგებელი, მასწავლებლები სწავლის პოზიტიური გამოცდილებით დაწყებისთვის.

ცხრილი 3. მშობლის ანკეტა

<p>თქვენი შვილის სახელი და გვარი:          ვინ ავსებს კითხვარს: <input type="checkbox"/> დედა <input type="checkbox"/> მამა <input type="checkbox"/> კანონიერი წარმომადგენელი <input type="checkbox"/> სხვა</p>
<p>დადიოდა თუ არა თქვენი შვილი საბავშვო ბაღში? <input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა</p>
<p>არის თუ არა ჩართული ადრეული ინტერვენციის პროგრამაში? <input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა</p>
<p>აქვს თუ არა თქვენს შვილს რაიმე დიაგნოზი? <input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა          თუ დიახ, ჩაწერეთ</p>
<p>აღწერეთ თქვენი შვილის ძლიერი მხარეები:</p>
<p>რაში სჭირდება თქვენს შვილს დახმარება: (დააზუსტეთ: მოძრაობა და გადაადგილება, საკუთარი თავის მოვლა, წერა, კითხვა, თხრობა, ანგარიში, შემეცნებითი უნარები, საუბარი და კომუნიკაციის დამყარება, ემოციების მისაღები ფორმით გამოხატვა და ა.შ.)</p>
<p>რისი კეთება უყვარს?</p>
<p>რისი კეთება არ სიამოვნებს/ არ მოსწონს?</p>
<p>აღწერეთ როგორ გამოხატავს ბრაზს, სიხარულს?</p>
<p>აღწერეთ როგორ თამაშობს, შედის კომუნიკაციაში სხვა ბავშვებთან?</p>
<p>რა უნარები გსურთ რომ განივითაროს თქვენმა შვილმა მომდევნო 6 თვის განმავლობაში?</p>

**საბავშვო ბაღის და ადრეული განვითარების პროგრამის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია** ძალზედ მნიშვნელოვანია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისთვის. შესაბამისად, თუ ბავშვი ჩართულია რაიმე ტიპის საგანმანათლებლო ან განვითარების სერვისში, რეკომენდებულია სპეციალური მასწავლებელი დაუკავშირდეს მათ. შესაძლებელია, სთხოვოთ ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა, ბავშვის პორტოფოლიო ან საკომუნიკაციო პასპორტი საბავშვო ბაღის აღმზრდელს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ილუსტრაცია 28. საკომუნიკაციო პასპორტის ნიმუში



სკოლას, სპეციალურ მასწავლებელს და საგნის მასწავლებელს ძალზედ დაეხმარება მათი მომავალი მოსწავლის საკომუნიკაციო პასპორტის გაცნობა და მასში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა. საკომუნიკაციო პასპორტს, უმეტესწილად, ქმნის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ან მშობელი, რათა გაუზიაროს ტრანზიციის პროცესში მყოფ მიმღებ დაწესებულებას (სკოლას) და ამ გზით დაეხმაროს მოსწავლის მომავალ მასწავლებელსა თუ სპეციალურ მასწავლებელს მარტივად და მკაფიოდ, პოზიტიური ხედვით გაიზიარონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოცემულ საკომუნიკაციო პასპორტის ნიმუშში რამდენიმე ისეთი დეტალია, რომლის გათვალისწინება სკოლას დაეხმარება სწორად დაგეგმოს მოსწავლესთან სწავლის დაწყების პროცესი, მაგალითად, განმამტკიცებლად გამოიყენოს საღებავებით ხატვა, შეარჩიოს და მოაწყოს მშვიდი სივრცე განტვირთვისთვის და ა.შ.

**სკოლის გაცნობითი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სკოლისთვის მზაობა, ცხადია, არ გულისხმობს მხოლოდ პრეაკადემიური უნარების განვითარებას, მზაობის ემოციური კომპონენტი ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს. ბუნებრივია, რაც უფრო მეტი რამ იცის მოსწავლემ წინასწარ სკოლის შესახებ, მით უფრო მარტივად მიმდინარეობს სკოლასთან ადაპტაციის პროცესი. შესაბამისად, სპეციალურმა მასწავლებელმა მშობელთან, მასწავლებლებთან თანამშრომლობით შეიძლება დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობა. მაგალითად:

1. დაგეგმეთ მოსწავლის სკოლაში ვიზიტი სკოლის დაწყებამდე. გააცანით მასწავლებელი, სკოლის შენობა, რესურსოთახი;
2. სკოლაში წინასწარი ვიზიტები გამოიყენეთ მოსწავლის გასაცნობად, მასთან კომუნიკაციის დასამყარებლად;
3. შეეცადეთ, სკოლაში წინასწარი ვიზიტი არ იყოს ერთჯერადი სახის.

**დამხმარე რესურსების მომზადებით** შესაძლებელია მოსწავლეს უფრო მკაფიოდ გავაცნოთ სკოლის რეჟიმი და მოთხოვნები. შესაბამისად, დიდი ალბათობით, უფრო მეტად მზად შეხვდება მოსალოდნელ ცვლილებებს. ერთ-ერთი ეფექტიანი სტრატეგია, მოსწავლემ წინასწარ გაიგოს სკოლის სპეციფიკა, სოციალური ისტორიის გამოყენებაა. სოციალური ისტორია წარმოადგენს მოკლე, ილუსტრირებულ ამბავს, რომელიც იქმნება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე და ეხმარება მას სხვადასხვა სიტუაციის სოციალური ასპექტების გაგებაში.

ილუსტრაცია 29. სოციალური ისტორია სკოლის შესახებ



დილით 8 საათზე ვიღვიძებ. ვღებები და ვსაუზმობ.



როცა ზარი ირეკება - შესვენებაა.



შემდეგ ავტობუსით სკოლაში მივდივარ.



შესვენებაზე ვაშლს ვჭამ. ვაშლი ჩემს ჩანთაში დევს.



სკოლაში ჩემი მასწავლებელი ნიკო მხვდება. ვესალმები.



3 გაკვეთილის შემდეგ მამა მოდის. სახლში მივდივართ.

სკოლაში ტრანზიციის პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაცნობად გამოიყენეთ შემდეგი რესურსები:

- “მე სკოლაში მივდივარ”, როგორ მოვემზადოთ სკოლაში ტრანზიციისთვის, მ. ხვადაგიანი, მ. ზაქარეიშვილი, 2020. <http://inclusion.ge/res/docs/2020071518513480506.pdf>
- აღრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში, გზამკვლევი ტრანზიციის პროცესში ჩართული სპეციალისტებისა და ოჯახებისთვის, მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი, ც. ბარქაია, მ.წულაძე, მ.ხვადაგიანი, ქ.კვაჭაძე, მ. მიდელაური, მ. ზაქარეიშვილი, 2019. <http://inclusion.ge/res/docs/2019122314025140003.pdf>

## სასკოლო ტრანზიციები

ჩვენ უკვე განვიხილეთ მოსწავლის საბავშვო ბაღიდან, აღრეული განვითარების მხარდამჭერი პროგრამიდან ან ოჯახიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესი. მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ თავად ზოგადი განათლების სისტემაში არსებულ მოსალოდნელ ცვლილებებსა და პროცესში სსსმ მოსწავლის მხარდამჭერის მნიშვნელობაზე. მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში, შესაძლოა გამოვლინდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

- კლასის დამრიგებლის ცვლილება;
- საკლასო ოთახის ცვლილება;
- საგნის მასწავლებლების რაოდენობის ზრდა;
- პროგრამაში ახალი საგნების დამატება;
- გაკვეთილების რაოდენობის ცვლილება და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება შეიძლება გავამახვილოთ იმ პერიოდზე, რომელიც მოსწავლის V კლასში გადასვლასთანაა დაკავშირებული. უმეტეს შემთხვევაში, I-IV კლასებში კლასის დამრიგებელი ასწავლის საგანთა უმეტესობას და შესაბამისად, ყოველდღიურად ის საკმაოდ დიდ დროს ატარებს მოსწავლეებთან. V კლასიდან კი იცვლება კლასის დამრიგებელი, იზრდება შესასწავლი საგნების და შესაბამისად მასწავლებელთა რაოდენობაც. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის უწყვეტობის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია, აღნიშნული მოსალოდნელი ცვლილებებისთვის მომზადება და წინასწარ დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, სკოლის ადმინისტრაციამ დროულად მიიღოს გადაწყვეტილება თუ ვინ იქნება სსსმ მოსწავლის კლასის მომავალი დამრიგებელი ან მასწავლებლები, რათა შესაძლებელი გახდეს მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გაზიარება, მშობლის ინფორმირება, მშობელსა და მასწავლებლებს,

ასევე მოსწავლესა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის დამყარება. განვიხილოთ სპეციალური მასწავლებლის ჩართულობა თითოეულ პირთან.

მიაწოდეთ მშობელს ინფორმაცია სასწავლო პროგრამაში საგნების დამატების, გაკვეთილების რაოდენობის ზრდისა და მასწავლებელთა ცვლილების შესახებ. სასურველია, 1-2 თვით ადრე დაგეგმეთ შეხვედრა, რათა მშობელს გააცნოთ მისი შვილის მომავალი კლასის დამრიგებელი და მასწავლებლები. შეხვედრაზე განიხილეთ მოსწავლის მიღწევები, დასახული მიზნები და სამომავლო გეგმები. სთხოვეთ მშობელს, გაუზიაროს ინფორმაცია მასწავლებლებს მოსწავლის თავისებურებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ.

მასწავლებლის ცვლილების შემთხვევაში, როგორც თავად მასწავლებლისთვის, ასევე სსსმ მოსწავლისთვის, მნიშვნელოვანია, წინასწარ ერთმანეთის გაცნობა და კომუნიკაციის დამყარება. შესაძლებელია გამოიყენოთ რესურსოთახის სივრცე, პირველ ეტაპზე მიეცით მასწავლებლებს შესაძლებლობა დააკვირდნენ მოსწავლესთან ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის პროცესს, შემდეგ კი მისი თანამონაწილეობით დაგეგმეთ აქტივობები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სსსმ მოსწავლის მომავალი მასწავლებლები წინასწარ გაეცნონ მოსწავლის შეფასებას და მის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. რაც უფრო მეტი დეტალი ეცოდინება მასწავლებელს სსსმ მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების, ინტერესების, სწავლის სტილისა და გაკვეთილზე ჩართულობის სტრატეგიების შესახებ, მით უფრო მოქნილად მოახერხებს მოსწავლეზე მორგებული მიზნებისა და აქტივობების დაგეგმვას. ინფორმაციის გაზიარებისთვის გამოიყენეთ სხვადასხვა გზები, როგორცაა:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტის გაზიარება;
- მოსწავლის ნამუშევრების გაზიარება;
- მოსწავლის შესახებ ინფორმაციის სიტყვიერი და წერილობითი გზით გაზიარება;
- სსსმ მოსწავლის მიმდინარე და მომავალ მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მათი შეხვედრების ორგანიზება.

როგორც ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციაზე ვხედავთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მასწავლებელთა ცვლილების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყველა ჩართულ მხარესთან შედგეს კომუნიკაცია.

*ილუსტრაცია 30. ჩართულ მხარეებს შორის კომუნიკაცია*




თუ სსსმ მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ვლინდება ისეთი ცვლილება, რომელიც საკლასო ოთახის ცვლილებასთანაა დაკავშირებული, წინასწარ აჩვენეთ მას ახალი ოთახი, მისი მაგიდა და სკამი, დაათვალიერებინეთ საკლასო ოთახის ნივთები და ავეჯი.

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა სსსმ მოსწავლეს სხვადასხვა მიზეზის გამო მოუწიოს ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში გადასვლა. ამ პროცესს თან ახლავს ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორცაა სკოლის ადგილმდებარეობის, თანაკლასელებისა და მასწავლებლების შეცვლა. მომავალ სკოლას, თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შესახებ ძალიან დაეხმარება მოსწავლეზე მორგებული საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებაში და შეამცირებს მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობას. თუ მოსწავლე სხვა სკოლაში გადადის, მნიშვნელოვანია სკოლას გაუზიაროთ თქვენს ხელთ არსებული ისეთი დოკუმენტები, როგორცაა: სსსმ მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მოსწავლის პორტფოლიო, საგნის მასწავლებლების მიერ განხორციელებული განმავითარებელი შეფასების და/ან შემაჯამებელი კომენტარების ამსახველი ჩანაწერები.

**სკოლიდან განათლების შემდგომ ეტაპზე ტრანზიცია**

საქართველოს განათლების სისტემაში სავალდებულო ზოგად განათლებად სკოლის დაწყებითი (I-VI კლასები) და საბაზო (VII-IX კლასები) საფეხურები განისაზღვრება. შესაბამისად, ნებისმიერი მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, მეცხრე კლასის დასრულებისას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინაშე აღმოჩნდება.




როგორც ზემოთ მოცემულ ილუსტრაციაზეა ნაჩვენები, მოსწავლეს შეუძლია გააგრძელოს სწავლა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები), მეთორმეტე კლასის დასრულების შემდგომ კი დაუფლოს უმაღლეს ან პროფესიულ განათლებას. მეცხრე კლასის დასრულების შემდგომ, ასევე შესაძლებელია, მოსწავლემ სწავლა გააგრძელოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ საბაზო საფეხურის დასრულების შემდგომ სწავლაში წყვეტა არ უშლის მოსწავლეს ხელს მომავალში მიიღოს პროფესიული განათლება ან სწავლა გააგრძელოს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე. მოცემულ ქვეთავში, ძირითად აქცენტს გავაკეთებთ ზოგადი განათლებიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობაზე.

განათლების შემდგომ ეტაპზე ტრანზიციის გულისხმობს მოსწავლის მხარდაჭერას კარიერის დაგეგმვაში, საკუთარი უნარების, ინტერესების გამოკვლევასა და გაფართოებაში, ინფორმაციის მიწოდებას უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარიცხვის პროცედურების შესახებ. ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ საბაზო საფეხურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლეების მომზადება მომავალი ცხოვრების დაგეგმვის, სწავლის გაგრძელებისა თუ შრომით საქმიანობაში ჩაბმისთვის. შესაბამისად, სკოლიდან განათლების შემდეგ ეტაპზე ტრანზიციის მხარდაჭერა სჭირდება ყველა და არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს. ამისთვის, სასურველია სკოლამ, მეშვიდე კლასის შემდგომ განახორციელოს მრავალფეროვანი აქტივობები მოსწავლეთა კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობისთვის. მაგალითად:

- სხვადასხვა პროფესიების გაცნობა სხვადასხვა სასწავლო აქტივობებით;

- სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელ სპეციალისტებთან შეხვედრების ორგანიზება;
- მოსწავლეების მხარდაჭერა პროფესიულ ორიენტაციაში (მაგ: პროფესიული გადაწყვეტილების მიღების კითხვარის, ჰოლანდის თვითსაკვლევ კითხვარის გამოყენება);<sup>10</sup>
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ვიზიტი სკოლაში;
- მოსწავლეთა ვიზიტების დაგეგმვა და ორგანიზება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ფოტო, ვიდეო, წერილობითი რესურსების მიწოდება მოსწავლეებისთვის კარიერის დაგეგმვისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.<sup>11</sup>

ტრანზიციის პროცესის წინასწარ გააზრებული დაგეგმვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის და სწორედ ამ მიზანს ემსახურება სკოლის გუნდის მიერ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავება. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაში ასახულია ძირითადი და შუალედური მიზნები, მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მორგებულია მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებთან. მაგალითად, ტრანზიციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სსსმ მოსწავლის დახმარება სასურველი და მის უნარებთან შესაბამისი პროფესიის შერჩევაში.



თუ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის გუნდი გადაწყვეტს, რომ მოსწავლესთან პროფესიული ორიენტაციის კითხვარები გამოიყენოს, შესაძლოა მას დასჭირდეს

<sup>10</sup> კითხვარები ელექტრონულ ფორმატში მოცემულია ვებ გვერდზე: <http://myprofession.gov.ge/>

<sup>11</sup> იხილეთ ვებ გვერდები: <http://myprofession.gov.ge/>, <https://vet.ge/ge>

ღებულებების წაკითხვა, შინაარსის გამარტივება, კომპიუტერის საშუალებით პასუხების მონიშვნაში დახმარება და ა.შ. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენა და განხორციელება, რეკომენდებულია დაიწყოს საბაზო საფეხურის დასრულებამდე 2-3 წლით ადრე და მის შექმნაში ჩართული იყოს კლასის დამრიგებელი, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი და რა თქმა უნდა, მშობელი. სსსმ მოსწავლის ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობაში მნიშვნელოვანია მოსწავლის ინტერესების, მშობლის პრიორიტეტების და მისი ხედვების გათვალისწინება.

სსსმ მოსწავლის ზოგადიდან პროფესიული განათლების ეტაპზე ტრანზიციის პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაცნობად გამოიყენეთ შემდეგი რესურსები:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები - <http://inclusion.ge/res/docs/2018052914091239118.pdf>
- ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი - <http://inclusion.ge/res/docs/2017031014280188168.pdf>

# მეოთხე ნაწილი

## პროფესიული საქმიანობა და ეთიკა

### ეთიკური საკითხები მოსწავლეებთან ურთიერთობისას

„საზოგადოება დიდი ხანია თანხმდება იმაზე, რომ მოსწავლეები სწავლის საუკეთესო შედეგებს იღებენ მაშინ, როდესაც პროცესში ჩართულია კვალიფიციური და შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი. ბოლოდროინდელი არაერთი კვლევა მიუთითებს იმაზე, რომ კარგად მომზადებულ მასწავლებელს აქვს მნიშვნელოვნად უფრო მეტი გავლენა მოსწავლის ეფექტიანი სწავლა-სწავლების პროცესზე, ვიდრე სხვა დანარჩენ ფაქტორებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში“ (Darling Hammond, 2000).

აღნიშნული ციტატა მოყვანილია იმის ხაზგასასმელად და საილუსტრაციოდ, თუ რამდენად დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის სწავლების უნარსა და მისი მხრიდან მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, როგორც ცენტრალური საკითხის, გაცნობიერებას ინკლუზიურ განათლებაში.

სპეციალურ მასწავლებელს საქმიანობის დაწყებამდე აქვს გარკვეული ცოდნა პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების პროცესის შესახებ, იცნობს რა სხვადასხვა სერვისსა და მოდელს, პროფესიულ სტანდარტს და ეთიკურ, სამართლებრივ ასპექტებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია პროფესიულ იდენტობასთან და პრაქტიკასთან, რაც მისი მუშაობის ეფექტიანობის წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნულ თავში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე ძირითად და მნიშვნელოვან ეთიკურ საკითხსა და პრინციპზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში თუ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის მიერ გარკვეული სირთულეების გამოვლენის შემთხვევაში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მშობლის/კანონიერ წარმომადგენლისგან **ინფორმირებული თანხმობის** მიღება. იგი გულისხმობს მოსწავლესთან აქტიური დაკვირვების, შეფასებისა თუ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებამდე მშობლის დეტალურად ინფორმირებას სპეციალური მასწავლებლის ჩართულობის თავისებურებებთან და მიზნებთან დაკავშირებით. იმაში დარწმუნების შემდგომ, რომ კანონიერი წარმომადგენელი ნამდვილად აცნობიერებს, გააზრებული აქვს და აანალიზებს მიწოდებულ ინფორმაციას, აუცილებელია მოსწავლის პასუხისმგებელი პირისგან თანხმობის მიღება სამომავლო მუშაობის პროცესისა და მიზნების შესახებ. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მუდმივი

და აქტიური თანამონაწილე იქნება მიმდინარე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესისა.

სპეციალური მასწავლებელი აქტიურადაა ჩართული ისეთი **უსაფრთხო და ეფექტიანი** საგანმანათლებლო გარემოს შექმნის პროცესში, რომელიც მაქსიმალურად ახდენს მოსწავლის სწავლა-სწავლების სტიმულირებას, დაფუძნებულია მის შესაძლებლობებზე და ამასთანავე, პასუხობს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ნებისმიერი პრაქტიკა მოიცავს ისეთ პროფესიულ საქმიანობას, რომელიც თავისთავად მოიაზრებს იმ პირების **პატივისცემას**, რომლებიც სერვისის მიმღები არიან. ერთ-ერთ მთავარი ამოსავალი წერტილი, რომელიც წარმატებული საქმიანობის განმსაზღვრელია, არის მოსწავლეთა დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის უფლების აღიარება, მათი პირადი მონაცემებისა და ინფორმაციის პატივისცემა. ასევე, მნიშვნელოვანია, გაცნობიერებული გვექონდეს თუ რა განზომილებებს მოიცავს ინდივიდთა **განსხვავებულობა და მრავალფეროვნება** შემეცნებითი, აკადემიური, სოციალურ-ემოციური უნარების, განვითარების დონის, კულტურული თავისებურებების, ოჯახური სისტემების, სქესის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, ენის, რელიგიის, გენდერული იდენტიფიკაციის, სოციალური თუ ეკონომიკური სტატუსის და სხვა თვალსაზრისით. აუცილებელია იმის გაანალიზება, რა შესაძლო გავლენები აქვს აღნიშნულ ფაქტორებს მოსწავლის განვითარების, ქცევის, ურთიერთობისა და სწავლა-სწავლების პროცესებზე. მაგალითისთვის, განსხვავებული ლინგვისტური გამოცდილების გავლენა მოსწავლის სწავლის სირთულეებზე. მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში, აუცილებელია ვაცნობიერებდეთ და რეფლექსიას ვუკეთებდეთ საკუთარ წინასწარგანწყობებს, ცრუ-რწმენებსა თუ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს. უმნიშვნელოვანესია სამუშაო პროცესზე მათი შესაძლო გავლენების გათვალისწინება.

პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია **სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის** პრინციპის გააზრება საგანმანათლებლო კონტექსტში. სწავლა-სწავლების პროცესზე მოსწავლის **ხელმისაწვდომობისა** და გარემოში არსებული ბარიერების მინიმუმადე დაყვანაზე ზრუნვა მუშაობის პროცესის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალური მასწავლებლის ეთიკური საქმიანობის უმთავრეს პრინციპს მოსწავლისა და ოჯახის პირადი მონაცემებისა და ინფორმაციის პატივისცემა, მათი **კონფიდენციალობის** დაცვა წარმოადგენს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება კანონისა და ეთიკური სტანდარტების მიხედვით, ვალდებულია დაიცვას პრივატულობა, რათა არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირებისთვის პერსონალური მონაცემები. ის შესაძლებელია, საჭიროებიდან

გამომდინარე, გაზიარდეს მოსწავლესთან მუშაობის პროცესში ჩართულ პირებთან მშობლის თანხმობით. არარეგულარულად და შეუსაბამოდ გავრცელებული ინფორმაცია ხშირად ხდება არასწორი ინტერპრეტაციისა და განსჯის საგანი უცხო პირების მხრიდან. კონფიდენციალობა წარმოადგენს მოსწავლისა და ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიას.

და ბოლოს, ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ მნიშვნელოვან პრინციპზე, როგორცაა მოსწავლის **ადვოკატირება**. ადვოკატირება ფართო გაგებით გულისხმობს ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლის უფლებების დაცვა, მათი ინტერესებისა და საჭიროებების წინ წამოწევა, გარშემომყოფთა ცნობიერების ამაღლება და მოსწავლისთვის შესაბამისი და ეფექტიანი სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. შესაძლებელია ის მოიცავდეს გარემოს ადაპტირების საჭიროებაზე რეაგირებას, რესურსებისა და დამატებითი მომსახურების მიღების შესაძლებლობის მოძიებასა და შეთავაზებას და სხვა.

## ეთიკური საკითხები მშობლებთან ურთიერთობისას

სპეციალური მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული საქმიანობა და ეთიკა სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობასა და ეფექტიან კომუნიკაციას მოიცავს. სასკოლო საზოგადოება, ცხადია, არ გულისხმობს მხოლოდ სკოლის ადმინისტრაციას ან საგნის მასწავლებლებს და მასში მოიაზრება სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ქვემოთ მოცემულია ჩანართი სპეციალური მასწავლებლის სტანდარტიდან, სადაც ხაზგასმულია მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებისა და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობის ვალდებულება.

<p>მუხლი 20. სპეციალური მასწავლებლის სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია</p>	<p>ბ) სსსმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან საუბრისას კომუნიკაციის ეფექტური საშუალებების გამოყენებას (ფორმალურ და შინაპარსობრივ დონეზე);</p> <p>ე) სსსმ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ეფექტურ თანამშრომლობას;</p>
--	--

სპეციალური მასწავლებლის ეროვნული ასოციაცია (NASSET – National Association of Special Education Teachers), რომელიც საერთაშორისო დონეზე ოპერირებს, განსაზღვრავს ქვევის კოდექსს. კოდექსის ერთ-ერთი პრინციპი დაკავშირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელთან თანამშრომლობასთან და ხაზგასმულია კონფიდენციალობის პატივისცემა. კონფიდენციალობის დაცვა გულისხმობს მშობლის ვინაობის, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, ოჯახთან დაკავშირებული მატერიალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სხვა პირებისთვის გაუმჟღავნებლობას. შესაბამისად, კონფიდენციალობის ეთიკური პრინციპის გათვალისწინებით, სპეციალური მასწავლებელი:

1. არ განიხილავს მშობლის პირად ინფორმაციას კოლეგებთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან ან თანამშრომლებთან;
2. არ ამჟღავნებს და ავრცელებს ინფორმაციას მშობლის რელიგიური მიკუთვნებულობის, ფსიქიკური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნებისმიერი სხვა საკითხის შესახებ, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს;
3. მშობლისგან იღებს წერილობით ნებართვას, თუ პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებს მისი შვილის სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის ან ფოტო, ვიდეო, აუდიო მასალის გამოყენებას.

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დროს სპეციალური მასწავლებელი:

1. ამყარებს ეფექტიან კომუნიკაციას, ცდილობს საუბრისას თავი აარიდოს ტექნიკური ან სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენებას, მიმართავს კომუნიკაციის სხვადასხვა, მრავალფეროვან გზას;
2. ორიენტირებულია მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის ცოდნა გამოიყენოს და გაითვალისწინოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში;
3. აყალიბებს ისეთ ურთიერთობას სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებსა და მშობელს შორის, სადაც დაცულია მისი ავტონომიურობა და კონფიდენციალობა;
4. იყენებს ყველა შესაძლებლობას მშობელთა განათლებისთვის, ზრუნავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ცნობიერების ამაღლებაზე, უზიარებს ეფექტიან სტრატეგიებსა და პროფესიულ ცოდნას;
5. აწვდის მშობელს ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უფლებების შესახებ;
6. აღიარებს და პატივს სცემს მშობლებისა და ოჯახების კულტურ, სოციალურ და ეკონომიკურ მრავალფეროვნებას.

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დროს, მნიშვნელოვანია, სპეციალურმა მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ თავად მშობელსაც აქვს გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები. მშობლის უფლებაა მიიღოს ობიექტური ინფორმაცია მისი შვილის სასწავლო პროცესის, პროგრესისა და ქვევის

შესახებ როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით. ასევე, მშობელს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მისი განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის შეფასების, მონიტორინგის, სასწავლო მიზნების დასახვის და გეგმაში ცვლილებების შეტანის დროს. მშობელს, ასევე უფლება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრება, მათ შორის უკმაყოფილება შვილთან დაკავშირებულ მიმდინარე სასწავლო პროცესების თაობაზე.

### ეთიკური საკითხები თანამშრომლებთან ურთიერთობისას

ნებისმიერი საქმიანობის ეფექტიანად და ხარისხიანად შესრულების წინაპირობა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური პრინციპების დაცვა და ამ პრინციპებით ხელმძღვანელობაა. ამ ყოველივეს მტკიცებულებად შეგვიძლია მოვიყვანოთ სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, სადაც პროფესიული პასუხისმგებლობები და ეთიკური საკითხებია მოცემული და გამოყოფილია პუნქტი, რომელიც სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობას და ეფექტიან კომუნიკაციას გულისხმობს. სასკოლო საზოგადოებაში კი მშობლებთან ერთად იგულისხმება სკოლის თანამშრომლები, კერძოდ საგნის მასწავლებლები, ადმინისტრაცია, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები და სკოლის ექიმი. გზამკვლევის ამ ნაწილში მთავარ აქცენტს სპეციალურ მასწავლებელსა და კოლეგებს შორის თანამშრომლობის საკითხზე გავაკეთებთ.

მუხლი 20.  
სპეციალური  
მასწავლებლის  
სასკოლო  
საზოგადოებასთან  
თანამშრომლობა და  
ეფექტური  
კომუნიკაცია

ბ) სსსმ მოსწავლის კლასში ქცევის მართვის, ისევე, როგორც მთლიანად კლასში კოორდირირ ქცევის მხარდაჭერის მიზნით საგნის მასწავლებელთან/მასწავლებლებთან თანამშრომლობას;

ე) კოლეგებთან საუბრისას კომუნიკაციის ეფექტური საშუალებების გამოყენებას (ფორმალურ და შინაარსობრივ დონეზე);

ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მჭიდროდ თანამშრომლობენ ყველა იმ რგოლთან, რომელიც მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესშია ჩართული. მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება გუნდურადაა მიღებული. ამ გუნდის წევრები არიან საგნის მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი/სპეციალისტები და თავად

მშობელი. განვიხილოთ რა ტიპის კომუნიკაციას უნდა ეფუძნებოდეს სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლების თანამშრომლობა, რომ მივაღწიოთ უმთავრეს შედეგს, გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა სასწავლო შედეგები.

სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლების კომუნიკაცია ყოველდღიურ ურთიერთობას ეფუძნება, რაც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრების ჩატარებას, საგაკვათილო პროცესზე დასწრებას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, მოსწავლეზე ორიენტირებული თანამშრომლობითი გარემოს შექმნას.

ყოველთვის, როცა იგეგმება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრა, რომლის წევრთა უმრავლესობა სწორედ საგნის მასწავლებელია, მნიშვნელოვანია შეხვედრის დროის ყველასათვის შეთანხმება, მასწავლებლების ინფორმირება შეხვედრის ხანგრძლივობასა და ძირითადი განსახილველი საკითხების შესახებ. ნებისმიერ შეხვედრაზე ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ღიად და თამამად გამოხატოს თავისი აზრი კანონმდებლობის შესაბამისი და ეთიკურად სწორი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება ინფორმირების დონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და ზოგადად, სხვადასხვა მდგომარეობის მიმართ. ტარდება უამრავი კვლევა, რაც ამ მდგომარეობებით განპირობებული მახასიათებლების უფრო ზუსტად და სწორად აღწერაში გვეხმარება. აღნიშნულიდან გამომდინარე იცვლება არსებული ტერმინოლოგია, ძველი ნაცვლდება ახლით, უფრო ეთიკურით. სპეციალური მასწავლებლის კოლეგებთან თანამშრომლობა მოიაზრებს იმას, რომ მან ზუსტად და სწორად გაუზიაროს მათ ის სწორი ტერმინები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა მდგომარეობის დახასიათების თუ აღწერის დროს. ეცადოს, ხელი შეუწყოს სკოლაში ინკლუზური კულტურის დანარგვასა და ინკლუზიური განათლების რეალურ განხორციელებას.

ინკლუზიური განათლების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ ინფორმაციის სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება სპეციალური მასწავლებლის ფუნქციაა, რომელიც მუდმივად ზრუნავს კოლეგების ცნობიერების ამ კუთხით ამაღლებასა და ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნაზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესი შეუძლებელია წარმატებული იყოს სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლების თანამშრომლობის გარეშე. საგნის მასწავლებლის მიერ დასახული სასწავლო მიზნები და სპეციალური მასწავლებლის მიერ ინტერვენციის გეგმაში დასახული მიზნები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ეს კავშირი აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას მიაღწიოს მისთვის დასახულ რელევანტურ სასწავლო მიზნებს და შეძლოს მისი განზოგადება პრაქტიკულ გარემოში.

სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლის ურთიერთობა ნებისმიერ შემთხვევაში ორმხრივ სარგებელს ემყარება. თუ სპეციალურმა მასწავლებელმა კარგად იცის მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები, საგნის მასწავლებელმა იცის ამ საგნის სწავლების სპეციფიკა, შინაარსი და ისინი ერთობლივად უფრო ეფექტიანად გეგმავენ სასწავლო პროცესს მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ვიდრე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაა საჭირო. დღევანდელ საგანმანათლებლო სივრცეში კი მსგავსი რესურსების რაოდენობა საკმაოდ მწირია. სასკოლო საზოგადოების ადამიანური რესურსების მიზნობრივად გამოყენების ფარგლებში შესაძლებელია ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში შექმნილი რესურსების გაზიარება კოლეგებისათვის, რა თქმა უნდა, საავტორო უფლებების დაცვით. მრავალფეროვანი და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო რესურსების შექმნა მოითხოვს არსებულის ადაპტირებას, უცხოენოვანი რესურსების მოძიებას და თარგმნას, ჩვენს რეალობასა და ბავშვის საჭიროებაზე მათ მორგებას, საბოლოო ჯამში, კი სპეციალისტების მხრიდან დახარჯულ საკმაოდ დიდ დროს. მიღებული რესურსი შემქნელის ინტელექტუალური საკუთრებაა, რომლის გაზიარების ვალდებულება მას ვერ ექნება, თუმცა კოლეგებთან თანამშრომლობა, ალბათ, სწორედ გულისხმობს იმ მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობასა და კეთილ ნებას, რომელთა გამოვლენის შემთხვევაში მივიღებთ რესურსების ბანკს, რომელიც სისტემურად დაგვეხმარება მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობასა და მათთვის რელევანტური სასწავლო გარემოს შექმნაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- The SENCo Handbook, Leading and Managing a Whole School Approach, Elizabeth Cowne, Carol Frankl and Liz Gerschel, 2019
- Jessica Shaffer & Janelle Cox - Ways to Celebrate National Disability Day in Your Class (November 20, 2020).
- [www.understood.org](http://www.understood.org) - What are fine motor skills?
- Lauren Loucks, Amy Townsend - Ability Awareness Activities
- National Institute on Deafness and other Communication Disorders - Speech and Language Developmental Milestones (2017).
- American speech-language-hearing Association - What Is Speech? What Is Language?
- <https://penfieldbuildingblocks.org/developmental-milestones/importance-fine-motor-skill-development/>
- National Association of Special Education Teachers - Determining Measurable Annual Goals in an IEP.
- Peter Westwood - Commonsense Methods for Children with Special Educational Needs—4th Edition.
- Heather Duncan, Sarah Parkhouse - Improving Literacy Skills for Children with Special Educational Needs.
- Rhea Paul, Courtenay F. Norbury - Language Disorders from Infancy through Adolescence: Listening, Speaking, Reading, Writing, and Communicating – Fourth Edition.
- Dr. Suanne Gibson, Professor Sonia Blandford - Managing Special Educational Needs A practical guide for primary and secondary schools.
- Sharon Vaughn, Candace S. Bos - Late of University of Texas—Austin Strategies for Teaching Students with Learning and Behavior Problems
- Robert Reid, Torri Ortiz Lienemann - Strategy Instruction for Students with Learning Disabilities.
- Multi-tiered system of support, <https://www.pbisrewards.com/blog/what-is-mtss/>
- Assessing Learners with Special Needs, An Applied Approach, SEVENTH EDITION, Terry Overton, University of Texas—Brownsville, 2009
- Assessment and Intervention of Visual Perception and Cognition Following Brain Injury and the Impact on Everyday Functioning. Kara Christy, MS, OTRL, CBIS, Natasha Huffine, MS, OTRL, CBIS
- Checklist for Visual Perceptual Processing problems, Integrated Services for learning.
- Handbook of Special Education, Edited by James M. Kauffman, University of Virginia, Daniel P. Hallahan, University of Virginia, Routledge, 2011
- Inclusive Education for the 21st Century, Theory, Policy and Practice, Linda Graham, 2020
- Inclusive Special Education, Evidence-Based Practices for Children with Special Needs and Disabilities, Garry Hornby, Springer, 2014
- Normalizing Difference in Inclusive Teaching Baglieri, Susan;Knopf, Janice H, Journal of Learning Disabilities; Nov/Dec 2004; 37, 6; Research Library
- Choosing and Using SEL Competency Assessments: What Schools and Districts Need to Know, Jeremy J. Taylor, K Buckley. Et.el, CASEL, 2014
- The dilemma of difference: Enriching the disproportionality discourse with theory and context, Artilles, Alfredo J, The Journal of Special Education; Spring 1998; 32, 1; Research Library
- The SAGE Handbook of Special Education, Volume 1, Lani Florian, 2014
- What is special about special education?: Overview and analysis Cook, Bryan G;Schirmer, Barbara R, The Journal of Special Education; Fall 2003; 37, 3; Research Library
- Understanding Working Memory, A Classroom Guide, Professor Susan E. Gathercole & Dr Tracy Packiam Alloway, 2007

- Walker, D. (1998-1999). Behavior assessment system for children (BASC). Monograph Assessment for the New Decade, Diagnostic, 24(1 – 4), 17-31.
- Wallace, T., & Tichá, R. (2006). General outcome measures for students with significant cognitive disabilities: Pilot study. Technical Report 12: Research Institute on Progress Monitoring.
- OECD. (2008). Ten steps to equity in education. Paris, France: OECD Publishing.
- OECD. (2012). Equity and quality in education: Supporting disadvantaged students and schools. Paris, France: OECD Publishing.
- Ofsted. (2004). Special educational needs and disability: towards inclusive schools. London, UK: Ofsted.
- Vaughn, S., Bos, C., Harrell, J., & Lasky, B. (1988). Parent participation in the initial placement/IEP conference ten years after mandated involvement. Journal of Learning Disabilities, 21, 82–89.
- Solis, M., Vaughn, S., Swanson, E. & McCulley, L., 2012, 'Collaborative models of instruction: The empirical foundations of inclusion and co-teaching', Psychology in the Schools, vol. 49, no. 5, pp. 498–510
- სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან - [www.inclusion.ge](http://www.inclusion.ge)
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები, (რეკომენდებული მოდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის), განათლების და მეცნიერების სამინისტრო. 2018
- ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი, ნ.რუხაძე, მ.ბაგრატიონი-გრუზინსკი, 2016.
- “მე სკოლაში მივდივარ”, როგორ მოვემზადოთ სკოლაში ტრანზიციისთვის, მ. ხვადაგიანი, მ. ზაქარეიშვილი, 2020. <http://inclusion.ge/res/docs/2020071518513480506.pdf>
- ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში, გზამკვლევი ტრანზიციის პროცესში ჩართული სპეციალისტებისა და ოჯახებისთვის, მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი, ც. ბარქაია, მ.წულაძე, მ.ხვადაგიანი, ჟ.კვაჭაძე, მ. მიდელაური, მ. ზაქარეიშვილი, 2019. <http://inclusion.ge/res/docs/2019122314025140003.pdf>

**გზამკვლევის ილუსტრაციებისა და ჩანართების სარჩევი**

ილუსტრაცია 1. ნორმალური განაწილების მრუდი .....3

ილუსტრაცია 2. ინკლუზიური განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი 3 ფაქტორი .....4

ილუსტრაცია 3. ინკლუზიური სისტემა (UNESCO) .....6

ილუსტრაცია 4. მრავალდონიანი მხარდაჭერის სისტემა (MTSS) .....8

ილუსტრაცია 5. პირველადი მართვის გეგმის კომპონენტები.....10

ილუსტრაცია 6. პირველადი მართვის გეგმის შემუშავებაში ჩართული პირები.....10

ილუსტრაცია 7. შეფასების პროცესი .....24

ილუსტრაცია 8. ენის კომპონენტები .....34

ილუსტრაცია 9. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის გავლენა სხვა სფეროებზე .....36

ილუსტრაცია 10. აღქმის კომპონენტები.....41

ილუსტრაცია 11. იმპლიციტური და ექსპლიციტური მეხსიერება .....48

ილუსტრაცია 12. კლასიფიკაცია .....53

ილუსტრაცია 13. კატეგორიზაცია .....54

ილუსტრაცია 14. ვიზუალური და ვერბალური ანალოგიის ნიმუში .....55

ილუსტრაცია 15. ზედმეტი ობიექტის იდენტიფიცირება.....	55
ილუსტრაცია 16. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმოჩენა .....	55
ილუსტრაცია 17. მოვლენათა ლოგიკური თანმიმდევრობის განსაზღვრა .....	56
ილუსტრაცია 18. SMART მიზნები.....	64
ილუსტრაცია 19. აკომოდაცია და მოდიფიკაცია .....	64
ილუსტრაცია 20. აკადემიური და კოგნიტური უნარების კავშირი ერთი აქტივობის მაგალითზე .....	66
ილუსტრაცია 21. აქტივობის ნიმუში .....	67
ილუსტრაცია 22. მოსწავლეებისთვის სხვადასხვა მდგომარეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზები.....	77
ილუსტრაცია 23. თვითცნობიერებისა და განსხვავებულობის გაგების აქტივობა .....	77
ილუსტრაცია 24. სტრუქტურირებული კომუნიკაციის 4 ეტაპი .....	84
ილუსტრაცია 25. აქტიური მოსმენის შემაფერხებელი ფაქტორები.....	86
ილუსტრაცია 26. ტრანზიციის პროცესში ჩართული დაწესებულებები .....	87
ილუსტრაცია 27. სპეციალური მასწავლებლის როლი ტრანზიციის პროცესში .....	88
ილუსტრაცია 28. საკომუნიკაციო პასპორტის ნიმუში .....	90
ილუსტრაცია 29. სოციალური ისტორია სკოლის შესახებ .....	91
ილუსტრაცია 30. ჩართულ მხარეებს შორის კომუნიკაცია .....	93
ილუსტრაცია 31. საბაზო საფეხურის შემდგომ განათლების მიღების შესაძლებლობები .....	95
ჩეკლისტი 1. წერა.....	15
ჩეკლისტი 2. კითხვა.....	18
ჩეკლისტი 3. თხრობა .....	22
ჩეკლისტი 4. მათემატიკური უნარები .....	25
ჩეკლისტი 5. მსხვილი მოტორული უნარები .....	29
ჩეკლისტი 6. ნატიფი მოტორული უნარები .....	32
ჩეკლისტი 7. ენა - მეტყველება .....	36
ჩეკლისტი 8. კომუნიკაცია .....	38
ჩეკლისტი 9. აღქმა.....	42
ჩეკლისტი 10. ყურადღება.....	47
ჩეკლისტი 11. მეხსიერება.....	50
ჩეკლისტი 12. აზროვნება .....	56
ჩეკლისტი 13. სოციალური და ემოციური უნარები .....	59
ცხრილი 1. მოსწავლის საჭიროებების სხვადასხვაგვარი აღქმა.....	4
ცხრილი 2. წერის 6+1 მახასიათებლები.....	14
ცხრილი 3. მშობლის ანკეტა.....	89

